

# არსენალი

№11 (158). 25 მაისი-7 ივნისი, 2012 წ. სამხედრო-ანალ ლი. ფასი 1,5 ლარი



## ადლუმი ქართული ტანკის მოლოდინში...

## NATO-ში ისევ გველიან, მაგრამ როდის?

## ოკუპირებული ტერიტორიების საზღვართან

## რკინის „გალიები“ ჯავშანტექნიკის დასაცავად

ეროვნული ბიბლიოთეკა



აშშ-ის ყველაზე საიდუმლო სამსახური 18



კუბაში შეჭრის მცდელობა 21



რეალური უპილოტო თუ მორიგი ბლეფი 44

ბრიტანული თანამედროვე ტანკები




30



აღმოსავლეთ ტიმორის კრიზისი 24

„ბერეტას" ავტომატი „მომავლის ჯარისკაცისთვის" 53



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

კალეიდოსკოპი
4 სამხედრო სიახლეები
დღესასწაული
7 ქუთაისი გრანდიოზული აღლუმისთვის ემზადება
პერსპექტივა
8 NATO-ში ისევ გველოდებიან, მაგრამ როდის?
ომის გამოძახილი
9 როგორ ცხოვრობენ კონფლიქტისპირა სოფლებში
ვიზიტი
11 მსოფლიოს ვეტერანები საქართველოში
მოსაზრება
12 რკინის „გალიები“ ქართული ჯავშანტექნიკის დასაცავად
რეგიონი
16 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა
სკანდალი
18 აშშ-ის ყველაზე საიდუმლო სამსახური
ლოკალური ომები
21 „ბრწყინვალე ჩავარდნა“ კუბაში შეჭრის მცდელობა
კრიზისები, კონფლიქტები, ომები
24 აღმოსავლეთ ტიმორის კრიზისი
ტანკმშენებელი ქვეყნები
30 ბრიტანული ჯავშანტექნიკა — თანამედროვე ტანკები
სპეცდანაყოფები
35 GRUMEC-ი — ბრაზილიელი მებრძოლი მყვინთავები
100 დიდი მხედართმთავარი
38 ედუარდ I
ტანკები აღლუმებზე
40 ტანკები ასფალტის წინააღმდეგ
სამხედრო ისტორიები
42 ქართველი ადმირალის საზღვაო ბიოგრაფიიდან
რეგიონი
44 რეალური უპილოტო თუ მორიგი ბლეფი
ლიტერატურული გვერდი
46 სამი ამბავი ჩვენზე და „მათზე“
ინოვაციური ტექნოლოგიები
49 პარაშუტები მეორე მსოფლიო ომში
„არსენალის“ იარაღის მაღაზია
53 „ბერეტას“ ავტომატი „მომავლის ჯარისკაცისთვის“

გარეკანზე: შვედური თვითმფრინავი Saab JA 37 Viggen-ი

პალიტრა მედია

## რედაქციისგან

„არსენალი“ გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს და ყველას, უპირველესად კი ქართულ არმიას, გაძლიერებასა და გამარჯვებას გისურვებთ!

26 მაისი „არსენალის“ დაბადების დღეცაა — სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალის“ პირველი ნომერი სწორედ 2004 წლის 26 მაისს გამოვიდა და რამდენიმე ასეული ჟურნალი საჩუქრად დაურიგდა რუსთაველის პროსპექტზე აღლუმისთვის მოწყობილ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

მას შემდეგ რვა წელმა გაიარა და გვინდა „არსენალი“ განახლებული სახით წარვუდგინოთ ჩვენს ერთგულ მკითხველს. უახლოეს მომავალში იხილავთ უფრო მრავალგვერდიან და უკეთეს დიზაინის „არსენალს“.

მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
21.05.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

## მზვერავი ჩიტი-რობოტი „პატრონის“ მკლავზე შევარდენივით ჯდება




რობოტები, რომლებიც ჩიტებივით დაფრინავენ, სულ უფრო პოპულარულია და ამის დასტურია მოდელი, რომელიც ილინოისის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ახლახან შექმნეს.

სხვა ჩიტ-რობოტებისგან განსხვავებით, ახალი მოდელი არა მხოლოდ ფრინველივით დაფრინავს, არამედ „პატრონის“ მკლავზეც ჯდება.

ახალი ჩიტი-რობოტი კარგად გაწვრთნილი შევარდენივით მკლავზე დაშვებამდე რთულ მანევრს ასრულებს, რომელიც ორი ფაზისგან შედგება: „ჩიტი“ მკლავთან მიახლოებისას ერთბაშად მაღლა სწევს წინა ნაწილს, ფრენის სიჩქარეს ანელებს და მკლავზე ეშვება.

რობოტის შემქმნელები ფიქრობენ, რომ მსგავსი ტიპის მომცრო საფრენი აპარატების გამოყენება ქალაქის პირობებში დაზვერვისთვის კარგი იქნება.

## ექსპერიმენტი „ბომბით“ — ლონდონის ოლიმპიადა საფრთხეშია

2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ბრიტანეთი თავსა და სახსრებს არ ზოგავს, რათა ღონისძიებამ უსაფრთხოდ ჩაიაროს. მაგრამ რად გინდა? ახლახან ერთ-ერთი ინგლისური გამოცემის ჟურნალისტებმა ერთობ უცნაური და თამამი ექსპერიმენტი ჩაატარეს, რამაც ზაფხულის ოლიმპიადაზე სპორტსმენებისა და სტუმრების უსაფრთხოება ეჭვქვეშ დააყენა.

ექსპერიმენტი ჟურნალისტებმა ლონდონში ოლიმპიური სტადიონის ოფიციალურ გახსნას დაუკავშირეს. არადა, ამ ცერემონიაზე სიმშვიდეს, რომელსაც 40 ათასი კაცი დაესწრო, პოლიციელების დიდი ჯგუფი და შვეულმფრენები უზრუნველყოფდნენ.

ჰოდა, ცნობისმოყვარე ჟურნალისტებმაც გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ სამართალდამცველთა მუშაობის ხარისხი, — დაამზადეს ბომბის მულიაჟი და ოლიმპიური ობიექტის ტერიტორიაზე შეტანა სცადეს.

ბრიტანელ სამართალდამცველთა ძალისხმევის მიუხედავად, ასაფეთქებელი მოწყობილობის თუნდაც „დაცულ“ ობიექტზე შეტანა ძალზე იოლი აღმოჩნდა. ამის დასტურად ჟურნალისტებმა „ბომბთან“ ერთად ფოტოები იმ შენობის ფონზე გადაიღეს, სადაც თამაშების დღეებში სპორტსმენებმა უნდა იცხოვრონ.




## რუსმა ოფიცერმა სახელმწიფო საიდუმლო ცუდი კალიგრაფიის გამო გასცა



სახალისო ამბავი მოხდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში, სადაც ოფიცერმა სახელმწიფო საიდუმლოება, არც მეტი, არც ნაკლები, ცუდი კალიგრაფიის გამო გაამხილა. თურმე სარატოვის ოლქში ენგელსის ავიაბაზის საავიაციო ესკადრილიის შტაბის უფროსს პირკატა მაშინ ეცა, როცა მას ხელმძღვანელობამ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი სამსახურებრივი დოკუმენტაციის მომზადება დაავალა. ოფიცერს საშინელი ხელწერა ჰქონია, გაიფიქრა, ჩემს ნაწერს კაციშვილი ვერ წაიკითხავს და უფროსებთან თავის მოჭრას, ისევ ჯობს, დოკუმენტი ვინმე კარგი კალიგრაფიის მქონეს შევადგენინოო. მართალია, ლამაზად წერაში გაწაფული ხელის მქონე ჯარისკაცის მოძიება შტაბის უფროსს არ გასჭირვებია, თუმცა ის აღარ გაითვალისწინა, რომ რიგითს სახელმწიფო საიდუმლოებასთან შეხება არ უნდა ჰქონოდა. ამბავი გახმაურდა და ოფიცერი სასამართლომ 30 ათასი რუსული რუბლით დააჯარიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპეცრაზმელების „გონების ტრენაჟორითაც“ ავარჯიშებენ



ამერიკული სპეცრაზმი აღქმისა და რეაქციის სისწრაფის გაუმჯობესებისთვის ე. წ. „გონების ტრენაჟორს“ — სისტემა NeuroTracker-ს გამოიყენებს.

კომპანია CogniSens-ის შექმნილ სისტემას ბოლო დრომდე სპორტსმენები მხოლოდ სავარჯიშოდ იყენებდნენ. ამიერიდან კი ის აშშ-ის საგანგებო ოპერაციების ძალებშიც დაინერგება. სამხედროები NeuroTracker-ის გამოყენებით, „ვითარებაში უკეთ გარკვევის, ერთდროულად რამდენიმე მიზნის გაკონტროლებისა და ეფექტური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების“ უნარს გაივარჯიშებენ.

სისტემის „სპორტული“ ვარიანტის პროგრამაში გათვალისწინებულია სპეციალური თამაში, რომელიც 3D ეკრანზე 8 მოძრავი ბურთულითაა წარმოდგენილი. მაგალითად, დამწყებებს 8-წუთიან მონაკვეთში, რვიდან ოთხი ბურთულის მოძრაობისთვის თვალის მიდევნება ევალებათ ისე, რომ დარჩენილ ოთხს ყურადღება არ მიაქციონ. „თამაში“ ეტაპიდან ეტაპამდე რთულდება, საბოლოოდ კი საშუალებას იძლევა, გავარკვიოთ, რამდენად კარგად შეუძლია კონკრეტულ ადამიანს მოძრავი საგნების ტრაექტორიის განსაზღვრა და ქაოსურ გარემოში კონცენტრაციის შენარჩუნება. რაც მთავარია, ვარჯიშის შედეგად უმჯობესდება „მოთამაშის“ გონებრივი შესაძლებლობები და ისიც, სულ უფრო რთულ ამოცანებს უმკლავდება.

სამხედროები იმედოვნებენ, რომ NeuroTracker-ის დახმარებით იოლად შეძლებენ თავიანთ რიგებში საუკეთესო მსროლელების გამორჩევას, რომლებსაც სამიზნეების უფრო სწრაფად აღმოჩენა და მათ მოქმედებაზე მყისიერად რეაგირება ეხერხებათ.

## ლეგენდარული „ზღვის აჩრდილი“ აუქციონზე იყიდება

DARPA-ს სამაშველო რობოტი ჯერ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლას „სწავლობს“.

პერსპექტიული კვლევების ამერიკულმა სამხედრო სააგენტო DARPA-მ ინტერნეტით ვიდეორგოლი გაავრცელა, სადაც ნაჩვენებია კიბეზე მოსიარულე რობოტი.

წარმოდგენილი პროექტი ერთ-ერთი მონაწილეა სააგენტოს მიერ წამოწყებული კონკურსისა, რომლის მიზანიც სამაშველო დანიშნულების რობოტის შექმნაა.

სააგენტოს მოთხოვნით, კონკურსის მონაწილეებმა ისეთი მოდელები უნდა წარმოადგინონ, რომელთაც არა მხოლოდ კიბის საფეხურებზე ასვლა, ავტომობილის მართვა, ინსტრუმენტის გამოყენებით კედლის ნგრევა და თუ საჭირო გახდა, გახეთქილი მილის შეკეთებაც უნდა შეძლონ.

რაც შეეხება კონკურსის პირველი მონაწილის — Boston Dynamics-ის რობოტს, ის მხოლოდ სამუშაო ვარიანტია და სრულყოფამდე ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აკლია. მათ შორის დასახვეწია ზედა კიდურები, რათა კონკურსის რთულ ამოცანებს გაუმკლავდეს.





## ეფ-ეს-ბეს სპეცრაზმს მსოფლიოში უსწრაფესი ჯავშანმანქანა ეყოლება

რუსები იქადიან, რომ სულ მალე მსოფლიოში უსწრაფესი ჯავშანმანქანა ექნებათ.

ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ორიგინალური ფორმის ჯავშანმანქანის პროტოტიპი დიმიტროვის პოლიგონზე გამოცადეს, ნახეს და ისე აღფრთოვანდნენ, რომ ეფ-ეს-ბეს სპეცდანიშნულების რაზმისთვის ამ ტიპის ავტომობილების მიწოდება გადაწყვიტეს.

საინტერესო ისაა, რომ ჯავშანმანქანა Каратель-ი რალისთვის განკუთვნილი КАМАЗ-4911-ის შასიზეა აწყობილი და 12 ტონის მიუხედავად, 150 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს.

მათი თქმით, რუსები მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ჯავშანმანქანის სერიულ გამოშვებას 2014 წლისთვის გეგმავენ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჰარის უდაბნომ მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გამანადგურებელი ხელუხლებლად შემოინახა



დასავლეთ ეგვიპტეში გეოლოგიური კვლევებისას მეორე მსოფლიოს ომისდროინდელ ბრიტანულ გამანადგურებელს მიაგნეს, რომელიც ფაშისტებთან მებრძოლ მოკავშირეთა ძალებს ეკუთვნოდა. 70 წლის წინ საჰარის უდაბნოს მიუვალ რაიონში ავარიულად დაშვებული თვითმფრინავი, პრაქტიკულად, აქამდე ხელუხლებელი იყო.

დადგინდა, რომ გამანადგურებელს 24 წლის სერჟანტი დენის კოპინგი მართავდა, რომელსაც 1942 წლის ივნისში სპეციალური მისიით ერთი აეროდრომიდან მეორისკენ გაფრენა დაევალა. როგორც ჩანს, კოპინგმა რაღაც მიზეზით კურსიდან მნიშვნელოვნად გადაუხვია და უდაბნოში დაიკარგა. მას შემდეგ პილოტზე აღარავის არაფერი სმენია.

ის, რომ უდაბნოში ნაპოვნ გამანადგურებელს სწორედ კოპინგი მართავდა, კაბინაში დატოვებული წერილი და თვითმფრინავის სერიული ნომრები ადასტურებს. მკვლევართა აზრით, ავარიული დაშვების შემდეგ კოპინგი გადარჩა და ამას გამანადგურებლის ახლოს ნაპოვნი პარაშუტიც ადასტურებს: დიდი ალბათობით, პილოტი მას მზისგან დასაცავად იყენებდა. ამასთან, საბრალო დენისს თვითმფრინავიდან რადიომოწყობილობა და ბატარეები ამოუცლია, რათა შეეკეთებინა და რადიოკავშირით შველა ეთხოვა.

როგორც ჩანს, ბრიტანელი პილოტი უახლოესი დასახლებული ადგილის ძებნისას დაიღუპა, რომელიც თვითმფრინავის ავარიის ადგილიდან 300 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა. ასეთი მანძილის გავლა კი უდაბნოში, ზაფხულში, წყლისა და საკვების მარაგის გარეშე, წარმოუდგენელია.

# პენტაგონი ჯარისკაცებს „გონიერ“ უნიფორმას უკერავს

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო კვლევების სამმართველომ ახალი თაობის უნიფორმის შესაქმნელად საკონკურსო პირობები გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, უნიკალური „გონიერი“ ტანისამოსი გამუდმებით უნდა უჩვენებდეს ჯარისკაცის ადგილსამყოფელს, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და დაჭრის შემთხვევაში, ჭრილობის სიმძიმის ხარისხს. ამასთან, „ელექტრონულმა ფორმამ“ დაჭრილი მებრძოლის შესახებ ინფორმაცია უმალ მედპერსონალსა და საევაკუაციო რობოტებს უნდა მიაწოდოს. რაც მთავარია, ამ ამოცანების შესასრულებლად საჭირო ყველა მოწყობილობა უშუალოდ უნიფორმის ქსოვილში უნდა იყოს ინტეგრირებული.

მაღალტექნოლოგიური უნიფორმის ქსოვილში მიმობნეული სენსორები, რომლებიც ერთიან სისტემასთან კავშირში იქნებიან, არა მხოლოდ ჯარისკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობასა თუ დაზიანების სიმძიმეს, გარემო პირობებსაც შეისწავლიან. მაგალითად, სენსორები ორგანიზმისთვის საშიშ ქიმიურ, ბიოლოგიურ თუ რადიოაქტიურ საფრთხეებზე რეაგირებას უმალ მოახდენენ.

ასეთი „გონიერი ქსოვილის“ შექმნა, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა ჩანდეს, XXI საუკუნეში გადაუჭრელი ამოცანა ნამდვილად აღარ არის. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ სფეროში პროგრესი შეინიშნება. მაგალითად, უკვე შექმნილია ქსოვილები, რომლებსაც დიაბეტით სნეულთა სისხლში შაქრის დონისა თუ სპორტსმენთა სუნთქვის, პულსისა და არტერიული წნევის გაკონტროლება შეუძლიათ.



# ამერიკელები უპილოტო კონვერტოპლანის იდეას არ ეშვებიან

აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალებში ჰიბრიდული უპილოტო საფრენი აპარატ Flexrotor-ის შესაქმნელად სამუშაოს ბოლომდე მიყვანას ეშურებიან. შეიძლება ითქვას, ეს უკვე მეოთხე ცდაა ორიგინალური რობოტ-კონვერტოპლანის შექმნისა, რომელსაც ვერტიკალურად დაშვება-აფრენა, კრეისერულ რეჟიმში კი თვითმფრინავივით ფრენა უნდა შეეძლოს.




მართალია, აშშ-ის არმიას პილოტირებადი კონვერტოპლანი V-22 Osprey კი აქვს, თუმცა მისი ექსპლუატაცია საკმაოდ ძვირია და თან, კატასტროფის მაღალი რისკით ხასიათდება, — ტექნიკური მიზეზით ამ აპარატით უკვე 37 კაცია დაღუპული. შესაბამისად, ამერიკელები იმედოვნებენ, რომ ახალი აპარატი Flexrotor-ი გაცილებით იაფი და თან, უსაფრთხო იქნება.

Flexrotor-ის მსგავს კონსტრუქციას ვერტიკალური აფრენა-დაშვებისა და თვითმფრინავისებრად ფრენის უნარით ჯერ კიდევ მეორე მსოფლიოს ომის დროს ცდიდნენ, თუმცა უშედეგოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქუთაისი გრანდიოზული აღლუმისთვის ემზადება

ქუთაისში, პარლამენტის ახალი შენობის წინ, გაიმართება საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ფართომასშტაბიანი აღლუმი, რომელშიც დიდი ხნის შესვენების შემდეგ მუხლუხებიანი საბრძოლო ტექნიკაც მიიღებს მონაწილეობას.

აღლუმები საქართველოში 1998 წლის მაისში შეწყდა, როდესაც საალლუმოდ გამზადებული ქართული არმიის პირადი შემადგენლობა და საბრძოლო ტექნიკა გალის მოვლენების გამო რუსთაველის პროსპექტის ნაცვლად ზუგდიდში გადაისროლეს.

„ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ 2004 წელს აღადგინა აღლუმების გამართვის ტრადიცია და ორთაჭალაში, 300 არაგველის მემორიალთან, დიდი აღლუმი გაიმართა. ამ აღლუმში მუხლუხებიანი ტანკები და ქვეითთა საბრძოლო მანქანებიც მონაწილეობდნენ. რამდენიმე ათეულტონიანი საბრძოლო მანქანების მუხლუხებმა ძალზე დააზიანა ასფალტის საფარი, რის გამოც შემდგომ აღლუმებზე ხელისუფლება თავს იკავებდა ტანკების რუსთაველზე გატარებისგან.

2012 წლის 26 მაისის აღლუმის გამართვა ხელისუფლებამ თბილისის ნაცვლად ქუთაისში, ახალაშენებული პარლამენტის წინ გადაწყვიტა და შეეცდება ის გრანდიოზული და სანახაობრივი იყოს.

ამისთვის, დაგეგმილია, რომ ქუთაისში ქართული არმია საბრძოლო ტექნიკას, მათ შორის საქართველოში აწყობილსაც აჩვენებს.

სავარაუდოდ, აღლუმზე პირველად ჩაატარებენ თბილისში აწყობილ მუხლუხებიან ქვეითთა საბრძოლო მანქანებს, „ლაზიკებს“, ასევე ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემა „გრად-კრაზებს“ და უპილოტო თვითმფრინავებს. „დიდგორების“ საალლუმო ჩვენება გასული წლის 26 მაისის აღლუმზე, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე შედგა, თუმცა ამჯერად არ არის გამორიცხული, ქუთაისში „დიდგორის“ ან მისი ტიპის ჯავშანმანქანის ახალი მოდიფიკაციაც გამოჩნდეს.

ყველაზე დიდ სიახლედ იქცევა, თუკი თავდაცვის სამინისტრო ქუთაისში აღლუმზე ახალ ქართულ ტანკს გამოაჩენს. სავარაუდოდ, ეს ტანკი საბჭოთა T-72-ის ბაზაზეა აწყობილი და რიგ სიახლეებს შეიცავს.

„ლაზიკასგან“, „გრად-კრაზისა“ და უპილოტო თვითმფრინავისგან განსხვავებით, რომელთა პრეზენტაციები პოლიგონზე გაიმართა და მათ საქართველოს პრეზიდენტიც ესწრებოდა, ახალი ქართული ტანკის პირველი ჩვენება (ისევე როგორც შარშან „დიდგორებისა“), სავარაუდოდ, სწორედ აღლუმისთვის შემოინახეს.

აღლუმისთვის მზადება სენაკის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, გენერალური რეპეტიცია კი ქუთაისში შედგა.

გარდა მუხლუხებიანი საბრძოლო ტექნიკისა, სავარაუდოდ, ახალი პარლამენტის წინ „სპაიდერის“ ტიპის მობილურ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებსა და მათი მართვის პუნქტსაც ჩაატარებენ. ისრაელისგან ნაყიდი „სპაიდერები“ 2008 წლის აგვისტოს ომშიც მონაწილეობდნენ და თავი არ შეურცხვენიათ. 2011 წლის 26 მაისის აღლუმის წინ, გენერალურ რეპეტიციაზე, ღამით „სპაიდერების“ კომპლექსებმა რუსთაველის პროსპექტზე გაიარეს, თუმცა თავად აღლუმზე ისინი რატომღაც აღარ გამოუყვანიათ.

ქუთაისში, 26 მაისს გამართულ სამხედრო აღლუმზე გამოჩნდება, თუ როგორ გადაიარაღდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან მეოთხე წლისთავზე ქართული არმია და რა პრიორიტეტები აქვს დასახული საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებაში ხელისუფლებას.

**ირაკლი ალადაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NATO-ში ისევ გველოდებიან, მაგრამ როდის?



ჩიკაგოში გამართული NATO-ს სამიტზე საქართველომ სამ ფორმატში გამართულ შეხვედრებში მიიღო მონაწილეობა.

პირველი შეხვედრა 28+13 ფორმატით ჩატარდა, რომელშიც ალიანსის წევრი ქვეყნები 13 ძირითად პარტნიორ სახელმწიფოსთან და მათ შორის საქართველოსთან (როგორც ერთადერთი წარმომადგენელი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონიდან) თათბირობდნენ.

28+4 ფორმატით გამართულ მეორე შეხვედრაზე საქართველო სამ „ასპირანტ" ქვეყანასთან (მაკედონია, მონტენეგრო, ბოსნია და ჰერცეგოვინა) ერთად მათი ალიანსში გაწევრების თემაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 28 წევრ სახელმწიფოსთან საუბრობდა.

მესამე შეხვედრის ფორმატი — 28+ISAF-ი, ავღანეთში სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობას ეხებოდა და საქართველო, რომელიც ავღანეთში არა-NATO-ს-ს წევრი ქვეყნებიდან ყველაზე დიდი კონტრიბუტორი (ავღანეთში დამატებითი ქვეითი ბატალიონის სრულად ჩასვლის შემდეგ საქართველო ამ ტიტულს — არა-NATO-ს წევრი ყველაზე დიდი კონტრიბუტორი — 1550-კაციან ავსტრალიას კონტინგენტს ჩამოართმევს, რადგან ავღანეთში სულ 1700-მდე საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი იქნება) ხდება, ბუნებრივია, მიწვეული იყო ამ შეხვედრაზე.

ჩიკაგოს NATO-ს სამიტზე მიღებული დეკლარაციის, რომელიც სხდომის შემდეგ ალიანსის წევრი ქვეყნების ლიდერებმა დაამტკიცეს, სამი პუნქტი მთლიანად საქართველოს ეხება.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ალიანსი ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების ერთგული რჩება და საქართველო NATO-ს წევრი აუცილებლად გახდება.

NATO თავის დეკლარაციაში კიდევ ერთხელ უცხადებს მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთს მოუწოდებს, გააუქმოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

NATO-ს წევრი ქვეყნები მადლიერებას გამოხატავენ ავღანეთში ISAF-ს ოპერაციაში საქართველოს მიერ შეტანილი წვლილისთვის. ამასთან, ხაზს უსვამენ საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარების მნიშვნელობას.

რაიმე განსაკუთრებული საქართველოსთან მიმართებაში NATO-ს ჩიკაგოს სამიტზე როგორც მოსალოდნელი იყო, არ გაცხადებულა.

კვლავ უცნობი რჩება ის მიახლოებული თარიღიც კი, როდესაც საქართველო შეიძლება მართლაც გახდეს ალიანსის სრულუფლებიანი წევრი. ჩიკაგოს დეკლარაციაში მხოლოდ აღნიშნულია, რომ ასპირანტი ქვეყნებისთვის გეგმებსა და პროგრესს ალიანსი ინდივიდუალურად განიხილავს და შეაფასებს.

ჩიკაგოს სამიტის სამ შეხვედრაზე საქართველოს მონაწილეობა, ისევე როგორც სამიტის დეკლარაციაში საქართველოს თემის ცალკე გამოყოფა და მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მიღწევაა, მაგრამ ალიანსის წევრობამდე, ეტყობა, მართლაც ჯერ კიდევ დიდი ხანია დარჩენილი, რაც თავად NATO-ს შიდა პრობლემის მოგვარებაზეცაა დამოკიდებული.

NATO-ში გაწევრების პროცესში, გარდა რუსული ფაქტორისა (ალიანსის წევრი ევროპის სახელმწიფოების არცთუ ისე მცირე ნაწილი ანგარიშს უწევს რუსეთს და არ სურს, საქართველო თავიანთ რიგებში იხილოს), გაჩნდა ახალი დაბრკოლება — ალიანსს ფინანსური პრობლემები აქვს.

სამიტზე ალიანსის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ „ჭკვიანური თავდაცვის" სტრატეგიაზე გადადის, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსები ეკონომიურად უნდა დაიხარჯოს და წევრ ქვეყნებს სრულყოფილი არმიების ყოლა აღარ შეეძლებათ.

ბევრისთვის შეიძლება წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო ალიანსის წევრმა ჰოლანდიამ ყველა ტანკი მოიშორა, დიდი ბრიტანეთი იძულებული გახდა, მოიერიშე ავიაციაზე უარი ეთქვა, გერმანია ვეღარ ყიდულობს უპილოტო თვითმფრინავებს...

„ჭკვიანური თავდაცვის" კონცეფცია ითვალისწინებს, რომ ალიანსის თითოეულმა წევრმა ქვეყანამ სამხედრო სფეროს იმ მიმართულების გაძლიერება უნდა დაიწყოს, რომელში წარმატებებს აქამდეც აღწევდა, მაგალითად, ჩეხეთის შეიარაღებული ძალები აქცენტს რადიაციული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღისგან დაცვაზე გააკეთებენ, რადგან ჩეხოსლოვაკიის არმია ჯერ კიდევ ვარშავის პაქტში გამოირჩეოდა მასობრივი განადგურების იარაღისგან დამცავი დანაყოფების მომზადების დონით.

რადგან NATO-ს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს და ცდილობს, ყველაფერზე ეკონომია გასწიოს (ზოგჯერ საბრძოლო მზადყოფნის შემცირების ხარჯზეც კი), ცხადია, გაფართოებასა და ახალი წევრების მიღებას არ იჩქარებს...

**ირაკლი ალადაშვილი**



# როგორ ცხოვრობენ კონფლიქტისპირა სოფლებში

გორიდან სოფელ არბოსკენ გადავუხვიეთ. ცენტრალურ ქუჩებს თუ არ ჩავთვლით, აქაურობას 2008 წლის ომის კვალი ახლაც ეტყობა, — საცხოვრებელ სახლებსა და კორპუსებზე ნატყვიარებია, უკანა მხრიდან ნახანძრალია, წინა მხარე კი შეღებილ-მოწესრიგებული.

თითქმის ყველა გაჩერებაზე კამუფლაჟიანი ბიჭები დგანან. კვირაა და, ალბათ, საღამომდე ისვენებენ. არბოში ქოქოშვილების გაჭირვებული ოჯახის დასახმარებლად მივდივართ. გვითხრეს, ხუთსულიანი ოჯახი მიწურში ცხოვრობს და შიმშილობსო. ომამდე ერედვში მიწის ნაკვეთი ჰქონიათ, ახლა იქ ოსები არ უშვებენ. არბოში ამ დღეში ბევრია. ყოფილა შემთხვევა, მიწა დაუმუშავებიათ, მაგრამ მოსავალი ოსებს აუღიათ.

ასეთ გაჭირვებულ ოჯახებზე ინფორმაციას ფონდში „დავაპუროთ ბავშვები“ მუშაობისას ვაგროვებთ, შემდეგ კი ვცდილობთ, მძიმე ცხოვრება შევუმსუბუქოთ. ფონდი შარშან მარტში დაარსდა, როცა ვარიანში მცხოვრებ ოჯახს ერთი ბავშვი შიმშილით მოუკვდა. მაშინ გადავწყვიტეთ, ყოველთვიურად თანხა შეგვეგროვებინა და ასეთი ოჯახებისთვის საკვები მიგვეტანა.

არბოს რომ მივუახლოვდით, ჩემმა მეგობარმა და თანაფონდელმა გამაფრთხილა, წინ ქართველი პოლიციელების ბლოკპოსტია, გაგვაჩერებენ და პირადობის მოწმობები მოამზადეთო. მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ სანამ იმ ადგილს მივუახლოვდებოდით, რამდენიმე სამხედრო მანქანა, პიკაპი და „ჰაილუქსი“ შემოგვხვდა.

სოფელი არბო კონფლიქტის ზონიდან სულ რამდენიმე კილომეტრშია და ომის შემდეგ ასე იქცევიანო, კიდევ ერთხელ განმიმარტა ჩემმა თანაფონდელმა, რომელსაც არბოში ახლობლები ჰყავს. დამწვარ სახლს ჩავუარეთ. უცხო მანქანის დანახვაზე ადგილობრივები ინტერესით გვაკვირდებოდნენ. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ, ქართველი პოლიციელების ბლოკპოსტსაც მოვკარი თვალი. სამანქანო გზა გადაკეტილი ჰქონდათ. მანქანას ორი ფორმიანი პოლიციელი გადაუდგა წინ. გაგვაჩერეს, თავაზიანად მოგვესალმნენ და პირადობები გვთხოვეს. პირადობა თან არ მქონდა და პრესკარტა მაქვსმეთქი, ვუთხარი, ერთ-ერთი შეიშმუშნა, რომელი გამოცემიდან ხარო?! ჩემმა თანამგზავრებმა „ჟურნალისტის“ ხსენებაზე გამგმირავი მზერა მესროლეს. თუმცა, მეორე სამხედრო ჟურნალისტების მიმართ კეთილგანწყობილი აღმოჩნდა, გვკითხეს, ვისთან და რატომ მივდიოდით, დაახლოებით რამდენ ხანში მოვბრუნდებოდით და მშვიდობიანი მგზავრობა გვისურვეს.

სოფელ არბოს სხვაზე მეტად ეტყობოდა ომის კვალი. პროფესიიდან გამომდინარე, აფხაზეთის ე. წ. საზღვრისპირა სოფლებში ჩასვლამ არაერთხელ მომიწია და იქაურების სახეები დღემდე მახსოვს, — ცდილობდნენ, ზედმეტი არ ელაპარაკათ. მათთან შედარებით არბოელები უფრო სიტყვაუხვები ჩანდნენ. ომის ხსენებაზე უსიამოვნო მოგონებები აეშალათ, თუმცა, აგვისტოს მძიმე დღეებს იუმორითაც იხსენებენ.

**კაკო, 65 წლის, სოფელ არბოს მკვიდრი:**

— რაც უფრო ახლოვდებოდა სროლა, შიში უფრო მატულობდა, მაგრამ რაღას ვიზამდი. თბილისში წასვლას აზრი აღარ ჰქონდა. ბევრი უკან დაბრუნდა, საცობია და თუ სიკვდილი მიწერია, ბარემ ჩემს სახლში მოვკვდეო. მეც ასე ვამჯობინე. მხოლოდ იმაზე მწყდებოდა გული, რომ ჯანი არ მერჩოდა, ჩემს ბიჭებს (ქართველ სამხედროებს გულისხმობს) რამეში მივხმარებოდი. მათი დაფეთებული სახეების დანახვაზე გული მიკვდებოდა. წადით, სადმე გაიხიზნეთო, გვეუბნებოდნენ. სად უნდა წავსულიყავი? მოვკიდე ჩემს დედაბერს ხელი და აივანზე დავჯექი, დაბომბვა თუ დაიწყო, მინდორში გავალთ და სადმე შევეფარებით-მეთქი. არ მინდა იმ დღეების გახსენება. ახლა კი ვხუმრობ, 8-9 აგვისტოს დაბომბვების დროს, გულზე პირველი ნახეთქი გამიჩნდა-მეთქი, მაგრამ მართლა ასეა. როცა რუსები შემოვიდნენ, უკვე ყველაფერი ჩაწყნარებული იყო. იმ რამდენიმე დღის განმავლობაში იმდენი რამე გადავიტანეთ, ასე მეგონა,

სიკვდილსაც თვალდაუხამხამებლად შევხვდებოდით, მაგრამ როცა ჩემი სახლის წინ ნაძვების ჩრდილთან რუსის ტანკი შემოგრუხუნდა, კიდევ ერთხელ დამასხა ცივმა ოფლმა. გარეთ რომ გავიხედე, ტანკის ლულა ზედ ჩემი ჭიშკრის თავზე იყო შემოდებული. რამდენიმე წუთის შემდეგ იქიდან ორი რუსი ჯარისკაცი ამოხტა, — ნუ გეშინიათ, არაფერს დაგიშავებთ, საწვავი დაგვიმთავრდა და სანამ მოგვიტანენ, აგერ ჩრდილში გავჩერდებით, თორემ ამ სიცხეში იმ საშინელ მანქანაში რომ ვისხდეთ, ავდუღდებითო. ერთმა ველარ მოითმინა და „ჩამირტყა“, — მამაჩემისგან ვიცი, რომ ქართველებს მაგარი არაყი გაქვთო. სხვა რა გზა მქონდა, არაყიც გამოვუტანე და მისაყოლებელიც. ხომ იცით, ადამიანები ვართ და საერთო ენაც ვიპოვეთ.

**— „დაგიმეგობრდნენ?“**

— თითქმის, პატარა ბიჭები იყვნენ. მათ შორის ერთი მოსკოველი იყო, სერჟანტი, ძალიან ზრდილობიანად იქცეოდა. სხვები რომ გარეკავდნენ, ეს თვალებს დაუბრიალებდა, ველურებივით ნუ იქცევითო. ერთ დღეს ტანკშიც ჩამსვეს. რა მექნა, მაგათ ხელში ვიყავი და ავყევი....

**— მათთან ერთად ოსებიც იყვნენ?**

— არა, ვერ იტანდნენ და ახლოსაც არ იკარებდნენ. ერთხელ მკითხეს, სანადირო თოფი გაქვთო? არა-მეთქი, გექნება სადმე, თუ არა და, რევოლვერს მოგცემთ და როგორც კი აქ გაჭაჭანებულ ოსს დაინახავთ, მაშინვე ესროლეთ და ჩვენ დაგვაბრალეთო. ეზიზღებოდათ. ამათზე უმადური და დაუნდობელი ხალხი არ გვინახავსო. ერთ-ერთი ჩეჩნეთში იყო ნამყოფი და იქაურ ამბებს იხსენებდა. იცით ალბათ, რა უქნეს რუსებმა ჩეჩნეთს და პირიქით, ჩეჩნების შურისძიებაზეც ლეგენდები დადიოდა. წარმოიდგინეთ, ოსები ჩეჩნებზე მეტად სძულდათ. ფულის გულისთვის საკუთარ ცოლ-შვილს გაყიდიანო. არადა, ვიცნობ ოსებს. აგვისტოს ომამდე აქ გადმოდიოდნენ და ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობა გვქონდა. ასეთი რამ არასდროს შემიმჩნევია. ეტყობა, რუსების მიმართ არიან ასეთი.

**— აგვისტოს ომის შემდეგ როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება?**

— მძიმედ. ვისაც თბილისიდან არ ეხმარებიან, უჭირს. აქაურებს მიწის პატარა ნაკვეთები აქვთ. ერთადერთი, უსაფრთხოებას არ ვუჩივით.

ჩვენმა რესპონდენტმა ერთ ცხინვალიდან დევნილ ქართველთან წაგვიყვანა. ქალბატონ ლენას ქმარი ოსი იყო. 90-იან წლების სამაჩაბლოს ომის დროს მეუღლე ცოცხალი ჰყავდა და იქიდან წამოსვლაზე არც უფიქრია. ახლა კი ცხინვალი დატოვა და არბოელ ნათესავებს შეეხიზნა. მისი ნათესავების სახლის კედლებს ნატყვიარები ეტყობა. არავინ იცის, შემთხვევით ესროლეს თუ მიზანმიმართულად. შუახნის ქალი აგვისტოს ომის წინა დღეებს იხსენებს.

— ციხის საავადმყოფოში ვმუშაობდი... 7 აგვისტოს ცხინვალში მშვიდობიანი მოსახლეობა თითქმის აღარ იყო დარჩენილი, წინა დღეებში გაგვაფრთხილეს, რომ ქართველების შემოტევას ელოდნენ და იქაურობას დროებით უნდა გავცლოდით. ცხინვალი პატარა ქალაქია და გავიგეთ, რომ ომი იწყებოდა. არ ისვენებენ, ლენა, ეს შენი ქართველებიო, მიკბინა ოსმა თანამშრომელმა. მერე ისიც გავიგეთ, ციხიდან ის პატიმრებიც გაუშვათ, ვინც კარგად ისროდა. მეორე ოსმა თანამშრომელმა, რომელთანაც ვმეგობრობდი, თავის სოფელში, დისევში წასვლა შემომთავაზა, „საქართველოდან“ შეტევა იწყება და როგორ უნდა წახვიდეო. უარი ვუთხარი.

**— რატომ?**

— ვიცოდი, რომ თუ იქ წავიდოდი, ჩავრჩებოდი კიდეც... ჩემს სამსახურთან უფასო ავტობუსები იდგა. ხელმძღვანელობამ ხელფასი წინასწარ დაგვირიგა და დაგვამშვიდა, — ყველაფერი მალე დასრულდება და ქალაქში დაბრუნების შესაძლებლობა მოგეცემათო. ვისაც სახლები ცხინვალთან ახლო სოფლებში ჰქონდა, მათ ყაბარდოსა და ვლადიკავკაზში წასვლას ურჩევდნენ. ჩემი შვილები მოსკოვში ცხოვრობენ და ყოველდღე მირეკავდნენ, დედა, დატოვე იქაურობაო. ჩემს მეზობლად თედეევა ცხოვრობდა, ქმარი ქართველი ჰყავდა და იმ დღეებში დედასთან იყო სტუმრად ჩამოსული. მოკლედ, მას დავუკავშირდი და ჯავის გავლით, იქიდან საჩხერის გზით ვაპირებდით წამოსვლას. სახლიდან შუაღამისას გამოვედი. ჩემი კორპუსის წინ კოკოითის დედ-მამა ცხოვრობდა. ორივე აივანზე იყო გამოსული. მივხვდი, რაღაცას ელოდებოდნენ. რამდენიმე წუთში კორპუსის ეზოში თეთრი „ნივა“ შემოვიდა. სამხედროებმა ისინი იმ მანქანაში ჩასვეს და წაიყვანეს. კარგი ადამიანები იყვნენ, ყველასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. სხვათა შორის, ის, რომ კოკოითი აქამდე სადმე არ ჩაცხრილეს, მათი დამსახურებაა. ოსები მამამისს პატივს სცემდნენ.

**— რუსეთში წასვლაზე არ გიფიქრიათ?**

— არა. სანამ წამოვიდოდით, თავად მოვისმინე, ჩემს მეზობელს მისი რუ-



ქართული ბლოკპოსტი სოფელ არბოსთან

სეთში მცხოვრები შვილი ტელეფონით ელაპარაკებოდა და ამშვიდებდა, ნუ გეშინია, რუსეთიდან ჯარი წამოვა და დაგეხმარებიანო.

**— რა იცით თქვენს სახლზე?**

— დაიწვა. 8 აგვისტოს ცხინვალის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე ერთდროულად სამი საცხოვრებელი კორპუსი დაიწვა, მათ შორის იყო ჩემი სახლიც.... შვილებმა იციან, რომ რუსეთში ვერ ვიცხოვრებ და შემპირდნენ, რომ გორში ბინას მიყიდიან. ალბათ, სამსახურს ვერ დავიწყებ, რადგან აქაც ისე ჭირს სამუშაო, როგორც ცხინვალში. საბედნიეროდ, ჩემი მასპინძელი ნათესავების კმაყოფაზე არა ვარ, მეზობლის ბავშვებს რუსულ ენასა და ლიტერატურაში ვამზადებ. მენატრება ცხინვალი, მაგრამ როგორც მეუბნებიან, იქაურობა მიწასთან არის გასწორებული. ომამდე იქ ცხოვრება ძალიან ჭირდა. პენსია 250 რუბლი მქონდა (ეროვნული ვალუტით 10-ლარზე მეტი. — ავტ.), ომის შემდეგ, ალბათ, ცხოვრების პირობები გაუარესდებოდა. ჩემი მეუღლის საფლავი მენატრება და იმედია, ოდესმე მეღირსება ჩასვლა.

**ანზორი, 65 წლის:**

— ჩვენთან დიდი გაჭირვებაა. ომამდე იმ დაკარგულ სოფლებში ბაღები გვქონდა. ახლა იქ ვინ მიგვიშვებს? ხალხი, ძირითადად, მესაქონლეობით ირჩენს თავს. ფრინველიც გვყავს, მაგრამ მიწა არ არის სამყოფი. იმ ხალხმა, ვინც იქ სახლები დაკარგა, საქონელი აქ დააბინავა. უარი ვერ ვუთხარით, ხალხმა სახლ-კარი დაკარგა და ხომ არ გავწირავდით. ზოგი თბილისში წავიდა, მოხუცები საქონელთან დარჩნენ, თბილისში ხომ არ წაიყვანდნენ... ვითარება ცოტათი რომ ჩაწყნარდა, მალულად გადავედით „იქით“, დავამუშავეთ, მოსავალი მოვიყვანეთ, მაგრამ ვერ ავიღეთ, ზოგი ოსებმა გაზიდეს, ზოგს რუსმა სამხედროებმა „მიხედეს“, ხოლო რაც დარჩა, საქონელი მიუშვეს.

იქიდან ქოქოშვილებთან ავედით. სამშვილიანი ოჯახი მიწურში ცხოვრობს. მობარებული საქონელი გვყავს და იმათ ვუვლითო, გვითხრეს. ოჯახის უფროსი ავადმყოფია, სისხლძარღვები აწუხებს და უმეტესად წევს. დიასახლისი კი ერედვში მიწის დასამუშავებლად ბავშვებთან ერთად გადასვლას ვერ ბედავს. ერთხელ მოტეხილი სიმინდი წაგვართვეს ოსებმა. მე და ჩემი შვილები შორიდან ვუყურებდით. არბოში კი მიწები უკვე გადანაწილებულიაო, — გვითხრა დიასახლისმა.

***ლალი პაპასკირი***

# მსოფლიოს ვეტერანები საქართველოში



14 მაისს თბილისს მსოფლიოს ვეტერანთა ფედერაციის წარმომადგენლობა ესტუმრა. სტუმართა შორის იყვნენ: ვეტერანთა ფედერაციის თავმჯდომარე ჰამიდ იბრაჰიმი, ფედერაციის გენერალური მდივანი მუჰამედ ბენჯელოუნი, ვიცე-პრეზიდენტები დან-ვიგო ბერგტუნი და შარლემან ბატაიოლა. მსოფლიო ვეტერანთა ფედერაციის დელეგაციის საქართველოში მოწვევა და კავკასიის ვეტერანთა ცენტრთან დაახლოება სახელმწიფოს ინიციატივაა.

საქართველოში კავკასიის ვეტერანთა ცენტრის შექმნისა და მსოფლიოს ვეტერანთა ფედერაციის დელეგაციის სტუმრობის მიზნებზე კავკასიის ვეტერანთა ცენტრის თავმჯდომარეს, თადარიგის გენერალ-მაიორ **გია თორაძეს** ვესაუბრეთ:

„ჩვენი ცენტრი ოფიციალურად 2012 წლის 3 იანვარს დაარსდა. დამფუძნებელთა ჯგუფში ის ადამიანები ვართ, ვინც ოცი წელია ერთად მოვდივართ და ამიტომაც გადავწყვიტეთ ჩვენი საქმიანობისთვის ოფიციალური სახე მიგვეცა იმდენად, რამდენადაც საქართველოში ვეტერანთა უფლებების დაცვის საქმეში სავალალო მდგომარეობაა.

ჩვენ გავიარეთ კონსულტაციები როგორც თავდაცვის სამინისტროსთან, ისე პარლამენტსა და თბილისის მერიაში, აგრეთვე სხვადასხვა უწყებაში. ყველა გაგებით მოეკიდა ჩვენს ინიციატივას. ჩვენი მიზანია მივაწოდოთ სახელმწიფოს ინფორმაცია ვეტერანთა მდგომარეობის შესახებ, რომელთა რიცხვიც დღეისათვის 73 ათასს აღწევს.

მსოფლიოს ვეტერანთა ფედერაციის დელეგაციის მასპინძლობა ჩვენთვის უდიდესი პატივია. ჩვენი მიზანია ამ უდიდეს ფედერაციაში გაწევრება. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით უამრავ ვეტერანს ეხმარება დასაქმებასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. ვაპირებთ მათთან ერთად შევიმუშაოთ პროექტები ქართველი ვეტერანების დასახმარებლად“.

მსოფლიოს ვეტერანთა ფედერაციის თავმჯდომარე ჰამიდ იბრაჰიმთან საუბრისას ბატონმა გია თორაძემ სურვილი გამოთქვა, რომ კავკასიის ვეტერანთა ცენტრი მსოფლიოს ვეტერანთა ფედერაციას შეუერთდეს. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფოსთან თანამშრომლობენ და დახმარებასაც იღებენ, თუმცა ეს არ არის საკმარისი და უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელებაა საჭირო კავკასიელი ვეტერანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ბატონ ჰამიდ იბრაჰიმს მათი ჩამოსვლის მიზნებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ: „ჩვენი ვიზიტი ქართველი ვეტერანების მდგომარეობის გაცნობას და კავკასიის ვეტერანთა ცენტრთან დაახლოებას ემსახურება. გვინდა გავეცნოთ იმ პრობლემებს, რომლებიც ქართველ ვეტერანებს აქვთ და ასევე გვაინტერესებს, რამდენადაა სახელმწიფო დაინტერესებული მათი მდგომარეობის გაუმჯობესებით. სურვილი გვაქვს დავამყაროთ ურთიერთობა კავკასიის ვეტერანთა ცენტრთან, რათა შემდგომში თანამშრომლობა გაგვიადვილდეს და ერთობლივი პროექტები განვახორციელოთ“.

მსოფლიოს ვეტერანთა ფედერაციის ვიზიტის დროს უკვე გაიმართა შეხვედრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან. დელეგაციამ თბილისში კიდევ რამდენიმე დღე დაჰყო და ქართველ ვეტერანებსაც შეხვდა.

***ანი ტატულაშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რკინის „გალიები“
## ქართული ჯავშანტექნიკის დასაცავად

**ხომ არ აჯობებდა, საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს რამდენიმე ათეული ჯავშანტექნიკის გადაწყობის ნაცვლად, ძირითადი რესურსები ქართული არმიის შეიარაღებაში უკვე არსებული ტანკების ქვეითთა საბრძოლო მანქანებისა და ჯავშანტრანსპორტიორების ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური ქობინებისგან დამცავი, მოსახსნელი რკინის გისოსებით აღჭურვაში დაეხარჯა?!**

„დიდგორიც“, „ლაზიკაც“, ისევე როგორც სხვა ჯავშანტექნიკა შეიძლება ობივატელისთვის მართლაც ლამაზი სანახავია აღლუმზე და სახელისუფლებო პიარსაც ემსახურება, მაგრამ საბრძოლო მოქმედებების დროს ისინი დიდი პრობლემის, კერძოდ, კუმულაციურქობინიანი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებისა და ჭურვების პირისპირ შეიძლება აღმოჩნდნენ. ამის მწარე მაგალითი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ცხინვალის ქუჩებშიც მივიღეთ, როდესაც ქვეითების დაცვის გარეშე დარჩენილ (და თუ რატომ არ იყვნენ ქვეითები იქ, სხვა, არანაკლებ მძიმე თემაა) ქართულ ტანკებს ბარანკევიჩი და სხვა ოკუპანტები თუ ადგილობრივი სეპარატისტები ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნებით გვიფეთქებდნენ.

მართალია, ქართული T-72-ები აღჭურვილი იყო დინამიკური დაცვის ელემენტებით, რომლებსაც უნდა გაენეიტრალებინათ მოხვედრილი რაკეტის აფეთქებისას წარმოქმნილი მიმართული კუმულაციური ჭავლი (ბევრი რაკეტა შეიძლება ასეც იქნა მოგერიებული, მაგრამ მოწინააღმდეგე ახლო მანძილიდან და სხვადასხვა რაკურსიდან ესროდა РПГ-ებს) T-72-ის კოშკურასა და კორპუსის ბორტები და



РПГ-7-დან გასროლილ კუმულაციურქობინიან რაკეტას (გამომდინარე მისი მოდიფიკაციიდან) 260-500 მმ სისქის მონოლითური ჯავშნის გარღვევა შეუძლია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით კი უკანა მხარე ნაკლებად ან საერთოდ არ არის დაცული დინამიკური დაცვის ელემენტებით, რის გამოც ქვეითების გარეშე დარჩენილი ქართული ტანკები მოწინააღმდეგემ ცხინვალის ქუჩებში ფაქტობრივად „დახვრიტა“.

ქართული არმია პირველი არ ყოფილა, რომლის ტანკებსა და ჯავშანმანქანებს ქალაქის ქუჩებში მოუწიათ ბრძოლამ. ჯერ კიდევ 1945 წლის გაზაფხულზე ბერლინის ქუჩებში საბჭოთა T-34-ებს დედაქალაქის დამცველებმა ფაუსტპატრონები — კუმულაციურქობინიანი რაკეტები დაუპირისპირეს და უპრობლემოდ ხვრეტდნენ საბჭოთა ტანკების შუბლა ჯავშანსაც კი.

მაშინ ტანკისტებმა შედარებით იოლ გამოსავალს მიაგნეს, — სახლებიდან ზამბარებიანი საწოლები გამოიტანეს და ტანკების ბორტებსა და კოშკურებზე დაადუღეს. ფაუსტპატრონა ჯერ ამ „დამატებით ჯავშანს“ ხვდებოდა და ადრეულად ინიცირდებოდა მისი კუმულაციური ქობინი, რომლის ჭავლი ტანკის ჯავშნამდე სანამ მიაღწევდა, იფანტებოდა და ველარ ხვრეტდა მას.

ვინმემ შეიძლება თქვას, რაღა დროს მეორე მსოფლიო ომი და საბჭოთა ტანკისტებიაო, მაგრამ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გავლის მიუხედავად, კუმულაციური ჭავლის მოქმედების ფიზიკური პრინციპი არ შეცვლილა და ამგვარი ქობინით აღჭურვილი რაკეტები ახლო მანძილზე




მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს ჯავშანტექნიკისთვის პრობლემაა.

ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელია ის ფოტოსურათები, რომლებიც ერაყსა და ავღანეთშია გადაღებული. როგორ გგონიათ, ეხალისებოდა პენტაგონს ორტონიანი რკინის ცხაურებით აღეჭურვა ერაყში გაგზავნილი „სტრაიკერის“ ტიპის ყველა ჯავშანტრანსპორტიორი ან მოცლილები არიან ბუნდესვერში, როდესაც ავღანეთში მებრძოლ „ლეოპარდებს“ გარშემო რკინის „გალიები“ უყენებენ.

იცით, გული რაზე გვტკივა? აგვისტოს ომამდე „არსენალში“ სწორედ ეს თემა გავაშუქეთ, კერძოდ, რკინის ცხრაურების დაყენება გაზრდიდა ქართული ტანკების დაცვისუნარიანობას კუმულაციურქობინიანი რაკეტებისგან...

აგვისტოს ომში ცხინვალის ქუჩებში რკინისცხაურებიანი ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები მაინც გამოჩნდა, თუმცა ის მოწინააღმდეგის რუსული T-62M და БТР-80-ები იყო, რითაც მათი დაცვისუნარიანობა კუმულაციურქობინიანი რაკეტების მოხვედრისგან გაზრდილი იყო.

დღეს საქართველოს შეიარაღებუ-


ავღანეთში მებრძოლი „ლეოპარდები“ ბუნდესვერმა რკინის „გალიებში“ ჩასვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცხინვალის ქუჩებში ქართული ტანკები РПГ-ებიდან დაცხრილეს...

ლი ძალების განკარგულებაში ჯავშანტექნიკის სხვადასხვა სახეობისა და ტიპის 400-მდე ერთეულია. მათ შორისაა Т-72 და Т-55 ტიპის ტანკები, БМП-1, БМП-2 და „ლაზიკას“ ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანები, БТР-70, БТР-80, „ეჯდერის“ ტიპის ჯავშანტრანსპორტიორები, МТЛБ-ს ტიპის ჯავშანგამწევები, „ჰამვის“, „ვულფის“, „კობრის“, „დიდგორი-1“ და „დიდგორი-2“ ტიპის ჯავშანმანქანები.

მათგან ჯავშნის გარდა დამატებითი დაცვა კუმულაციურჭობინიანი ქობინებისგან მხოლოდ Т-72 ტიპის ტანკებს აქვთ დინამიკური დაცვის ელემენტების სახით. თუმცა ცხინვალის ქუჩებში ბრძოლებმა აჩვენა, რომ ახლო მანძილზე ბრძოლისას ვერც დინამიკური დაცვის ელემენტები იქნება საიმედო. ასე რომ, 500-600-მდე მანძილზე (სადამდეც მიფრინავს РПГ-7-ის კუმულაციურჭობინიანი რაკეტა, სანამ თვითლიკვიდატორი ჩაერთვება), ქართული არმიის სხვა ყველა ჯავშანტექნიკა თითქმის განწირულია თუ ასეთი ტიპის რაკეტა მოხვდა.

დინამიკური დაცვის ელემენტებს თხელკედლიან ჯავშანტექნიკას ვერ დაუყენებენ, რადგან მისი აფეთქებისას წარმოქმნილი დარტყმის ძალა შეანგრევს „ლაზიკასა“ თუ „დიდგორის“ თხელ ჯავშანს. ამასთან, დინამიკური დაცვის ელემენტის ინიცირებისას წარმოქმნილი ნამსხვრევები შეიძლება სახიფათო გახდეს ჯავშანტექნიკაზე მსხდომთათვის ან გვერდზე მყოფთათვის.

რაკეტებისგან თავდაცვის თანამედროვე საშუალება აქტიური დაცვის სისტემაა — საბრძოლო მანქანაზე ლოკატორი და ანტირაკეტები მონტაჟდება. რადიოლოკატორი დროულად აღმოაჩენს მისკენ მფრენ რაკეტას და მის შესახვედრად ანტირაკეტას საბორტო კომპიუტერი ავტომატურ რეჟიმში უშვებს. ანტირაკეტა ფეთქდება ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის წინ, მას ნამსხვრევებით ანადგურებს ან ფრენის მიმართულებას უცვლის.

ასეთი აქტიური დაცვის სისტემა ძვირი ღირს, ჯერ კიდევ კარგად არ არის ათვისებული და მათი მასობრივად დაყენება ქართულ ჯავშანტექნიკაზე საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან




საქართველოში შემოჭრილ ერთ-ერთ რუსულ Т-62М-ზე დაყენებული ცხაურებიანი ეკრანები

გამომდინარე, არარეალურია. რჩება ერთადერთი, იაფი და ამასთან ტექნიკურად მოსახერხებელი ვარიანტი, რომლის შესრულება საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დღევანდელ დონეს მეტ-ნაკლებად ძალუძს. ეს არის მოსახსნელი რკინის ცხაურების კონსტრუქციების შემუშავება ჯავშანტექნიკის კონკრეტული სახეობებისთვის და მათი დაყენება როგორც T-72-ებზე, ისე ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და ჯავშანტრანსპორტიორებზე.

რკინის ცხაურების მოხსნა-დაყენებას ჯავშანტექნიკაზე 4-5 სთ-ზე მეტი არ დასჭირდება, სამაგიეროდ, საბრძოლო მოქმედების დაწყებისას მეტად იქნებიან დაცული, რადგან ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციურქობინიანი რაკეტა ცხაურზე მოხვედრისას აფეთქდება, ხოლო მიმართული მოქმედების კუმულაციური ჭავლი მანქანის ჯავშნამდე გაიფანტება.

ვინმეს არ ეგონოს, რომ რკინის ცხაურები იდეალური გამოსავალია და ამის შემდეგ ჯავშანტექნიკას აღარაფერი დაემუქრება. ასე ნამდვილად არ არის. ის ვერ შეაჩერებს ქვეკალიბრის ჯავშანგამტან ჭურვებს და, სავარაუდოდ, ორთავიან კუმულაციურქობინიან რაკეტებს. რკინის ცხაურების დაყენება ამძიმებს ისედაც დიდმასიან ჯავშანტექნიკას. მაგალითად, ცხინვალში შემოსული რუსული БТР-80-ების რკინის „გალიები“ ერთ ტონამდე იწონიდა, ამერიკული „სტრაიკერის“ რკინის გისოსების სისტემის მასა კი ორ ტონამდე ადის.


БМП-2-ის დაცვა
რკინის ცხაურების გამოყენებით


ერაყის გზებზე ამერიკული „სტრაიკერები“ ორტონიან რკინის „გალიებს“ დაატარებდნენ

წარმოიდგინეთ, ისედაც გადატვირთული „დიდგორისა“ და მით უმეტეს, „ლაზიკას“ შასი გაუძლებს კიდევ ერთი-ორტონიანი რკინის „გალიის“ ტარებას? მაგრამ სხვა გამოსავალი ნამდვილად არ არის, თუკი გვსურს მართლაც დავიცვათ ქართულ ჯავშანტექნიკაში მსხდომი ჩვენი მეომრები.

ამიტომაც ვსვამთ კითხვას: ხომ არ აჯობებდა „ლაზიკებსა“ თუ „დიდგორებზე“ ენერგიის და რაც მთავარია, დიდი თანხების ხარჯვას, ჯერ ქართული არმიის უკვე არსებული ჯავშანტექნიკის დაცვის გაძლიერებაზე გვეფიქრა და ისინი კუმულაციურქობინიანი რაკეტებისაგან დამცავი რკინის ცხაურებით მასობრივად აღგვეჭურვა?

***ირაკლი ალადაშვილი***

მონდომების შემთხვევაში, ჯავშანტექნიკის მთელი კორპუსის დაცვა შეიძლება კუმულაციურქობინიანი რაკეტებისგან



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების



აზერბაიჯანის განაღმვის ეროვნული სააგენტო (ANAMA) განაგრძობს ქვეყნის ტერიტორიის ფეთქებადსაშიში საგნებისგან გასუფთავების პროცესს

## აზერბაიჯანი

- აპრილში აზერბაიჯანის ტერიტორიის განაღმვის ეროვნული სააგენტოს (ANAMA) მონაცემებით გააუვნებლეს 751 აუფეთქებელი საბრძოლო მასალის ერთეული, 2 ქვეით — და 9 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი. ამჟამად განაღმულია აზერბაიჯანის ტერიტორიის 190247971 კვმ. განადგურებულია 671404 ნაღმი და აუფეთქებელი საბრძოლო მასალის ერთეული.
- 7 მაისს ფიზულის რაიონში, აზერბაიჯან-სომხეთის შეხების ხაზის მახლობლად, მიწის მოხვნის დროს ნაღმზე ტრაქტორი აფეთქდა და ტრაქტორისტი მძიმედ დაიჭრა.
- 14 მაისს შამქორის მე-3 საარმიო კორპუსის ყაზახის რაიონში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის ჯარისკაცმა ტაბელური იარაღით თანამებრძოლი მოკლა და შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.
- რუსეთთან ხელმოწერილი კონტრაქტების შესაბამისად, მიმდინარე წლის ბოლოსთვის აზერბაიჯანის განკარგულებაში 40 სამხედრო-სატრანსპორტო Ми-17В1 და 24 საბრძოლო Ми-35М ტიპის შვეულმფრენი იქნება.
- 17 მაისს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის გამო აღდამის რაიონში აზერბაიჯანის არმიის 19 წლის ჯარისკაცი თავში მძიმედ დაიჭრა.

## სომხეთი

- რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სასწავლო ცენტრებში მომზადებული უმცროსი სპეციალისტები სამოქალაქო ავიაციის რეისებით სომხეთისკენ დონის როსტოვის, ეკატერინბურგისა და მოსკოვის აეროპორტებიდან მიფრინავენ საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით. ისინი 102-ე ბაზის იმ სამხედროებს ცვლიან, რომლებსაც სამსახურის ვადა დაუსრულდათ. მაისის პირველი რიცხვებისთვის რუსეთიდან ათასზე მეტი მძღოლ-მექანიკოსი, მემიზნე-ოპერატორი, სნაიპერი, ყუმბარმტყორცნელი, მზვერავი და სხვა სამხედრო სპეციალისტია გადმოყვანილი. ახალი შევსების მწყობრში შეყვანა მაისის ბოლოს უნდა დასრულდეს.
- 4 მაისს პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი თავდაცვის სამინისტროს ეწვია და მინისტრ სეირან ოგანიანს აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე საბრძოლო მორიგეობის გაძლიერება დაავალა. პრეზიდენტმა ასევე კომენტარი გააკეთა აპრილის ბოლოს მომხდარ ინციდენტზე, როცა 3 სომეხი სამხედრო დაიღუპა, და ამაში აზერბაიჯანი დაადანაშაულა.
- „სომეხი საზოგადოების საბრძოლო სულისკვეთება არ არის ისეთ მაღალ დონეზე, როგორც 20 წლის წინ იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ყველაფერი შეიცვლება“, — ასე თვლის ყარაბაღის ომის ვეტერანი, რაზმი „არბოს“ მეთაური მანველ ეგიაზარიანი. მისი თქმით, საბრძოლო სულისკვეთება თითოეულ სომეხ მამაკაცში ზის და საჭიროა მხოლოდ მისი გამოღვიძება.
- 8 მაისს სომხეთის არმიის ერთ-ერთი ქვედანაყოფის ჯარისკაცმა დილის გარბენის დროს გრძნობა და-



პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა თავდაცვის მინისტრ სეირან ოგანიანს აზერბაიჯან-სომხეთის საზღვარზე საბრძოლო მორიგეობის გაძლიერება დაავალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმოხილვა



58-ე არმიის შეიარაღებაში ახალი ჯავშანტრანსპორტიორი БТР-82А-ები შევიდა

კარგა და სტეფანაკერტის ჰოსპიტალში გადაყვანისას გარდაიცვალა.

F13/48

## ჩრდილო კავკასია

● 4 მაისს დონის როსტოვში სამხრეთის სამხედრო ოლქის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრ გალკინის თავმჯდომარეობით საზეიმო სხდომა ჩატარდა. სხდომაზე ითქვა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე ოლქი ახალი საავიაციო ტექნიკის 40 ერთეულს მიიღებს და მათ შორის 10 Ка-52 Аллигатор-ი იქნება.

● 9 მაისს ვლადიკავკაზში ჩატარებულ აღლუმზე პირველად აჩვენეს 58-ე არმიის შეიარაღებაში მიღებული ჯავშანავტომობილი ГАЗ-2330 Тигр-ი და ჯავშანტრანსპორტიორი БТР-82А.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● ოკუპანტების მე-7 სამხედრო ბაზის სარდლობამ შეაჯამა საბრძოლო სწავლების 2011-12 წლების ზამთრის პერიოდის შედეგები. ამ პერიოდში ყურადღება საბრძოლო გაწვრთნილობის, თანამედროვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ფლობის ჩვევათა და მორალურ-ფსიქოლოგიური სულისკვეთების სრულყოფას დაეთმო. ხუთ თვეში საცეცხლე მომზადებაში ათასზე მეტი მეცადინეობა ჩატარდა. შესრულდა პრაქტიკული სროლები სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღით, ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან და Т-90А ტიპის ტანკებიდან. ჩატარდა ათასზე მეტი მეცადინეობა საბრძოლო მანქანების ტარებაში. გავლილია 42 ათასზე მეტი კმ სხვადასხვა რელიეფისა და საფრის გზებზე. დახარჯულია 1 მლნ-ზე მეტი საბრძოლო მასალა და 70 ტ-ზე მეტი საწვავ-საპოხი მასალა. მეცადინეობა, ძირითადად, ღამით ჩატარდა.

● საოკუპაციო ჯარების მე-7 სამხედრო ბაზამ 50-ზე მეტი დაჯავშნული ავტომობილი КАМАЗ-5350 მიიღო. სპეციალურ მომზადებას 200 მძღოლი გაივლის.

● საოკუპაციო ჯარების მე-7 სამხედრო ბაზის გამნაღმველები დაიწყებენ ნაგვალოუსა და წებელდის პოლიგონების ფეთქებადსაშიში საგნებისგან გასუფთავებას. შესამოწმებელია დაახლოებით 12 ათასი ჰა ტერიტორია, რომლის ნახევარი ძნელად მისადგომია. გამნაღმველები ნაღმმძებნელ NR-900EK Коршун-ს გამოიყენებენ და ნაპოვნ ყველა სახის აუფეთქებელ საბრძოლო მასალას გაანადგურებენ.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 10 მაისს შედგა ე. წ. სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის აპრილის ბოლოს ჩატარებული 5-დღიანი სწავლების გარჩევა და შედეგთა შეჯამება. სწავლების მიზანი იყო პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის შემოწმება, საველე ჩვევების სრულყოფა და საბრძოლო ვითარებასთან დაახლოებულ პირობებში ჯგუფების მოქმედებათა შეთანწყობა. პოლიგონზე დასკვნით მეცადინეობაზე დამუშავდა პირობითი მოწინააღმდეგის გასანადგურებელი მოქმედებები, მოწინააღმდეგისგან მოწყვეტა, დასახულ რაიონში გასვლა და საინჟინრო მომზადების ნორმების შესრულება.

**თემურ ჩაჩანიძე**



საოკუპაციო ჯარების გუდაუთის მე-7 სამხედრო ბაზა КАМАЗ-5350-ის მოდელის ავტომობილებით შეივსო, რომლებსაც შენიღბული დაჯავშნა აქვთ



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



# აშშ-ის ყველაზე საიდუმლო სამსახური

**გასულ თვეში აშშ-ის პრეზიდენტის ბარაქ ობამას ადმინისტრაცია დიდ სკანდალში გაეხვია. 17 აპრილს აშშ-ის თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტი სრულიად ენდობა აშშ-ის საიდუმლო სამსახურის უფროს მარკ სალივანს და მას სამსახურიდან არ გაათავისუფლებს. მაინც რა გახდა ამგვარი სკანდალური განცხადების მიზეზი? ვფიქრობთ ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება აშშ-ის ძველი სპეცსამსახურის შესახებ ინფორმაციის გაცნობა.**

## აბრაამ ლინკოლნის ისტორიული გადაწყვეტილება

1865 წლის 14 აპრილს აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ჰიუ მაკკალაფი პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნს კაბინეტში ესტუმრა და ერთი, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა გააცნო. საქმე ყალბი დოლარების მასობრივ ბეჭდვასა და გავრცელებას ეხებოდა.

ამ დანაშაულთან საბრძოლველად ფინანსთა მინისტრის აზრით, უნდა შექმნილიყო სპეციალური სტრუქტურა.

ლინკოლნმა ყურადღებით მოისმინა მინისტრის არგუმენტები და იმავე დღეს განკარგულება გასცა აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში საიდუმლო სამსახურის შექმნაზე, რომლის ფუნქცია ყალბი ფულის ბეჭდვისა და გავრცელების აღკვეთა იქნებოდა.

თუმცა ეს დღე სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი და საბედისწერო მოვლენის გამო შევიდა ისტორიაში. იმავე საღამოს პრეზიდენტი ლინკოლნი თეატრში წაბრძანდა, სადაც ის რევოლვერით მსახიობმა, კონფედერატების მომხრე 26 წლის ჯონ ბუტმა სასიკვდილოდ დაჭრა.

ამ დროს კი ლინკოლნის ერთადერთი „მცველი" ვეტერანი მეომარი მაიორი რასბოუნი სპექტაკლის ყურებით იყო გართული.

სამ ათეულ წელზე მეტი და კიდევ ერთი პრეზიდენტის მკვლელობა გახდა „საჭირო", რომ სახელმწიფოს პირველ პირთა დაცვის სამსახური შექმნილიყო.

1901 წელს მოკლეს აშშ-ის პრეზიდენტი მაკ-კინლი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო კონგრესმა გადაწყვეტილება პრეზიდენტის დაცვის აუცილებლობის შესახებ და ეს ფუნქცია ფინანსთა სამინისტროს საიდუმლო სამსახურს დაევალა.

2003 წლიდან კი აშშ-ის საიდუმლო სამსახური უკვე შინაგანი უშიშროების სამინისტროს შემადგენლობაში მოქმედებს (შტატი 3 ათასამდე თანამშრომელს ითვლის) და ორი ძირითადი ფუნქციის შესრულებას უზრუნველყოფს:

— ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირთა (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, ასევე ყოფილი პრეზიდენტები) და მათი ოჯახის წევრების, უცხოეთის ოფიციალური დელეგაციების, აშშ-ის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა ქვეყნების საელჩოების და საკონსულოების დაცვა;

— ეროვნული საფინანსო სისტემის დაცვა (ყალბი ფულის, საკრედიტო ბარათების და ფასიანი ქაღალდების დაბეჭდვის და გავრცელების, ასევე ფულის გათეთრების აღკვეთა);

## პრეზიდენტის ვიზიტი — ყველაზე დიდი თავსატეხი

ქვეყნის პირველი პირების სიცოცხლე ყოველთვის და ყველგან საფრთხეშია. პრეზიდენტზე თუ პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა შეიძლება მოაწყონ პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა და რელიგიურმა ფანატიკოსებმა, ადგილობრივმა ნაციონალ-ორთოდოქსებმა თუ სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებმა, კრიმინალურმა სამყარომ და ა.შ.

სამწუხაროდ, მსოფლიოს უახლეს ისტორიას ზემოჩამოთვლილი ყველა სახის თავდასხმა ახსოვს. უმრავლესობა ლეტალური შედეგით დასრულდა, რა იყო ამის მიზეზი, დაცვის სამსახურის შეცდომა თუ ბედისწერა?

აშშ-ის პრეზიდენტის პოლიტიკური მოღვაწეობა ქვეყნის შიგნით თუ საზღვარგარეთ მუდმივ შეხვედრებს გულისხმობს. ამიტომაც მისი უსაფრთხოების დაცვის მოსამზადებელი ღონისძიებები ვიზიტამდე კარგა ხნით ადრე იწყება.

რამდენიმე კვირით ადრე მუშაობის დაძაბულ რეჟიმზე გადადიან საიდუმლო სამსახურის ანალიტიკური დანაყოფის თანამშრომლები. ისინი შეისწავლიან მასპინძელი ქვეყნის სოცი-

ალურ-პოლიტიკურ, რელიგიურ, ეკოლოგიურ, კრიმინალურ მდგომარეობას და ა.შ.

ანალიტიკური ცნობები გადაეცემა კურატორს. ამის შემდეგ საქმეში ერთვებიან ოპერატიული თანამშრომლები, რომლებიც ჩადიან ამ ქვეყანაში და კოლეგებთან — მასპინძელი სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან ერთად გეგმავენ მარშრუტებს, ხალხმრავალ ადგილებში უსაფრთხოების ზომებს, ყურადღებით ათვალიერებენ იმ სასტუმროს, სადაც პრეზიდენტი უნდა დაბინავდეს და ა.შ.

მესამე ეტაპზე მუშაობას ოპერატიულ-ტექნიკური დანაყოფის სპეციალისტები იწყებენ და სასტუმროს ოთახებში სპეციალური სკანერებით მოსასმენი აპარატურის, გამოსხივების წყაროების თუ ნაღმების არსებობას ამოწმებენ. იმავდროულად ამონტაჟებენ სპეციალურ აპარატურას, რომელმაც უცხო რადიოსიხშირეები უნდა ჩაახშოს.

## სიდნეი (ავსტრალია), 2008 წელი

2008 წელს ავსტრალიაში გამართული აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფორუმი ბევრი რამით იყო საინტერესო. გაშიშვლებული ანტიგლობალისტების საპროტესტო მიტინგების გარდა, უფრო დაკვირვებული თვალი აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უმცროსის დაცვის უპრეცედენტო ღონისძიებებსაც შეამჩნევდა.

ავსტრალიის ფორუმის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე სიდნეიში ამერიკიდან 15 სპეცჯგუფი ჩავიდა, რომლებმაც გაწვრთნილი ძაღლებით ბუშის ვიზიტის ყველა კუთხე-კუნჭული შეისწავლეს.

ამერიკის პრეზიდენტის დაცვის სპეცსამსახურის 250 საიდუმლო აგენტი კი ბუშის ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე დაეშვა სიდნეის აეროპორტში. მათ 16(!) დაჯავშნული ავტომობილიც (მათგან რამდენიმე Cadillac DeVille (DTS)) ჩაიტანეს, რომელთაგან ერთი ბუშისთვის იყო განკუთვნილი.

საინტერესოა, რომ ფორუმში მონაწილე სამ ათეულზე მეტი სახელმწიფოს მეთაურის პირადი დაცვის წევრებიდან მხოლოდ ჯორჯ ბუშის დაცვას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება.

საინფორმაციო წყაროების ცნობით, ბუშის დასაცავ ღონისძიებებზე რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაიხარჯა. მიუხედავად ამისა, კურიოზი მაინც მოხდა, — **ავსტრალიელმა მსახიობებმა ბუშის დაცვის სიფხიზლის შემოწმება გადაწყვიტეს და მოტოციკლისტების კორტეჟით და სამი ლიმუზინით, რომლებსაც კანადის ეროვნული დროშა ამშვენებდა, დაცვის კორდონების გავლა სცადეს.**

**ორი გაძლიერებული ბლოკპოსტი ისე გაიარეს, არავის მათთვის დოკუმენტი არ მოუთხოვია და მხოლოდ იმ სასტუმროს კართან, სადაც პრეზიდენტი ბუში დაბინავდა, დაცვამ ონავარი ჟურნალისტების მასკარადი აღკვეთა.**

ტერორისტებს ეს მეთოდი რომ გამოეყენებინათ, მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა. ეს იყო აშშ-ის საიდუმლო სამსახურის უფროსის მარკ სალივანის ქვეშევრდომების შეცდომა.

## კარტახენა (კოლუმბია), 2012 წლის აპრილი

16 აპრილს კოლუმბიის დედაქალაქ კარტახენაში VI ამერიკის სამიტი გაიმართა, სადაც რამდენიმე ათეული ქვეყნის პირველი პირების დაცვის გაძლიერებული ზომები იქნა მიღებული.

საიდუმლო სამსახურის ამერიკელი სპეცაგენტები წესისამებრ კარტახენაშიც ადრე ჩავიდნენ და ინსტრუქციის მიხედვით ოპერატიული-ტექნიკური ღონისძიებების გატარებას და პრეზიდენტ ობამას ვიზიტის მომზადებას შეუდგნენ.

თითქოსდა ყველაფერი რუტინულად მიდიოდა, როდესაც 13 აპრილს ამერიკის მასმედია სკანდალზე ალაპარაკდა. იმ დღეს აშშ-ის საიდუმლო სამსახურის და აშშ თავდაცვის უწყების ოცამდე სპეცაგენტი და თანამშრომელი კოლუმბიიდან უკან დააბრუნეს. ამას მოჰყვა სხვადასხვა ქვედანაყოფის ხელმძღვანელი სპეცაგენტების სამსახურიდან მასობრივად დათხოვნა.

## რა მოხდა ჰოტელ „ჩარიბეაში“?

ალბათ, არაფერი უჩვეულო ამერიკის სპეცსამსახურის აგენტებისთვის, მხოლოდ ამჯერად „კოკა წყალზე გატყდა“ და ისინი სიძუნწემ, ასევე კიდევ რამდენიმე ფაქტორმა დაღუპა.

სპეცაგენტებმა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ჯერ ბარში მოილხინეს, სადაც სასმელი თავზე სასხმელად იყო, შემდეგ კი ქალებთან გართობა მოინდომეს.

კარტახენაში, სადაც პროსტიტუცია ოფიციალურად დაშვებულია, არც ეს არის პრობლემა. ოცამდე ქალი ბარშივე შეარჩიეს და სასტუმროს ნომრებში მიიპატიჟეს.

ყველაფერი, ალბათ, ჰეპი ენდით დამთავრდებოდა, რომ არა ერთი სპეცაგენტის სიძუნწე, რომელმაც მეორე დღეს დანაპირების შესრულება აღარ მოისურვა და კარტახენელ ფეხმსუბუქ დიაცს, 24 წლის დანია სუარესს 800 დოლარის ნაცვლად 30 დოლარი გადაუხადა.

კლიენტისგან მოტყუებულმა სუარესმა და მისმა დაქალებმა მთელი



სკანდალის ცენტრში აშშ-ის საიდუმლო სამსახურის სპეცაგენტები აღმოჩნდნენ

ეროვნული

სასტუმრო წივილ-კივილით შეძრეს, უცბად საიდანღაც კოლუმბიელი პოლიციელებიც გაჩნდნენ(?!), მეორე მხრიდან კუნთმაგარმა ამერიკელმა სპეცაგენტებმა დაიცვეს კოლეგა და ...აქ უკვე მკითხველმა, წარმოიდგინოს, თუ რა სამხრეთამერიკული ორომტრიალი იქნებოდა.

ამ, ერთი შეხედვით სასეირო ისტორიაში შემაშფოთებელი ისაა, რომ აშშ-ის საიდუმლო სამსახურის სპეცაგენტები შესაძლოა რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურის კარგად დადგმულ ოპერაციაში გაებნენ და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია ხელში ჩაიგდეს.

ამ სკანდალის გახმაურებიდან რამდენიმე დღეში ამერიკის საკანონმდებლო ორგანოში შეშფოთდნენ. რესპუბლიკელმა სენატორმა, სენატის იურიდიული კომიტეტის წევრმა ჩაკ გრეისლიმ განაცხადა, რომ სავსებით შესაძლებელია, „მერცხლები“ რუსეთის საგარეო დაზვერვას მიეგზავნა საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებთან, მათ ხომ ამგვარი სპეცოპერაციების დიდი გამოცდილება აქვთო.

მეორე ვერსიით, არაა გამორიცხული, რომ უძველესი პროფესიის ქალები კოლუმბიის ნარკომაფიის დავალებას ასრულებდნენ.

## სუსტი ადმინისტრაცია= სუსტ სპეცსამსახურებს

საიდუმლო სამსახურის აგენტების ეს თავგადასავალი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ის სპეცსამსახურების უკანასკნელი წლების აშკარა კრიზისი სახეზეა.

2000 წლიდან აშშ-ის სპეცსამსახურებმა იმდენი შეცდომა დაუშვეს, რაც შექმნის დღიდან არ მოსვლიათ ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, სადაც გადამწყვეტი მაინც ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაციის საოცარი არაკომპეტენტურობა იყო.

აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ, რომელსაც საგარეო-პოლიტიკური და შიდა ადმინისტრაციულმმართველობითი გამოცდილება არ გააჩნდა (ის დიდ პოლიტიკაში მხოლოდ 2004 წელს გამოჩნდა, მანამდე კი ფედერალური დონის პოლიტიკოსიც კი არ იყო), ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის უწინდელი დიდების დაბრუნება ვერ შეძლო.

აშშ-ის დაზვერვამ (უმთავრესად კი ცსს-მ და ეროვნული უშიშროების სააგენტომ) „ლათინური სოციალიზმის“ ნელი მოქმედების ნაღმების ფორმირების პროცესი ვერ გათვალა და ვერც რამენაირად შეუშალა ხელი. შედეგად, ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში მიმდინარე სახიფათო პროცესებს აშშ-ის ადმინისტრაცია უკვე ველარ აკონტროლებს.

**აშშ-ის არმია და სპეცსამსახურები ისე ღრმად ჩაეფლნენ ერაყისა და ავღანეთის ომებში, რომ ლათინური ამერიკის „გაწითლება“ გამოეპარათ.**

„კარგი სადაზვერვო ინფორმაცია ფუფუნება კი არა, აუცილებლობაა“, — განაცხადა 2009 წლის 9 იანვარს ვაშინგტონში ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ.

ამერიკის პრეზიდენტმა ქვეყნის სპეცსამსახურების ახალ შეფებს საერთაშორისო კონვენციებით ხელმძღვანელობისა და უმთავრესი დემოკრატიული ფასეულობებისა და იდეალების პატივისცემისკენ მოუწოდა.

ამგვარად წარმოუდგენია ობამას სპეცსამსახურების მოქმედების მთავარი ვექტორი, მაგრამ იმოქმედებენ კი იმავე „დემოკრატიული იდეალებით“ რუსეთი, ირანი ან „ალ-ქაიდა“?

ეს სექსსკანდალი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამერიკის ერთ-ერთი უძველესი სპეცსამსახური კრიზისშია.

ეტყობა, საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ეიფორიამ იმძლავრა და ამერიკელი „ჯეიმს ბონდები“ მოდუნდნენ. სამწუხარო შედეგიც უკვე სახეზეა – რუსეთის ნეოიმპერიალისტური მოქმედებების წინააღმდეგ „ბებერი ევროპა“ უძლურია.

აშშ-ის გამოუცდელმა პრეზიდენტმა კი ოთხი წელი იმას შეალია, რომ თვალი დაეხუჭა რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ნორმათა უხეშ დარღვევებზე და მასთან მაინც „ემეგობრა“, არ ეცადა, მტკიცე პოლიტიკის გატარებით აშშ-ის დაკარგული ძლიერების აღდგენას. თუმცა ამ პრობლემების გადაჭრა 6 ნოემბრიდან, ალბათ, აშშ-ის სხვა პრეზიდენტს მოუწევს.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

ქალაქ კარტახენაში პროსტიტუცია ოფიციალურად არის დაშვებული






# „ბრწყინვალე ჩავარდნა“ კუბაში შეჭრის მცდელობა

*„თუკი იმ მომენტში ის (ჯონ კენედი) გადაწყვეტდა კუბაში ინტერვენციას, დასჭირდებოდა კუნძულის სისხლის ზღვაში ჩახრჩობა, მაგრამ შეძლებდა რევოლუციის განადგურებას? ჩვენთვის საბედნიეროდ, მან მერყეობა ვერ გადალახა“. ნაწყვეტი 1975 წელს მექსიკელი ჟურნალისტისთვის მიცემული ფიდელ კასტროს ინტერვიუდან.*

1961 წელს აშშ-ის მთავრობის დაფინანსებით კუბელი ემიგრანტები შეიარაღებულ რაზმებში გაერთიანდნენ და ფიდელ კასტროს კომუნისტური რეჟიმის დამხობა სცადეს.

ეს კამპანია ცნობილია „ღორების ყურეში ბრძოლის“ სახელით.

ანტიკუბური კამპანია ამერიკის პრეზიდენტად ჯონ კენედის არჩევიდან სამ თვეში დაიწყო და სოციალისტური ქვეყნების მიერ მომზადებულმა კუბის შეიარაღებულმა ძალებმა ქვეყნის ტერიტორიაზე შემოჭრილი კონტრრევოლუციონერები სამ დღეში დაამარცხეს.

## წინა პირობა

1959 წლის კუბის რევოლუციის შემდგომ მისმა კომუნისტმა ლიდერმა ფიდელ კასტრომ მოახერხა აშშ-ისა და მისი ინტერესების მიმართ ანტაგონიზმის უმაღლესი დონის მიღწევა.

ჯერ დუაიტ ეიზენჰაუერის, შემდგომ ჯონ კენედის ადმინისტრაციების ნებართვით ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ (ცსს) ფიდელ კასტროს დამხობის გზების ძებნა დაიწყო. ამ მიზნით ამერიკულ მაფიასაც კი დაუკავშირდა, რომელსაც კასტროსთან თავისი „ანგარიშები“ ჰქონდა, თუმცა მისი მოშორების ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

1960 წლის 18 აგვისტოს ეიზენჰაუერმა კასტროს რეჟიმის შესაცვლელად 13 მლნ დოლარი დაამტკიცა და კუბაში ინფილტრირებისთვის კუბელი ემიგრანტების რიგებიდან პარტიზანული რაზმების შექმნა დაიწყო.

მათ მომარაგებას ჰაერიდან ცსს-ს დაქირავებული კერძო ავიაკომპანიების თვითმფრინავები უზრუნველყოფდნენ. მაგრამ ფიდელ კასტროს მოსახლეობა უჭერდა მხარს და პარტიზანულმა სტრატეგიამ არ გაამართლა.

1960 წლის 31 ოქტომბერს გადაწყდა პირდაპირი ამფიბიური ოპერაციის ჩატარება და მასში არანაკლებ 1500 კაცის მონაწილეობა დაიგეგმა.

1954 წელს გვატემალაში სამხედრო გადატრიალების სულისჩამდგმელი ცსს-ს დირექტორი ალენ დალესი თავისი ორგანიზაციის შესაძლებლობებში დარწმუნებული იყო. 1960 წლის 18 ნოემბერს მან და მისმა მოადგილემ დაგეგმარების საკითხებში რიჩარდ ბისელმა ახალარჩეულ პრეზიდენტ ჯონ კენედის დესანტირების საკითხებთან დაკავშირებული პირველი ბრიფინგი ჩაუტარეს.

რამდენიმე სამუშაო ვარიანტიდან არჩევანი ბოლო მათგანზე, კოდური სახელით „ოპერაცია საპატაზე“ შეჩერდა.

დესანტირების მონაკვეთებად ჰავანიდან 150 კმ აღმოსავლეთით მდებარე ბაია დე კოჩინოსი (ღორების ყურე) და საპატას ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი ნაწილი შეირჩა.

## მომზადება

1960 წლის აპრილიდან მაიამიში ცსს კუბიდან ემიგრირებულთა შორის რეკრუტების შეგროვებას შეუდგა. წვრთნები სამხრეთ ფლორიდაში, ხოლო სპეციალური მომზადება პარტიზანული მოქმედებებისთვის ფორტგულიკსა და ფორტ-კლაიტონში (პანამა) მიმდინარეობდა.

კონტრრევოლუციონერები თავის ძალებს „ბრიგადა 2506“-ს (Brigada Asolto 2506 – ვარჯიშის დროს დაღუპული ერთ-ერთი მებრძოლის პირადი ნომრის მიხედვით) უწოდებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




შენაერთის საჰაერო კომპონენტის განკარგულებაში ექვსი ბომბდამშენი Douglas B-26 Invaider-ი იყო, რომლებსაც ფიუზელაჟებსა და ფრთებზე გვატემალის სამხედრო-საჰაერო ძალების აღმნიშვნელი ნიშნები ჰქონდათ.

საჰაერო მომარაგებისა და მებრძოლების გადასაყვანად Douglas C-54 Skymaster-ისა და Curtiss-Wright C-46 Commando-ს ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავები იყო გამოყოფილი.

1961 წლის აპრილისთვის „ბრიგადა 2506“ საბრძოლო მოქმედებებისთვის მზად იყო. მებრძოლთა საბოლოო შეთანწყობისთვის დასკვნითი წვრთნები კარიბის ზღვის სანაპიროზე, ნიკარაგუაში ჩატარდა.

**ნიკარაგუაში ბრიგადას თვით იქაური დიქტატორის ძმა ლუის სომოსა ეწვია და კონტრრევოლუციონერებს გამარჯვების შემდეგ მისთვის ფიდელ კასტროს წვერის ნაწილის ჩამოტანა სთხოვა.**

საბჭოთა სამსახურებიდან სადაზვერვო მონაცემების მიღების შემდგომ ფიდელ კასტრომ სამხედრო მომზადება გააქტიურა. ამ დროისთვის კუბელთა სახმელეთო ჯარების განკარგულებაში უკვე იყო საბჭოთა T-34-85 და ИС-2 ტიპის ტანკები, СУ-100 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, 122 მმ-იანი ჰაუბიცები და სხვა შეიარაღება, რომელსაც კუბის არმიაში შემორჩენილი 105 მმ-იანი იტალიური ჰაუბიცები ემატებოდა.

სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში იყო ჯერ კიდევ კუბის დიქტატორ ფულხენსიო ბატისტას დროიდან შემორჩენილი 15 ბომბდამშენი Douglas B-26 Invader-ი, აგრეთვე, დგუშისძრავიანი 15 ავიაგამანადგურებელი Hawker Sea Fury, რეაქტიული სასწავლო-საწვრთნელი რამდენიმე Lockheed T-33 და ა.შ.

შეიარაღებული ძალების მომზადებასთან ერთად, შეჭრის საწინააღმდეგოდ კუბის 1959 წლის რევოლუციის ერთ-ერთმა ლიდერმა ერნესტო ჩე გევარამ ყურადღება მშვიდობიანი მოსახლეობის შეიარაღებაზე გაამახვილა და ინიციატივით გამოვიდა, „ყოველი კუბელი პარტიზანული არმიის წევრი გამხდარიყო“.

კუბის შეიარაღებულ ძალებს წვრთნიდნენ საბჭოთა კავშირიდან ჩასული ეს-



კუბის რესპუბლიკის არმიის ქვედანაყოფები დავალების შესასრულებლად მიემართებიან

პანური და ბასკური წარმოშობის სამხედრო მრჩევლები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში წითელი არმიის შტაბებში მსახურობდნენ და ესპანეთის სამოქალაქო ომის ვეტერან კომუნისტები (ფრანსისკო ჰიუტატ დე მიგელი, ენრიკე ლისტერი და სხვ.) იყვნენ.

საბჭოთა მრჩეველთა ჯგუფს კგბ-ს პოლკოვნიკები ვადიმ კოჩერგინი და ვიქტორ სიმონოვი ხელმძღვანელობდნენ.

**მოწინააღმდეგე მხარეთა მეთაურები და სამხედრო ლიდერები:**

**აშშ-ები:**

**პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი, ოპერაციის ხელმძღვანელი ცსს-ს ოფიცერი რიჩარდ მერვინ ბისელი (უმცროსი);**

**კუბელი კონტრრევოლუციონერები:**

**პეპე სან რომანი, ერნელდო ოლივა;**

**კუბის რესპუბლიკა:**

**ფიდელ კასტრო, რაულ კასტრო, კაპიტანი ჟოზე რამონ ფერნანდესი, მაიორი ხუან ალმეიდა ბოსკი, კომენდანტე ჩე გევარა, პოლიციის უფროსი ეფიგენიო ამეჟეირასი;**

**კუბის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები:**

**არმია — 2.500 კაცი, მილიცია — 200 ათასი კაცი, პოლიცია — 9 ათასი კაცი; დანაკარგი — 176 მოკლული და 4 ათასი დაჭრილი;**

**კონტრრევოლუციონერთა ძალები:**

**1500 მებრძოლი; დანაკარგი – 118 მოკლული და 1200 ტყვედ (შემდგომში კუბის რევოლუციური ტრიბუნალის გადაწყვეტილებით 5 მათგანი სიკვდილით დასაჯეს) ჩავარდნილი.**

## შეჭრის პრელუდია

კუბის საჰაერო ძალების დასასუსტებლად 1961 წლის 15 აპრილის გამთენიისას 06-00 სთ-ზე რვა Douglas B-26 Invader-მა სამ ჯგუფად ერთდროული სან ანტონიო დე ლოს ბანიოს, კამპო კოლუმბია (ახლ. სიუდად ლიბერტსდი) და სანტიაგო დე კუბას აეროდრომები დაბომბეს.

ცსს-მ წინასწარ იზრუნა და თვითმფრინავებზე კუბის სამხედრო-საჰაერო ძალების ყალბი ნიშნები დაიტანა. დაზიანდა ასაფრენ-დასაშვები ბილიკები და მიწაზე მყოფი თვითმფრინავების ერთი ნაწილი, ხოლო ანგარებში გადამალულები კი გადარჩა.

16 აპრილს პრეზიდენტმა კენედიმ გადაწყვეტილება მიიღო და 17 აპრილიდან კუბის საჰაერო დაბომბვები შეჩერდა, ვინაიდან არსებობდა საშიშროება, რომ ყოველივე ეს ინტერვენციაში აშშ-ის დადანაშაულებას გამოიწვევდა.




„ბრიგადა 2506"-ის დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად აგებული მემორიალი

საზღვაო დესანტის გადასხმა „ზღვა-ხმელეთის" მეთოდით დაიგეგმა და 16 აპრილს „ბრიგადა 2506" ცსს-ს დაქირავებული ხუთი გემით ნიკარაგუიდან გავიდა.

გემები კუბის სამხრეთით 65 კმ-ში „თავმოყრის წერტილ ზულუში" შეჩერდნენ. ოთხ მათგანზე დაახლოებით 1400 მებრძოლი იყო, ხოლო მეხუთეს კი რამდენიმე დღეზე გათვლილი პირველი საჭიროების აუცილებელი ტვირთი მიჰქონდა.

ამ „ფლოტილიას" ვიზუალური ხედვის სიშორიდან აშშ-ის საზღვაო ძალების საესკადრო ნაღმოსნები Hank-ი, John W. Weeks-ი და Purdy, წყალქვეშა ნავები Cobbler-ი და Threadfin-ი მიაცილებდნენ.

კუბიდან 5 კმ-ში ღია ზღვაში მებრძოლები გემებიდან შვიდ სადესანტო მცურავ საშუალებაში გადასხდნენ.

***ვახტანგ კაპანაძე***
***ბრიგადის გენერალი,***
***გენერალური შტაბის***
***ყოფილი უფროსი***

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კუბიდან 5 კმ-ში მებრძოლები გემებიდან ასეთ სადესანტო კატარღებში გადასხდნენ






# აღმოსავლეთ ტიმორის კრიზისი

ტიმორი მალაის არქიპელაგის ერთ-ერთი მომცრო კუნძულია, რომლის ფართობი დაახლოებით 30 ათასი კვ კმ-ს შეადგენს. პოლიტიკურად კუნძული ორად იყოფა – დასავლეთი ნაწილი ინდონეზიის შემადგენლობაშია, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში კი 2002 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფო – აღმოსავლეთ ტიმორის დემოკრატიული რესპუბლიკა მდებარეობს.

აღმოსავლეთ ტიმორის ტერიტორია ადრე ინდონეზიას ჰქონდა ოკუპირებული. გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ამ ოკუპაციას, ცხადია, არ ცნობდნენ და მრავალი წელი ოფიციალურ ჯაკარტას აღმოსავლეთ ტიმორიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდებდნენ. ამას ემატებოდა ასევე, აღმოსავლეთტიმორელთა შეიარაღებული გამოსვლები სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნით.

1974 წლის აპრილამდე ეს ტერიტორია ოფიციალურად პორტუგალიის სამფლობელო იყო. როდესაც პორტუგალიაში „ტიტების რევოლუცია" მოხდა, პორტუგალიელთა ბატონობას აღსასრული დაუდგა და 1975 წლის 28 ნოემბერს აღმოსავლეთ ტიმორის ადმინისტრაციულ ცენტრ დილიში ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ცხრა დღის შემდეგ აღმოსავლეთ ტიმორი ინდონეზიის არმიამ დაიკავა, ქვეყანა ინდონეზიის 27-ე პროვინციად გამოაცხადეს. პრაქტიკულად, ამ დღიდან აღმოსავლეთ ტიმორზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა.

საბოლოოდ, კრიზისი საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით მოგვარდა. აღმოსავლეთ ტიმორმა დამოუკიდებლობა დაიბრუნა და ინდონეზიამაც მცირე ხნით ჯიუტობის შემდეგ ოფიციალურად ცნო.

## კრიზისის დასაწყისი: მუსლიმანურ-ქრისტიანული დაპირისპირება

პორტუგალიის კოლონიურ იმპერიას სხვა იმპერიებისაგან ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება გამოარჩევდა, — სადაც კი ჩავიდოდნენ, პორტუგალიელები, ძალით თუ ნებით, ადგილობრივ მოსახლეობაში კათოლიციზმს ნერგავდნენ და პორტუგალიურ ყაიდაზე აქცევდნენ ყველაფერს — მართვა-გამგებლობით დაწყებული და დაპყრობილ ხალხთა სახელებითა და გვარებით დამთავრებული; ამიტომაცაა, რომ დღესაც კი პორტუგალიურენოვან ქვეყნებში მოსახლეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კათოლიკეა, პორტუგალიურ ენაზე იღებს განათლებას, პორტუგალიური სახელი და გვარი აქვს, მაგრამ წარმოშობით, კანის ფერითა და ზოგი სხვა არსებითი ნიშნით მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამგვარად, აღმოსავლეთი ტიმორი (სახელწოდება „ტიმორი" ძველ მალაიურ ენაზე „აღმოსავლეთს" ნიშნავს — კუნძულს ასე იმიტომ უწოდეს, რომ ის მალაელებით დასახლებული კუნძულების აღმოსავლეთით მდებარეობს) ჯერ კიდევ 1515 წლიდან პორტუგალიის სამფლობელოდ იქცა, იქ დომინიკელი ბერების მისია დაფუძნდა და მოსახლეობაში კათოლიციზმის გავრცელება დაიწყო. კუნძულზე ევროპულ-ქრისტიანული ცივილიზაცია, პორტუგალიის სხვა სამფლობელოებთან შედარებით, უმტკივნეულოდ დამკვიდრდა: ტიმორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტეტუმი მთლიანად გაკათოლიკდა, რადგან მისი არისტოკრატია ამაში სარგებელს ხედავდა, კათოლიკობით პორტუგალიელთა ნდობა მოიპოვეს და სხვა, უფრო მცირერიცხოვანი ხალხები დაიმორჩილეს.

1702 წელს აღმოსავლეთი ტიმორი პორტუგალიის ზღვისიქითა ტერიტორიად გამოაცხადეს, ანუ სტატუსი აუმაღლეს — ქვეყანა უბრალო კოლონიად უკვე აღარ ითვლებოდა და პორტუგალიის მეფის საგანგებო ბრძანებით ყველა ტიმორელს ქვეშევრდომის სრული უფლებები მიენიჭა. აქედან გამომდინარე, იქ უფრო გაძლიერდა ადგილობრივი მოსახლეობის პორტუგალიზაცია და მალე ტეტუმელები რელიგიით და ენობრივად პორტუგალიელებისგან არაფრით განირჩეოდნენ.




აღმოსავლეთი ტიმორი




ამგვარი ვითარება კუნძულზე კიდევ 250 წელზე მეტხანს გაგრძელდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც მეზობელი ინდონეზია დამოუკიდებელი გახდა (მანამდე ის ნიდერლანდების სამფლობელო იყო), აღმოსავლეთტიმორელთა მშვიდ ცხოვრებას ბოლო მოეღო.

ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ, რომელიც ადრე საკუთარი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა, აღმოსავლეთი ტიმორი „პორტუგალიისაგან მიტაცებულ ინდონეზიურ მიწად“ გამოაცხადა და ლისაბონს ამ ტერიტორიის ჯაკარტისთვის ნებით დათმობისკენ მოუწოდა.

აღმოსავლეთ ტიმორის მუსლიმანური თემი, რომელიც მცირერიცხოვანი კი იყო, მაგრამ პორტუგალიელთა ბატონობას არ ურიგდებოდა, სუკარნოს მოწოდებას აჯანყებით გამოეხმაურა.

აღმოსავლეთტიმორელ მუსლიმანთა ლიდერმა — მოლა აბდულა სალეჰმა, რომელიც ოეკუსი-ამბენუს ტომის ბელადის შვილი იყო, ტიმორის ჯუნგლებში თავი 2 ათასზე მეტ პარტიზანს მოუყარა და პორტუგალიელებს ომი გამოუცხადა.

აბდულა სალეჰის პარტიზანებმა დაიკავეს ოეკუსი-ამბენუს პროვინცია, რომელიც აღმ. ტიმორის სხვა პროვინციებისაგან განცალკევებით მდებარეობს და მუსლიმანებითაა დასახლებული, სხვა პროვინციების დაკავება კი ვეღარ შეძლეს, — მოსახლეობა მხარს პორტუგალიელებს უჭერდა.

1969 წელს აბდულა სალეჰი მოკლეს და „ტიმორის მუსლიმანურ ფრონტს“ სათავეში მისი შვილი, ალი სალეჰი ჩაუდგა. ის გაცილებით გამჭრიახი იყო, ვიდრე მამამისი და ამიტომ აქცენტი ისლამის გავრცელებაზე გადაიტანა. მუსლიმანურმა თემმა ომი შეწყვიტა, პორტუგალიური კანონების



სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფი პატრულირების დროს



აღმოსავლეთ ტიმორის დედაქალაქი დილი

თანახმად, ოფიციალურად დარეგისტრირდა და მორწმუნეთა გადაბირებას შეუდგა.

70-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთი ტიმორის ქალაქებში ახალმოქცეულ მუსლიმანთა რიცხვმა იმატა, რასაც მალე პორტუგალიელთა გულისწყრომა მოჰყვა: მათ მუსლიმანური თემი შეზღუდეს და მეჩეთების მშენებლობაც შეაჩერეს.

ტიმორის დასავლეთ ნაწილში მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი მუსლიმანია და ალი სალეჰს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი (და მათ ზურგს უკან მდგარი ინდონეზიის ხელისუფლების) იმედი ჰქონდა, — მუსლიმანურმა თემმა მალე შეიარაღებული ბრძოლა განაახლა და აღმოსავლეთ ტიმორის რამდენიმე ქალაქში ტერაქტები მოაწყო.

პორტუგალიაში სწორედ მაშინ მოხდა უსისხლო „ტიტების რევოლუცია“ და ქვეყნის სათავეში სოციალისტები მოვიდნენ. პირველივე ნაბიჯი, რაც მაშინ გადაიდგა, იმპერიის დეკოლონიზაცია იყო, 1974 წელს პორტუგალიის ყველა ზღვისიქითა ტერიტორიას ჯერ თვითმმართველობა, მერე კი დამოუკიდებლობა მიენიჭა და, ცხადია, ტიმორიც არ ყოფილა გამონაკლისი.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთტიმორელ კათოლიკეებს პორტუგალიისგან გამოყოფა არც კი სურდათ (მათ მუსლიმანური ინდონეზიის შემოჭრისა ეშინოდათ), მაინც იძულებული გახდნენ, ეს ნაბიჯი გადაედგათ, — ოფიციალური ლისაბონი ზღვისიქითა ტერიტორიების შენახვას აღარ აპირებდა. ამიტომაც აღმოსავლეთ ტიმორზე დამოუკიდებლობა დაჩქარებული წესით გამოცხადდა, ისე, რომ არც არმია ჰყავდათ და არც პოლიცია.

აღმოსავლეთტიმორელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ინდონეზიელები მათ არ მოასვენებდნენ და ასეც მოხდა, — ინდონეზიის არმია დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რაღაც 9 დღის შემდეგ ქვეყანაში შეიჭრა და ის დაიპყრო. პორტუგალიელი გუბერნატორი, გარნიზონი და პოლიცია კუნძულიდან განდევნეს.

ინდონეზიური ოკუპაციის წლებში (1975-2001) აღმოსავლეთ ტიმორზე მუსლიმანთა ექსპანსია დაიწყო. ოფიციალური ჯაკარტა დიდად უწყობდა ხელს იმათ, ვინც აღმოსავლეთ ტიმორზე დასახლდებოდა და იქაური მუსლიმანური თემის აქტივისტი გახდებოდა.

ამგვარი პოლიტიკით აღმოსავლეთ ტიმორის ქალაქებში მუსლიმანთა რაოდენობა გაიზარდა. იმავდროულად, შეიზღუდა კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობა, უცხოელ სამღვდელოებას ქვეყანაში შესვლა აეკრძალა და ცხოვრების ყველა სფეროში შეიზღუდა, რასაკვირველია, პორტუგალიური ენის გამოყენება.

აღმოსავლეთ ტიმორის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში კათოლიკე არქიეპისკოპოსი კარლუშ ბელუ ედგა, აქცენტი კუნძულელთა ერთობაზე აიღო.

ტეტუმის გარდა, აღმოსავლეთ ტიმორზე კიდევ 12 ტომი სახლობს, რომლებიც ადრე უუფლებონი იყვნენ და ამიტომაც ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ, გარეშე მტრებს ხელს უწყობდნენ.

კარლუშ ბელუმ ამ ტომებს აღუთქვა, რომ თუ აღმოსავლეთი ტიმორი დამოუკიდებელი გახდებოდა, ისინი ყველა იმ უფლებით ისარგებლებდნენ, რითაც იქამდე მხოლოდ ტეტუმელები სარგებლობდნენ. აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ ტიმორის განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ენად პორტუგალიური იქცა. არქიეპისკოპოს კარლუშ ბელუს, როგორც კათოლიკე სასულიერო პირს, მხარს ვატიკანი უჭერდა. ამიტომაც მას ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში სიტყვა ეთქმოდა და, სხვათა შორის, სწორედ საერთაშორისო ზეწოლით შეძლო სამშობლოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვება.

## კრიზისის მოგვარება: ტიმორის საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე

აღმოსავლეთ ტიმორის საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე იმთავითვე დიდად აქტუალური იყო, რადგან ჯერ ერთი, ინდონეზია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საბჭოთა კავშირის უმსხვილეს სატელიტად მიიჩნეოდა და მისი ჭკუაზე მოყვანა იმ დროისათვის აუცილებელი იყო, მეორე — ტიმორის ამბებით ვატიკანი იყო დაინტერესებული.

ამასთან, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ერთ აზრზე იდგა, — ინდონეზიური ოკუპაცია უკანონო იყო და აუცილებლად უნდა შეწყვეტილიყო, აღმოსავლეთ ტიმორს კი დამოუკიდებლობა უნდა მიეღო.




ტიმორელ ჯარისკაცს გაეროს მშვიდობისმყოფელი გამოცდილებას უზიარებს

ამ აზრის განმტკიცებას კი ხელი შეუწყო არქიეპისკოპოს კარლუშ ბელუს მიერ გონივრულად წარმართულმა საინფორმაციო ომმა, — აღმოსავლეთ-ტიმორელი ინდეპენდისტები თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად ფართოდ იყენებდნენ დასავლურ მასმედიას, ვატიკანის რადიოს, საერთაშორისო ორგანიზაციათა ტრიბუნებს და ა.შ.

ინდონეზიის მთავრობა, ცხადია, ცდილობდა, თავი დაეცვა და ამ მიზნით, ძირითადად, საბჭოთა მასმედიას იყენებდა.

საბოლოოდ, „აღმოსავლეთ ტიმორის გათავისუფლების ფრონტი“ — დაჯგუფება, რომელიც აღმოსავლეთ ტიმორის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, გაერომ ტიმორელი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად ცნო და 1982 წლის დასაწყისში ჯაკარტას აღმოსავლეთ ტიმორიდან ჯარების გაყვანის, რეფერენდუმის ჩატარებისა და ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის აღდგენისკენ მოუწოდა.

დიდი საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ინდონეზიის მთავრობა იძულებული გახდა, რეფერენდუმის ჩატარებაზე დათანხმებულიყო, თუმცა აღმოსავლეთ ტიმორიდან ჯარი მაინც არ გაიყვანა.

გაეროს რწმუნებულებმა, რომლებიც ქვეყანაში რეფერენდუმის ჩასატარებლად საგანგებოდ დაუშვეს, ეგზიტ-პოლის მეშვეობით დაადგინეს, რომ დამოუკიდებლობას მხარს უჭერდა აღმოსავლეთ ტიმორის მოსახლეობის 60%-ზე მეტი.

შემდგომში, როცა რეფერენდუმი ჩატარდა, დამოუკიდებლობის მოსურნეთა საერთო მაჩვენებელი 50%-მდე შემცირდა და, ბუნებრივია, მეორე ტურის ჩატარების საჭიროება დადგა;



გაეროს მშვიდობისმყოფელი ტიმორელ ბავშვებთან

მეორე ტური კი აღარ გაიმართა, რადგან ინდონეზიის ხელისუფლებამ გაეროს რწმუნებულები ქვეყნიდან გააძევა და აღმოსავლეთ ტიმორზე ომი ისევ განახლდა.

საბოლოოდ, 1999 წელს გაერომ ინდონეზია აიძულა და აღმოსავლეთ ტიმორზე სამშვიდობო ძალების შეყვანა დააშვებინა.

შეიარაღებული დაპირისპირება შეწყდა, გაეროს ცისფერჩაფხუტიანებმა დაპირისპირებული მხარეები დააშორიშორეს და რეფერენდუმის ჩასატარებელ სამზადისს შეუდგნენ.

იმავდროულად, გაეროში შეიქმნა აღმოსავლეთ ტიმორის საქმეთა სამმხრივი კომისია, რომელშიც ინდონეზიის, პორტუგალიისა და „აღმოსავლეთ ტიმორის გათავისუფლების ფრონტის“ წარმომადგენლები შევიდნენ.

ინდონეზიის პრეზიდენტი ჰაბიბი იძულებული გახდა, რეფერენდუმის ჩატარებაზეც თანხმობა განეცხადებინა და ჯარების გაყვანაზეც.

2001 წლის აგვისტოში, იმ დროს, როცა აღმოსავლეთ ტიმორი ბოლო ინდონეზიელმა ჯარისკაცმა დატოვა, გაიმართა რეფერენდუმი, რომლის მონაწილეთა 70%-მა ხმა ქვეყნის დამოუკიდებლობას მისცა. აღმოსავლეთი ტიმორი პირველად ცნო ყოფილმა მეტროპოლიამ — პორტუგალიამ, მერე კი ინდონეზიამ.

აღმოსავლეთ ტიმორთან საქართველოს ჯერჯერობით დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს.

**მიხეილ ლაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# HNLMS De Zeven Provinciën

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ბრიტანული ჯავშანტექნიკა

## თანამედროვე ტანკები

მეორე მსოფლიო ომის პირველივე წლების ბრძოლები იმდენად დინამიკური იყო, რომ ინგლისის არმიისთვის ორტანკიანი დოქტრინის მიხედვით მოქმედება ხშირად შეუძლებელი აღმოჩნდა და უკვე მაშინ გაჩნდა ტანკების უნიფიცირების მოსაზრება. თუმცა გენერალური შტაბის სატანკო დეპარტამენტი თავის პოზიციას არ ცვლიდა და პირიქით, ქვეითი და კრეისერული ტანკების სამოქმედო არეალები ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნა.

1943 წელს გენერალურმა შტაბმა მორიგი კრეისერული ტანკის (შიფრი A41) ტექნიკურ-ტაქტიკური მოთხოვნები მოამზადა. პროექტირებას კომპანია EAC-ი შეუდგა და მუშაობა 1944 წლის პირველ ნახევარში დაასრულა, ხოლო სხვადასხვა დეტალის შეთანხმება-დაზუსტების შემდეგ კრეისერულ ტანკ Centurion-ს გზა წარმოებისკენ გაეხსნა.

ტანკის პირველი მოდელის — Mk1-ის კორპუსი ნაგლინი ჯავშანფურცლების შედუღებით იყო აწყობილი, ხოლო ჩამოსხმის გზით დამზადებულ კოშკურას ოდნავ დახრილი კედლები და რამდენადმე დაგრძელებული კიჩო ჰქონდა.

წყლის დაბრკოლებათა დაძლევისთვის საინტერესო გამოსავალი მოიძებნა — კორპუსის ზედა პერიმეტრზე ლითონის კარკასით გაძლიერებული წყალგაუმტარი რეზინის შალითა მაგრდებოდა და გადაცურვის წინ კარკასი პნევმოცილინდრების დახმარებით ზევით იწევდა, რითაც ტანკის კორპუსი ცურვადობას იძენდა.

„ცენტურიონის" მომდევნო Mk2/Mk3 მოდელები ისევ კრეისერული ტანკის მოთხოვნებს პასუხობდა, თუმცაღა Mk3-ის შეიარაღებაში 83,4 მმ-იანი ქვემეხი გამოჩნდა.

1943 წელს A41-ის პარალელურად ქვეითი ტანკის პროექტირებაც დაიწყო, მაგრამ მუშაობა შეფერხებებითა და ნელა მიმდინარეობდა. ამ ვითარებაში 1944 წლის ივლისში ფელდმარშალმა ბერნარდ ლოუ მონტგომერიმ ქვეითი და კრეისერული ტანკების საუკეთესო მხარეთა ერთ უნივერსალურ ტანკში გაერთიანების იდეა წამოაყენა.

1946 წლის სექტემბერში დასრულდა ტექნიკური დავალება FV 200, სადაც ჩამოყალიბდა მუხლუხა ერთიან შასიზე ტანკების, ცეცხლსატყორცნი მანქანების, ხიდგამდებების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისთვის აუცილებელი მოთხოვნები.

ომის პერიოდის ტანკებიდან ამ მოთხოვნებს ყველაზე უკეთ „ცენტურიონი" მიესადაგებოდა და მომზადდა მისი უნივერსალური ვარიანტი FV 201 რიგი სიახლეებით — შეიცვალა შასის დაკიდების სისტემა, შეიარაღებას მეორე ტყვიამფრქვევი დაემატა, ძრავა ავარიული გაშვების სისტემით აღიჭურვა, ეკიპაჟი კი ერთი კაცით გაიზარდა და ა.შ.

მართალია, საბრძოლო თვისებები გაუმჯობესდა, მაგრამ FV 201 უნივერსალური ტანკი მაინც არ იყო და არც საბჭოთა მძიმე ტანკებთან ეფექტურად ბრძოლის ძალა შესწევდა.

„ცენტურიონი" ისევ საშუალო ტანკად დარჩა და მისი სრულყოფა გაგრძელდა.

1952 წლის ბოლოს გამოშვებული „ცენტურიონ" Mk5 მრავალი სიახლით გამოირჩეოდა, — NATO-ს ქვეყნების ცეცხლსასროლი იარაღის უნიფიცირების გამო ტანკზე BESA-ს სისტემის 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი ამერიკულმა 7,62 მმ-იანმა M1919A4-მა შეცვალა; სვლის მარაგის გასაზრდელად შეიქმნა ერთბორბლიანი, დაჯავშნული, 900 ლ ტევადობის მისაბმელი ცისტერნა; ტანკი აღიჭურვა დასავლეთის ქვეყნებში საუკეთესო პარამეტრების მქონე 105 მმ-იანი ქვემეხი L7A1-ით და სხვ.

ტანკის მომდევნო მოდელებში ცვლილებები ძირითადად დაჯავშნის გაძლიერებას, ღამის ხედვის ხელსაწყოებს, წყალქვეშა მართვის მოწყობილობებსა და სხვა სახის ტექნიკურ მხარეებს შეეხო.

„ცენტურიონის" სერიული წარმოება 1962 წლის ბოლომდე გაგრძელდა და 17 მოდიფიკაციის 4423 ტანკი გამოუშვეს.

1950-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა საფრთხემ იმდენად მოიმატა, რომ სამხედრო სამინისტრო სატანკო




**Centurion Mk3: მასა — 49,3 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, კარბურატორიანი ძრავა 650-ცხ.ძალიანი, სვლის მარაგი — 104 კმ, შეიარაღება — 83,4 მმ-იანი ქვემეხი და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**



Conqueror Mk2: მასა — 66 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 200 მმ, კარბურატორიანი ძრავა 810-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 34 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 65 კმ, შეიარაღება — 120 მმ-იანი ქვემეხი, ორი 7,62 მმ-იანი და ერთი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

პარკის რაოდენობის გასაზრდელად ომისდროინდელი ტანკების მოდერნიზაციას დათანხმდა.

სახელმწიფო არსენალებმა და კომპანია Robinson and Kershow-მა Cromwell-ის ტიპის 200 კრეისერული ტანკი ახალი კონსტრუქციის კოშკურითა და 83,4 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვეს.

მოდერნიზებული Charioteer Mk7-ების (FV 4101) არმიული სამსახური 1952 წელს დაიწყო და 1956 წელს დასრულდა, ხოლო ხარჯების დასაფარად ტანკები ავსტრიას, ფინეთს, იორდანიას, ისრაელსა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციას მიჰყიდეს.

საბჭოთა კავშირთან მოსალოდნელ დაპირისპირებაში საბჭოთა მძიმე ტანკებთან ბრძოლის სირთულემ ინგლისელი სამხედროები მძიმექვემეხიანი ტანკის შექმნის აუცილებლობამდე მიიყვანა.

მომზადდა ასეთი ტანკის (FV 214) სპეციფიკა, რომელიც საბჭოთა ტანკებზე ბევრად ძლიერი იქნებოდა და „ცენტურიონებს“ შორეულ მანძილებზე საცეცხლე მხარდაჭერასაც გაუწევდა.

მანამდე კი ისევ FV 201-ის მოდერნიზაციას მიუბრუნდნენ და ასე გაჩნდა მძიმექვემეხიანი FV 214-ის შუალედური ვარიანტი — FV 221 Caernarvon-ი, რომლის შასიმ სიგრძეში მოიმატა, შესაბამისად, საყრდენი გორგოლაჭების რაოდენობა 6-დან 8-მდე გაიზარდა და უფრო განიერი მუხლუხებიც ჰქონდა. ტანკზე „ცენტურიონ“ Mk3-ის კოშკურა 83,4 მმ-იანი ქვემეხით იყო დაყენებული.

1955 წელს Royal Ordnance Factories-მა, როგორც იქნა, პირველი სერიული მძიმე ტანკი — FV 214 Conqueror-ი ააწყო. თუმცა საკმარისზე მეტმა ტექნიკურმა პრობლემამ, სუსტმა საიმედოობამ და ვიწრო ტანკსაწინააღმდეგო სპეციალიზაციამ მისი სამხედრო სამსახურის ვადა ბევრად შეამცირა. 1959 წელს წარმოება შეწყდა, ხოლო 1966 წელს კი არმიამ ბოლო ტანკი ჩამოწერა.

სულ გამოშვებულია 20 Mk1, მოდერნიზებული კი 165 Mk2 (7,62 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევი 12,7 მმ-იანით შეიცვალა და გაუმჯობესდა ცეცხლის მართვის სისტემა) მოდელის „კონკერორი“.

1950-იანი წლების ბოლოსთვის საშუალო და მძიმე ტანკების ტექნიკურ-ტაქტიკურ მახასიათებელთა გამყოფი საზღვარი თითქმის წაიშალა და ერთიან, უნივერსალურ ტანკს გზა გაეხსნა.

დროის მოთხოვნას ბრიტანული ტანკმშენებლობის ლიდერი Vickers Defence Sistems-ი მძიმექვემეხიანი ტანკის FV4201 Chieftain-ის პროექტით შეხვდა.

„ჩიფტენში“ აქცენტი შეიარაღებასა და ჯავშანდაცვაზე გაკეთდა, ხოლო ძვრადობამ და სიჩქარემ უკანა პლანზე გადაიწია. სამხედროების აზრით, სატანკო ბრძოლაში სიჩქარეზე მეტად ჯავშანდაცვა და საცეცხლე ძალა იყო მნიშვნელოვანი.

სამამულო ტანკმშენებლობის სიახლეების გათვალისწინებით შექმნილი „ჩიფტენი“ ყველა იმ დანიშნულებას პასუხობდა, რომელსაც „ცენტურიონი“ და „კონკერორი“ ცალ-ცალკე ასრულებდნენ.

„ჩიფტენში“ მძღოლ-მექანიკოსი ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში იყო და ამის ხარჯზე კორპუსის შუბლის ჯავშნის დახრილობამ მოიმატა. სინთეტიკური რეზინის საწვავი ავზები ძრავა-ტრანსმისიის განყოფილების იზოლირებულ ნაკვეთურებში განთავსდა, კორპუსი და სავალი ნაწილი კუმულაციური ჭურვებისაგან დამცავი ეკრან-ფალშბორტებით დაიფარა და ა.შ.




Centurion Mk5/2: შეიარაღება 105 მმ-იანი ქვემეხი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი



Chieftain Mk3: სრული მასა — 54 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, დიზელის ძრავა 730-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 41 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 500 კმ, შეიარაღება — 120 მმ-იანი ქვემეხი, ორი 7,62 მმ-იანი და ერთი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

ტანკის ნაკლად დაბალი გამავლობა და ძრავის არასაკმარისი სიმძლავრე რჩებოდა.

1963 წლიდან „ჩიფტენმა“ ძირითადი საბრძოლო ტანკის ადგილი დაიკავა და სატანკო ქვედანაყოფებში თანდათან „ცენტურიონები“ და „კონკერორები“ შეცვალა.

1965-83 წლებში ორ ათეულამდე მოდიფიკაციის სულ 2260 „ჩიფტენია“ ააწყვეს.

„ჩიფტენ“ Mk11-ზე ინგლისელმა სპეციალისტებმა პირველად კორპუსი-კოშკურის შუბლის დასაცავად პასიური ჯავშანდაცვა — Stillbrew-ს (ლითონისგან ჩამოსხმული სექციებისა და რეზინის ფურცლების ნაკრები) ბლოკები გამოიყენეს და ამის ხარჯზე კოშკურის ჯავშნის სისქემ 195 მმ-მდე მოიმატა.

ჯავშანდაცვის გაძლიერების საჭიროება ირან-ერაყის ომმა წარმოშვა. 1981 წლის იანვარში ქალაქ სუსენგერდის მახლობლად ხარხის ხეობაში ერაყელთა მე-3 ჯავშანსატანკო დივიზიამ (დაახლოებით 300 T-62) შემხვედრ სატანკო ბრძოლაში ირანელთა მე-16 ჯავშანსატანკო დივიზია (დაახლოებით 300 M-60 და „ჩიფტენი“) პრაქტიკულად მთლიანად გაანადგურა.

ერაყის მონაცემებით, სუსენგერდთან ირანულმა დივიზიამ 214 ტანკი (ირანი მხოლოდ 88 ტანკის დაკარგვას აღიარებს) დაკარგა, ხოლო საკუთარი დანაკლისი 50 ტანკით არის შეფასებული.

ბრძოლაში T-62-ის 115 მმ-იანი ქვეკალიბრიანი ჭურვები „ჩიფტენის“ შუბლის ჯავშანს თავისუფლად სძლევდნენ და შემდგომ ირანელი ტანკისტები T-62-თან პირდაპირ დაპირისპირებას ყოველთვის ერიდებოდნენ.

ბრიტანეთის ტანკმშენებლობის ერთ-ერთი მიმართულება სხვა ქვეყნების ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლებით შეკვეთილი ტანკების პროექტირება იყო.

პირველი კონტრაქტი 1961 წელს ინდოეთთან გაფორმდა და ის სატანკო ქარხნის აგებასა და სათანადო ტექნოლოგიის ტანკის პროექტირებას შეეხებოდა.

1963 წელს Vickers Defence Sistems-მა „ცენტურიონ“-„ჩიფტენის“ საფუძველზე დამზადებული ტანკ Vickers MKI-ის პროტოტიპი საპოლიგონო გამოცდაზე გაიყვანა და ორი წლის შემდეგ ინდოეთი იმავე ტანკის, უკვე Vijayanta-ს სახელით წარმოებას შეუდგა.

1966 წელს „ვიკერსმა“ ტანკის Mk2 მოდელი წარმოადგინა, რომელსაც კოშკურის კიჩოს ბორტებზე ორი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა Swingfire ჰქონდა, მაგრამ სიახლემ სხვა ქვეყნებში ინტერესი არ გამოიწვია.

1975 წლის Mk3 მოდელი კი ძალოვანი აგრეგატის, ცეცხლის მართვის სისტემისა და საბრძოლო მასალების კომპლექტაციის სიახლეებით გამოირჩეოდა. ამჯერად „ვიკერსმა“ ტანკების პატარ-პატარა პარტიების გაყიდვა კენიასა და ტანზანიაში მოახერხა.

„ჩიფტენით“ ირანის შაჰიც დაინტერესდა და სპეციალურად ირანისთვის „ვიკერსმა“ ტანკის ახალი ვერსიების — Shir 1-სა (FV 4030/2) და Shir 2-ის (FV 4030/3) პროექტები მოამზადა.

შეკვეთა კომპანიისთვის საკმაოდ სარფიანი ჩანდა, რადგან კონტრაქტი 125 „შირ“ 1-სა და 1.225 „შირ“ 2-ის დამზადებას ითვალისწინებდა.

1979 წელს ირანის სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ კონტრაქტზე უარი განაცხადა და „ვიკერსი“ რთული ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დადგა, — ტანკების პირველი პარტიის აწყობა უკვე მიმდინარეობდა.

ამ ვითარებაში კომპანიამ ირანის პროექტი გადაამუშავა და სამხედრო სამინისტროს სრულიად განსხვავებული ახალი ტანკი Challenger-ი შესთავაზა.

„ჩელენჯერში“ ყველაზე დიდი სიახლე რთული ფორმის კოშკურისა და კორპუსის შუბლის დასაცავად მრავალშრიანი ჯავშნის Chobham-ის გამოყენება იყო.

„ჩობჰემი“ მაღალი სიმტკიცის ფოლად-კერამიკული მასალის ფენებისგან შედგება და სისქეში დაახლოებით 600 მმ-ია, მაგრამ ეფექტურობით 900 მმ-იან ჯავშანს უტოლდება და ტანკს კუმულაციური ჭურვებისგანაც უკეთ იცავს.

1983-90 წლებში „ვიკერსმა“ სულ 420 ძირითადი საბრძოლო ტანკი „ჩელენჯერი“ გამოუშვა.

1998 წელს ბრიტანეთის არმიამ შე-

იარაღებაში „ჩელენჯერ“ 2 მიიღო. ამ ტანკს შეცვლილი აქვს კოშკურის კონსტრუქცია, გაუმჯობესებულია იარაღის მართვის სისტემა, გამოყენებულია ახალი თაობის ჯავშანი Dorchester-ი და სხვ.

2002 წელს „ვიკერსმა“ არმიას ბოლო 386-ე ტანკი გადასცა და ამით წარმოებაც შეჩერდა. ტანკების სამსახურის ვადა, სავარაუდოდ, 2030-35 წლამდე უნდა გაგრძელდეს.

საბრძოლო ნათლობა „ჩელენჯერებმა“ ერაყთან ომში მიიღეს. აღწერილია ერთი შემთხვევა, როცა ინგლისელმა ტანკისტებმა ერაყელთა T-55-ს ჯავშანმხვრეტი ჭურვი 5100 მეტრიდან გაარტყეს.

1950-იანი წლების ბოლოს ბრიტანეთი სწრაფი რეაგირების აერომობილური ძალების საჭიროების წინაშე დადგა და ამასთან დაკავშირებით დაწყებულ დისკუსიებში ავიატრანსპორტირებული, მსუბუქად დაჯავშნული ტანკის იდეა დაიბადა.

ასეთი ტანკი აუცილებლად უნივერსალური უნდა ყოფილიყო, ანუ მას უნდა შესძლებოდა ქვეითებისთვის საცეცხლე მხარდაჭერის გაწევა, მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკასთან ბრძოლა და მზვერავის მოვალეობის შესრულება.

1960 წელს საბრძოლო მანქანების შესწავლა-შექმნის ცენტრმა (FVRDE) გენერალური შტაბისგან შესაბამისი დავალება მიიღო და ამ მოთხოვნებისთვის პრაქტიკული ხორცშესხმის შესაძლებლობა დაადგინა.




Scorpion: მასა — 8,0 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, სიჩქარე — 80 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 640 კმ, შეიარაღება — 76 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

საცდელი ნიმუშის დამზადება-გამოცდის შემდეგ დაზუსტდა ტანკის საბოლოო ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლები და 1967 წელს კომპანია Alvis Limited of Coventry-მ 17 საცდელი მანქანის დამზადებაზე კონტრაქტი მიიღო, ხოლო 1970 წლიდან მსუბუქი ტანკის Scorpion-ის (FV101) სერიულ წარმოებას შეუდგა.

„სკორპიონი“ ალუმინ-მაგნიუმის ჯავშნით დამზადებული პირველი ბრიტანული ჯავშანმანქანაა და მისი კორპუსის წინა მარცხენა ნაწილი მართვის ხელსაწყოებს, ხოლო მარჯვენა კი ძრავა-ტრანსმისიას უკავია.

კორპუსის კონფიგურაცია ნაღმის ზემოქმედების შესუსტების გათვალისწინებით შეირჩა და ამავე მიზნით მძღოლ-მექანიკოსის ადგილის ძირი დამატებით ჯავშანფურცლით არის გაძლიერებული.

პატარა ზომის „სკორპიონი“ კარგი მანევრულობით ხასიათდება და მისი აღმოჩენა-განადგურება არცთუ მარტივად გადასაჭრელი ამოცანაა.

ბრიტანული ტანკმშენებლობის მი-

Challenger 2: მასა — 62,5 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, დიზელის ძრავა 1200-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 40-56 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 250-400 კმ, შეიარაღება — 120 მმ-იანი ქვემეხი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი



ეროვნული ბიბლიოთეკა



MkVII Tetrarch: მასა — 7,6 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, ჯავშანი — 4-16 მმ, კარბურატორიანი ძრავა 165-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 64 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 224 კმ, შეიარაღება — 40 მმ-იანი ქვემეხი და 7,92 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

მოხილვისას არ შეიძლება, არ შევეხოთ 1930-იან წლებში შექმნილ საკმაოდ საინტერესო კონსტრუქციის მსუბუქ ტანკ — MkVII Tetrarch-ს.

„ტეტრარქში“ ავტომობილის ანალოგიური საჭის სვეტი და მოხვევის მექანიზმი იყო გამოყენებული, ანუ საჭის ბორბლის დატრიალება წინა და ბოლო ბორბლების წყვილების შესაბამისი კუთხით მობრუნებას იწვევდა. ამ დროს მუხლუხები რკალზე ილუნებოდა და ტანკს ამა თუ იმ მიმართულებით მობრუნებას აიძულებდა. იმის გამო, რომ საჭის მექანიზმში მექანიკური ამძრავები იყო გამოყენებული, ამიტომ ტანკის ავტომობილის საჭის ბორბლით მართვა მძღოლ-მექანიკოსისგან დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვდა.

მეორე მსოფლიო ომში ევროპაში შეჭრის საკითხის განხილვისას „ტეტრარქი“ გაიხსენეს და ავიასადესანტო ტანკად გამოყენების იდეაც გაჩნდა.

საჰაერო გზით ტანკის ტრანსპორტირებისთვის კომპანია General Aircraft-მა პლანერი Hamilcar-ი დაამზადა.

ოპერაცია „ოვერლორდის“ დროს 1944 წლის 6 ივნისს პლანერები „ტეტრარქებით“ შეტევის წინა ხაზზე იყვნენ. ლა-მანშზე გადაფრენისას ერთ-ერთი მათგანის საგდული გაიღო და ტანკი ეკიპაჟიანად გადმოვარდა.

დანარჩენი 5-6 ტანკი მდინარე ორნის სანაპიროზე მშვიდობიანად დაეშვა, მაგრამ აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა — დალეწილი პლანერების ნამსხვრევებმა და სხვადასხვა ტვირთმა ტანკებს მიწაზე მანევრირება გაურთულა, ხოლო მუხლუხებში პარაშუტების სტროპების ჩახვევის შემდეგ გადაადგილება შეუძლებელი გახდა. ერთ ადგილზე გაჩერებული ტანკები მხოლოდ დაჯავშნული საცეცხლე წერტილის დანიშნულებას ასრულებდნენ, ვიდრე სავალი ნაწილი არ გასუფთავდებოდა.

**თემურ ჩაჩანიძე**





# GRUMEC-ი

## ბრაზილიელი მებრძოლი მყვინთავები

**(დასასრული, დასაწყისი იხ. „არსენალი“ N10, 2012)**

ცურვის დისტანცია და მანძილის გადალახვის დრო ერთმანეთს სავსებით შეესატყვისება და ანტიტერორისტული რაზმების (GERR) კანდიდატებზეც ვრცელდება.

კურსის მე-3 ეტაპზე ისწავლება დაზვერვა დახურული ციკლის წყალქვეშა სუნთქვის აპარატების მეშვეობით, წყალქვეშა იერიშებისა და ოპერაციების ჩატარების მეთოდები და ხერხები.

კურსის მე-4 ეტაპის გავლისას კანდიდატები სწავლობენ სახმელეთო საგანგებო ოპერაციების ჩატარების ტაქტიკას. ქალაქ ნიტეროიდან გადიან და წვრთნას ბრაზილიის სხვადასხვა კუთხეში აგრძელებენ.

ჯუნგლებში მოქმედების უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად საარმიო ქვედანაყოფებთან ერთად ქალაქ მანუესში ვარჯიშობენ.

მდინარის კალაპოტსა თუ ჭაობში მოქმედების სტრატეგიას ქალაქ ლადარიოში, სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზაში ეცნობიან.

ქვეყნის სამხრეთით რიო-გრანდეს სამხედრო-საზღვაო ბაზაში ცივი კლიმატის პირობებში წყალქვეშა მოქმედებათა სრულყოფა ხდება.

საარმიო ქვედანაყოფებთან ერთად მომავალი მებრძოლი მყვინთავები სამთო მომზადებას გადიან, ერთობლივად აწყობენ ასვლებს სან ჟუან დელ რეიზე, ხოლო მინას-ჟერაის შტატში ასევე არმიელებთან ერთად, ამაზონის ჯუნგლებში ვარჯიშობენ.

MEC-ის პროგრამაში შედის არმიულ სპეცქვედანაყოფებსა და საზღვაო ქვეითებთან ერთად საპარაშუტო მომზადება, HALO-სა და HAHO-ს პარაშუტებით ხტომის ტექნიკის ათვისება.

ახლო ბრძოლის წვრთნების Close quarters combat-ის (CQB) პროგრამა უბადლოა და ის გათვლილია მცირე ჯგუფების ან ქვედანაყოფების მოკლე დისტანციაზე, ფაქტობრივად, ხელჩართული ბრძოლის ზღვარზე, ხშირად კი დახშულ სივრცეში მოქმედებებზე.

რადგან ოპერაციის მსვლელობისას გამორიცხული არ არის, რომ მძევლები, ქვედანაყოფების მებრძოლები და ტერორისტები ერთმანეთში აირიონ, ამიტომაც CQB-ის პროგრამა მოითხოვს ელვისებური შეტევით ზუსტ მოქმედებებს და მოწინააღმდეგის განადგურებას ან დატყვევებას.

ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად CQB-ის კურსი ქვედანაყოფის ოპერატორებისგან იარაღის ფლობის უმაღლეს ტექნიკასა და გადაწყვეტილებათა უსწრაფესად მიღების უნარს თხოულობს.

CQB-ი ხასიათდება როგორც მაღალი ინტენსივობის სწრაფად მიმდინარე კონფლიქტი, რომელსაც ძალის მოულოდნელი და ელვისებური გამოყენება ახასიათებს.

CQB-ის პროგრამით მომზადებისას შეისწავლება შეზღუდულ სივრცეში მცირერიცხოვანი ჯგუფების მსუბუქი და კომპაქტური პირადი იარაღით (შაშხანები, ავტომატები, საფანტიანი თოფები, პისტოლეტები და დანები) მოქმედების ხერხები.

CQB-ის ამ აუცილებელი კურსის ათვისებისას კანდიდატები ვარჯიშობენ საზღვაო ქვეითებსა და ფედერალური პოლიციის ქვედანაყოფებთან ერთად, რომლებიც ახლო ბრძოლის დიდოსტატები არიან, რადგან ყოველდღე უხდებათ მუშაობა სახელგანთქმულ ფაუელებში, ანუ რიო-დე-ჟანეიროს ჯურღმულებში.

გარდა ამისა, GRUMEC-ის ოპერატორები სწავლებებს აშშ-ს ოფიცერთა ნაციონალურ ტაქტიკურ ასოციაციაშიც გადიან.

სხვადასხვა ქვედანაყოფის ახლო ბრძოლების მეთოდების შესწავლამ ბრაზილიელ მებრძოლ მყვინთავებს საკუთარი განსხვავებული სტილი ჩამოუყალიბა, რომელიც მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაზეა ადაპტირებული.

### წვრთნები ქვედანაყოფის შემადგენლობაში

MEC-ის კურსის წარმატებით გავლის შემდეგ ყოფილი კურსანტი GRUMEC-ის სამსახურში შედის. ქვედანაყოფში იგი ითვისებს საბრძოლო მომზადების მთლიან პროგრამას და




ოკეანის სანაპიროსთან მდებარე ბრაზილიის ერთ-ერთი ნავთობმომპოვებელი პლატფორმა

ცოდნას სხვადასხვა მიმართულებით სრულყოფს. საჰაერო-სადესანტო მომზადების პროგრამა მოიცავს დამწყებიდან უმაღლეს კატეგორიამდე სხვადასხვა სირთულის საპარაშუტო კურსებს, სადაც შეისწავლება პარაშუტების დაკეცვა-მომზადება, დესანტირების ორგანიზება, ჰაერიდან ტვირთების მიღება და სხვ.

მებრძოლი მყვინთავების სასწავლო პროგრამებში შედის სამთო მომზადების საბაზო და ჯუნგლებში ოპერაციების ჩატარების კურსები, რომლის ერთი ეტაპი პანტანალის ჭაობებში ოპერაციების ჩატარებას ეთმობა. თავის გადარჩენის კურსი, ნადირობის ტექნიკის სრულყოფასაც მოიცავს.

ასე რომ, მებრძოლი მყვინთავის კვალიფიკაციის მისაღებად ორწლიანი უმძიმესი სწავლების კურსის გავლაა აუცილებელი.

## მკაცრი წვრთნები

Grupamento de Mergulhadores de Combate-ს ოპერატორებს მუშაობის დროს ურთულესი ამოცანების გადაჭრა უხდებათ, ამიტომაც დროს ფუჭად არ ფლანგავენ და თავიანთ ცოდნას, პრაქტიკულ და საბრძოლო უნარ-თვისებებს ყოველდღიურად იმაღლებენ.

ბრაზილიის სანაპირო წყლები, რომლის უსაფრთხოებაზეც პასუხს მებრძოლი მყვინთავები აგებენ შეიძლება გახდეს ქვეყნის სანაპიროს დაცვის როგორც პირველი, ასევე უკანასკნელი ზოლიც.

დადგენილი წესების თანახმად, ყველა გემი და ნავთობმომპოვებელი პლატფორმა აღჭურვილი უნდა იყოს შეტყობინების სისტემებით, რომელიც საფრთხის შემთხვევაში ეკიპაჟს განგაშის სიგნალის გავრცელების საშუალებას მისცემს.

განგაშის სიგნალის მიღების შემთხვევაში ფლოტის სარდლობა GRUMEC-ის გამოყენების გადაწყვეტილებას იღებს.

ჯგუფის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის შემდეგ ინციდენტის ადგილზე მისასვლელად 12 სთ-მდეა გამოყოფილი.

„ჩვენ უნდა ვიცოდეთ პორტში მყოფი ყველა ტიპის გემზე შესასვლელ-გასასვლელი“, — ამბობს ჯგუფის ერთ-ერთი ოფიცერი.

ასეთი ცოდნა მრავალრიცხოვანი მკაცრი წვრთნების შედეგია. ამასთან, ოპერატორებისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ისინი წვრთნებზე მოქმედებენ თუ რეალურ ოპერაციას ატარებენ, ამიტომ ვარჯიშის დროს ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პირადი შემადგენლობიდან ვიღაც სერიოზულ ტრავმებს იღებს ან იღუპება კიდეც.

მაგალითად, წვრთნისას ორი მებრძოლი მყვინთავი გემის ხრახნმა იმსხვერპლა. ისინი გარკვეულ სიღრმეზე დიდხანს იმყოფებოდნენ, რათა პირობით მოწინააღმდეგეს ვერ აღმოეჩინა.

როგორც ამბობენ, მათ ამოყვინთვა და თავის გადარჩენა შეეძლოთ, მაგრამ სასწავლო ოპერაციის ამოცანის შესრულება რომ არ ჩაშლილიყო, მყვინთავებმა გარისკეს და გემის ხრახნს შემთხვევით წამოედვნენ. ისინი თავიანთი ქვეყნისა და ქვედანაყოფის ერთგულნი დარჩნენ და თანამებრძოლთა მოგონებებში მარად იცოცხლებენ.

წვრთნები თითქმის ყოველთვიურად ტარდება. როგორც წესი, მებრძოლი მყვინთავების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ საზღვაო ქვეითები, რომლებიც ტანკერის გამტაცებლების, ნავთობმომპოვებელი პლატფორმის დაკავებისა თუ მძევლების ამყვანი ტერორისტების როლს ასრულებენ.

## ჯგუფის გამოყენების წესი

როგორც კი წყალქვეშა ძალების სარდლობა ჯგუფის სრული საბრძოლო მზადყოფნის ბრძანებას გასცემს, მაშინვე მიიღება სათანადო ზომები სამოქმედო რაიონში მებრძოლი მყვინთავების საჰაერო გზით გადასაყვანად. ამისათვის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი C-130 Hercules-ია გამოყოფილი.

მას შემდეგ, რაც თვითმფრინავი მიზანთან სიახლოვეს ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე დაჯდება, მებრძოლი მყვინთავები ობიექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას იწყებენ.

ეს ინფორმაცია ოპერაციის მომზადების საფუძველია, ხოლო საზღვაო სპეცოპერაციებისთვის სადაზვერვო მონაცემების შეგროვება ამავე სახის სახმელეთო ოპერაციასთან შედარებით ბევრად რთულია.

ასეთ შემთხვევაში მებრძოლი მყვინთავები უპირველეს ყოვლისა, გატაცებული ტანკერის ან ნავთომომპოვებელი პლატფორმის შესახებ ნახაზებსა და სხვა საინტერესო ინფორმაციას მოიპოვებენ.

ნახაზები საჭიროა ასაფეთქებელი მასალების გასათვლელად და გამოსაყენებლად, რომლითაც კორპუსში შესაღწევი ხვრელები უნდა გაკეთდეს.

ასევე აუცილებელია ოპერაციის რაიონში ზღვის დინების თავისებურებათა დადგენა, ქარის მიმართულებისა და სიჩქარის, წყლის ტემპერატურის გამორკვევა.

გარდა ამისა, ოპერატორებმა უნდა მოიპოვონ ცნობები ტერორისტების

შესახებ და ობიექტის ბორტზე შეძლებისდაგვარად მათი რაოდენობა დაადგინონ.

მას შემდეგ, რაც ყველა აუცილებელი ინფორმაცია შეგროვდება და მოლაპარაკება ნაყოფს არ გამოიღებს, მაშინ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი მეთაურები GRUMEC-ის ხელმძღვანელს ძალის გამოყენებაზე ბრძანებას აძლევენ.

თუ მოქმედებები რიო-დე-ჟანეიროს შტატის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, მაშინ ამ ბრძანებას წყალქვეშა ძალების სარდალი იძლევა, ხოლო სხვა შემთხვევებში შესატყვისი რაიონის ადმირალი გასცემს.

მომდევნო ეტაპზე GRUMEC-ის რაზმები შუალედურ რაიონში გადადიან, ისე, რომ მიზანს შეძლებისდაგვარად მიუახლოვდნენ და ამისთვის ჩვეულებრივი გასაბერი ნავებით Zodiac FC 470S-ით სარგებლობენ.

აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელი მებრძოლი მყვინთავები პანტანალას ჭაობებში ბაიდარებსაც მშვენივრად იყენებენ.

დათქმულ ადგილას საბრძოლო პოზიციებზე გასაშლელად ხშირად წყალქვეშა ნავებიც გამოიყენება.

მდგომარეობიდან გამომდინარე, როცა სუბმარინა წყალქვეშა მდგომარეობაშია, მებრძოლი მყვინთავები მას სატორპედო აპარატის მილიდან ტოვებენ. თუკი წყლის ზედაპირზეა, მაშინ ლიუკიდან ამოდიან.

აუცილებლობის შემთხვევაში, მებრძოლ მყვინთავებს ჰაერიდან დესანტირებაც შეუძლიათ და ამისათვის პარაშუტით ხტომის სხვადასხვა მეთოდით (HALO ან HAHO) სარგებლობენ.

მებრძოლი მყვინთავები ჰაერიდან დესანტირებას საყვინთავი აპარატურით აღჭურვილები ასრულებენ და წყლის ზედაპირზე დაშვებისთანავე სიღრმეში ეშვებიან.

თვითმფრინავებისა და წყალქვეშა ნავების გარდა, დესანტირებისთვის შესაძლებელია Super Puma-ს ტიპის შვეულმფრენების გამოყენებაც.

საზღვაო კომანდოსები შვეულმფრენის დაკიდული მდგომარეობიდან წყალში 20 მეტრიდან ან ნაკლები სიჩქარით ფრენისას დაბალი სიმაღლეებიდან ხტებიან. გარდა ამისა, შვეულმფრენის ბორტიდან დაშვება მათ სპეციალური თოკების მეშვეობითაც შეუძლიათ.

თუ ბრაზილიის რომელიმე რაიონში მებრძოლი მყვინთავების უფრო მოკლე დროში მიყვანის საჭიროება დგება, მაშინ ჰაერიდან წყალში დესანტირების შემდეგ ისინი საჭირო შეიარაღება-აღჭურვილობას წყალქვეშა ნავიდან იღებენ, რომელიც იქ წინასწარ იყო გაგზავნილი და წყალქვეშ ელოდებოდა.

## საბრძოლო გამოყენება

GRUMEC-ის მონაწილეობით ყველაზე გახმაურებული სპეცოპერაცია Mission des Nations Unies pour la stabilisation en Haiti (MINUS-TAH) — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ კუნძულ ჰაიტიზე სტაბილიზაციის დასამყარებელ მისიასთან არის დაკავშირებული.

სპეცოპერაცია ჩატარდა იმ დროს, როცა ჰაიტიში დიქტატორ ჟან ბერტრან არისტიდის ხელისუფლების დასამხობად სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ამ უკანასკნელის ზეობის პერიოდში კარიბის ზღვის აუზის ეს ისედაც ულარიბესი ქვეყანა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო.

ბრაზილიის გარდა, ჰაიტიზე სტაბილიზაციის დასამყარებელ ოპერაციაში მონაწილეობდნენ: არგენტინა, ჩილი, იორდანია, მაროკო, ნეპალი, პერუ, ფილიპინები, შრი-ლანკა და ურუგვაი.

GRUMEC-ი ჰაიტის ნაპირებისკენ ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ფლოტთან ერთად გაიგზავნა და მისიის დანიშნულება საერთაშორისო ძალების ზღვიდან მხარდაჭერა იყო.

რაიონში გაშლის შემდეგ რაზმს ყურეების ფსკერის დათვალიერება დაევალა, რათა ხომალდებს ღუზები უსაფრთხოდ ჩაეშვათ.

ამ ამოცანის სწრაფად შესრულების შემდეგ GRUMEC-ს მებრძოლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალჩინოსანთა დაცვა დაევალათ.

ჰაიტიზე ჩატარებულ ოპერაციაში ბრაზილიელმა მყვინთავმა მებრძოლებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ელიტური ქვედანაყოფების წოდების ღირსი ნამდვილად არიან და დიდი სამხედრო ტრადიციების მქონე ქვეყნების მსგავსი ტიპის ქვედანაყოფებს არაფრით ჩამოუვარდებიან.

ტერორიზმის მზარდი საშიშროების პირობებში, ბრაზილიას, სამხრეთ ამერიკის ამ უდიდეს ქვეყანას დღეს შეუძლია თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, რადგან „ცისფერი ამაზონის“ მშვიდობას საზღვაო სპეცოპერაციების დიდოსტატები იცავენ.



მებრძოლი მყვინთავები შვეულმფრენიდან დესანტირების ამოცანას ამუშავებენ



# ედუარდ I

## 1239–1307

ედუარდ I, იგივე ედუარდ გრძელფეხა, შუა საუკუნეების ინგლისის ერთ-ერთი უდიდესი მხედართმთავარი მეფეა. მან დაიმორჩილა უელსი, ილაშქრა ჯვაროსნებთან ერთად და შოტლანდიელებს ხანგრძლივი ომი მოუგო.



ედუარდ I (მუხლზე დაჩოქილი) ვასალის ფიცს უდებს მეფე ფილიპე IV-ს (ზის)

### ქრონოლოგია

1239 — დაიბადა 17 ივლისს ვესტმინსტერის სასახლეში.

1255 — უელსში ამბოხების ჩახშობა ვერ მოახერხა.

1264 — ლიუისის ბრძოლაში დამარცხდა.

1265 — დაამარცხა სიმონ დე მონფორი. გაათავისუფლა მეფე.

1271 — შეუერთდა ჯვაროსნებს.

1272 — 16 ნოემბერს მამამისი, მეფე ჰენრი III გარდაიცვალა.

1274 — 19 აგვისტოს ვესტმინსტერის სააბატოში გვირგვინი დაიდგა.

1277 — შეუტია ლიველინს.

1284 — დაიმორჩილა უელსის სამთავრო.

1295 — ჩაახშო უკანასკნელი ამბოხი უელსში.

1299 — ფოლკირკის ბრძოლაში უილიამ უოლესი დაამარცხა.

1307 — 7 ივლისს გარდაიცვალა ბრაფ-ბაი-სენდში (კამბერლენდი).

### ომი ლიველინთან

დაიბადა 1239 წლის 17 ივნისს ვესტმინსტერში. ჰენრი III-ის უფროსი ვაჟი იყო და უკვე 15 წლისამ მიიღო ჩესტერის გრაფის წოდება და მიწები უელსში, ირლანდიასა და საფრანგეთში. მომდევნო წელს ლიველინთან საბრძოლოდ გაემართა. ლიველინი გვინედის უფლისწული იყო და მამა უჭერდა მხარს. ედუარდი მამას აუმხედრდა და ბიძამისს, სიმონ მონფორს შეეკრა, რომელსაც სამეფო ძალაუფლების უფლებების შეზღუდვა უნდოდა. მაგრამ 1260 წლის მაისში ედუარდი მამას შეურიგდა. 1264 წლის 14 მაისს ლიუისის ბრძოლაში მონფორის არმიის ნაწილი გაანადგურა, მაგრამ ბიძას არ გამოსდევნებია. ამის შემდეგ მონფორის მთავარმა ძალებმა შეუტიეს და ჰენრიცა და ედუარდიც ტყვედ აიყვანეს. ერთი წლის ტყვეობას ედუარდმა გაქცევით დააღწია თავი, მონფორი მოკლა და მეფე გაათავისუფლა. ტყვეობისას დასუსტებულმა ჰენრიმ ედუარდს მთავრობის ხელმძღვანელობის უფლება მისცა.

ბრძოლის წადილით შეპყრობილი ედუარდი საფრანგეთის მეფე ლუი IX-ს შეუერთდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში, მაგრამ ლუი გზაში გარდაიცვალა. ედუარდს დიდი გამარჯვებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ უშიშარი მებრძოლის სახელი კი დაიგდო. უკვე შინისაკენ მიმავალმა 1272 წელს მამის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, მაგრამ საფრანგეთში შეყოვნდა. სამშობლოში კი მხოლოდ ორი წლის შემდგომ დაბრუნდა გვირგვინის მისაღებად.

ედუარდმა არმიის რეორგანიზება მოახდინა და საყრდენ ძალად უფრო დაქირავებული მებრძოლები გაიხადა, ვიდრე ბარონთა ჯარისკაცები. 1277 წელს მან 6000-კაციანი ჯარით უელსს შეუტია, ტყეებისკენ მიმავალი ყველა ბილიკი გაჭრა, გზები გაიყვანა და სადაც კი დაბანაკდა, სიმაგრის აშენება ბრძანა. ხუთი პორტის ფლოტმა უელსს ანგლესიდან მარცვლეულის შეტანა შეაწყვეტინა. უელსის ლიდერი ლიველინი 1282 წელს მოკლეს, მისი ძმა დეივიდი კი ერთი წლისთავზე ჩამოახრჩვეს, დაანაწევრეს და წყალში გადააგდეს. მომდევნო ამბოხებები 1287 და 1294 წლებში სასტიკად იქნა ჩახშობილი.

### ომები შოტლანდიაში

1290 წელს შოტლანდიაში არავინ აღმოჩნდა, ვისაც პირდაპირ ერგებოდა მეფის გვირგვინი, ამიტომაც შოტლანდიის ხელისუფლებამ ედუარდს მიანდო გადაწყვეტილების მიღება. ედუარ-

დმა იოანე ბალიოლი გამონახა, რათა შოტლანდიაზეც გაევრცელებინა თავისი ძალაუფლება. მაგრამ იოანე ბალიოლი ედუარდს შემოუბრუნდა და საფრანგეთთან შეკრა კავშირი. ედუარდი ბერვიკში შეიჭრა და დაარბია, დუნბართან შოტლანდიელები დაამარცხა და იოანე გადააყენა, შოტლანდიელი მეფეების მეფედ კურთხევის ტრადიციული რელიკვია — სკუნის ქვა ვესტმინსტერში წაიღო და თავი შოტლანდიის მეფედ გამოაცხადა.

1297 წელს შოტლანდიელები უილიამ უოლესის მეთაურობით აჯანყდნენ. ხანგრძლივი სამხედრო კამპანიის შემდეგ უოლესი დამარცხდა, დაატუსაღეს და 1305 წელს იგივე ბედი გაიზიარა, რაც მისმა უელსელმა თანამოაზრე დეივიდმა.

შოტლანდიელები 1306 წელს კიდევ ერთხელ აჯანყდნენ, ამჯერად რობერტ ბრიუსის ხელმძღვანელობით. ედუარდი რობერტთან შესაბრძოლებლად მიმავალი ბარფ-ბაი-სენდსში, კარლაილთან გარდაიცვალა. მამის საქმეს მისი ვაჟი, ედუარდ II ჩაუდგა სათავეში, მაგრამ 1214 წელს ბანოკბერნთან დამარცხდა. ეს შოტლანდიელთა უკანასკნელი დიდი გამარჯვება იყო ინგლისელებზე. ედუარდ I-ის ცხედარი ლონდონში დააბრუნეს და ვესტმინსტერში დაკრძალეს.

## ედუარდის ბრძოლები

● 1264 წელს ლიუისის ბრძოლაში ტყვედქმნილი ედუარდი ერთ წელიწადში საპყრობილიდან გაიქცა და როიალისტურ ჯარს მოექცა სათავეში მდინარე სევერნთან, დე მონფორის ვაჟი კი განმათავისუფლებელ ჯარს მოუძღოდა. მართალია, მტერზე გაცილებით მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა, მაგრამ წინ გაიჭრა და სრულიად მოულოდნელად 1-ელ აგვისტოს, შებინდებისას, მტერს სძლია. მერე მონფორის მცირე ძალებს მიუბრუნდა, — გონივრული მანევრებით მონფორს მახე დაუგო მდინარე ავონთან, ევეშემში, მოკლა იგი და მამა, ჰენრი II გადაარჩინა.

● ედუარდმა უელსელი მოისარები დაიქირავა შოტლანდიელ შუბოსნებთან საბრძოლველად და 1298 წლის 22 ივლისს ფოლკირკის ბრძოლაში გამარჯვებასაც მიაღწია. მომდევნო ხუთი წელი ედუარდი უილიამ უოლესის დასამარცხებელ სამხედრო კამპანიებს ხელმძღვანელობდა, რის გამოც „შოტლანდიელთა ურო“ შეარქვეს.


ახლა უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი!

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული
უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე

„კვირის პალიტრასთან“ ერთად
თვეში ერთხელ თითო ტომი

იქონიე საქართველოს ისტორია შენს თაროზე!



სპეციალური ფასი: 9 ლარი

14-დან 21 მაისამდე
ტომი I

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული პოპულარული ენითაა დაწერილი და მკითხველთა ფართო წრეზეა გათვლილი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეს პირველი ნაშრომია, რომელშიც გაერთიანებულია ქვეყნის ისტორია უძველესი ხანიდან დამოუკიდებლობის აღდგენამდე. წიგნი შევსებულია ისეთი ფაქტებითაც, რომლებიც აქამდე ცენზურის გამო ისტორიულ ნაშრომებში არ იყო შესული.
ეს კრებული სხვადასხვა მოსაზრებისა და შეხედულების მქონე 13 ავტორის მიერ არის შექმნილი, რაც მისი ობიექტურობის გარანტიაა. ოთხტომეულზე მუშაობდნენ: მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ანდრია აფაქიძე, დავით მუსხელიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, ნოდარ ასათიანი, გიორგი ოთხმეზური, მიხეილ სამსონაძე, გივი ჯამბურია, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მაყვალა ნათმელაძე.
ძალზე დიდი მოთხოვნის გამო გამომცემლობა პალიტრა L-მა ოთხტომეულის სასაჩუქრე გამოცემის ტირაჟი, ორი თვის მანძილზე უკვე სამჯერ დაბეჭდა.
მიუხედავად იმისა, რომ სასაჩუქრე გამოცემა ბევრმა შეიძინა, კიდევ ბევრია ისეთი, რომელმაც მისი ყიდვა ვერ შეძლო ფასის (60 ლარის გამო), ან იმ მიზეზით, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში წიგნის მაღაზია საერთოდ არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ფორმით - წიგნი პრესასთან ერთად ყველა მსურველისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გავხადოთ.
საქართველოს ისტორიის ოთხტომეული - გამოცემა, რომელიც ყველა ქართული ოჯახის წიგნის თაროზე განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს!

ისტორიის ოთხტომეულის ეს გამოცემა სასაჩუქრესგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ არ მოყვება სპეციალური ყუთი ოთხივე ტომის ჩასაწყობად და მაგარ გარეკანზე ტყავის ფაქტურიანი ზედაპირის ნაცვლად მისივე მსგავსი ქაღალდია გადაკრული.




ედუარდ I-ის კარნარვონის ციხე-სიმაგრე

*მოამზადა*
**ლევან ინასარიძემ**



# ტანკები ასფალტის წინააღმდეგ

2004 წლის 26 მაისს ტანკების გამოყვანის შემდეგ, თბილისის ქუჩებში ასფალტს ხელახალი დაგება დასჭირდა

ქვეყნები სამხედრო აღლუმებს სხვადასხვა მიზეზით ატარებენ. უმეტესად ეს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღეა ან სხვა განსაკუთრებული მნიშვნელობის დღესასწაული.

წესისამებრ, სამხედრო აღლუმებზე ქვეყნის შეიარაღებაში თანამედროვე ტექნიკა გამოდის და მას ძალის ერთგვარი დემონსტრირების გარდა სანახაობრივი ფუნქციებიც აკისრია.

ჩვეულებრივ სამხედრო ტექნიკა მუხლუხა ან თვლიან შასიზე მზადდება და ამ უკანასკნელის შემთხვევაში აღლუმებზე დემონსტრირებისას პრობლემები არა აქვს, ამიტომაც თვლებიანი ჯავშანტექნიკა და საარტილერიო სისტემები ამგვარ ღონისძიებებზე მრავლად გამოდის.

პრობლემები მუხლუხა ჯავშანტექნიკის გამოყვანის დროს ჩნდება, როცა ათეულობით ტონა საბრძოლო მანქანები და განსაკუთრებით კი ტანკები ასფალტის საფარს აზიანებენ. დიდი წონის გამო ფოლადის მუხლუხების ტრაქების შვერილი ელემენტები ასფალტზე ჩაღრმავებებს ტოვებენ და ამიტომაც ბევრი ქვეყანა აღლუმებზე მუხლუხა ტექნიკის გამოყვანას ერიდება.

ეფექტური სანახაობის მიუხედა-



ასფალტის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, გასული წლის სექტემბერში ერევანში გამართულ აღლუმზე, სომხებმა მუხლუხა ტექნიკა მისაბმელებით ჩაატარეს

ვად, ცენტრალურ ქუჩებზე დაზიანებული ასფალტის ხელახალი დაგება ბევრი ქალაქის ბიუჯეტისთვის ძვირი სიამოვნებაა.

ასეთ პრობლემას ჩვენ 2004 წელს წავაწყდით. ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, 26 მაისს, პირველი მსხვილმასშტაბიანი აღლუმი ჩატარდა. 300 არაგველის მემორიალთან გამართულ მსვლელობაში მუხლუხა ჯავშანტექნიკის რამდენიმე ნიმუში მონაწილეობდა — ქვეითთა საბრძოლო მანქანები БМП-2, დაჯავშნული გამწევები МТЛБ, თვითმავალი საზენიტო დანადგარები Шилка, Т-55АМ-ისა და Т-72-ის ტიპის ტანკები.

2004 წლის აღლუმი მართლაც ლამაზი სანახაობა იყო. პირველად ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, ხალხმა ჩაცმულ-დახურული და სათანადოდ აღჭურვილი ჯარი იხილა, მაგრამ ასფალტის საფარზე მაშინ არავის უფიქრია და ქალაქის ამ უბანში გზები 41-ტონიანმა Т-72-ებმა დააზიანეს. აღლუმის შემდეგ ამ უბანში ასფალტის ხელახალ დაგებას რამდენიმე თვე და დიდი თანხები დასჭირდა.

ასეთივე პრობლემის წინაშე მსოფლიოს მრავალი ქალაქი დგას, ამიტომაც ქუჩებში ტანკებისა ან სხვა მუხლუხა ტექნიკის დემონსტრირებისას ინჟინრებმა მუხლუხებზე სპეციალური რეზინის ბუნიკების (ბალიშების) დამაგრება მოიფიქრეს.

ეს გამოგონება გრუნტზე მოქმედ დატვირთვას მნიშვნელოვნად ამცირებს და შესაბამისად ტანკის მასა უფრო დიდ ფართობზე ნაწილდება. გარდა ამისა რეზინის თვისებების წყალობით მუხლუხა ტექნიკის მასის გარკვეული ნაწილის შთანთქმა მისი შეკუმშვის ხარჯზე ხდება.

უმეტეს შემთხვევაში სტანდარტულ ფოლადის მუხლუხებზე ისინი ჭანჭიკებით მაგრდებიან. რეზინის ბუნიკში დამზადებისას ფოლადის ფირფიტას დებენ, ნახვრეტებში კი ხრახნებით ამაგრებენ. შემდგომში კი მზა ბუნიკებს მუხლუხებზე ამაგრებენ ჭანჭიკებით.

საბჭოურ მუხლუხა ჯავშანტექნიკაზე და მათ შორის ტანკებზეც ყოველთვის ფოლადისტრაქებიან მუხლუხებს იყენებდნენ და დიდხანს რეზინის ბუნიკებზე მოთხოვნა არც იყო. დასავლური წარმოების ტანკების უმეტეს ნაწილს კი რეზინისბუნიკებიანი მუხლუხები მწარმოებელ ქარხანაშივე უკეთდება.

ტანკებზე რეზინის ბუნიკების დაყენება არც ისე იაფია. ფოლადისგან




საბჭოურებისგან განსხვავებით, დასავლურ ტანკებზე რეზინისბუნიკებიან მუხლუხებს ქარხანაშივე აყენებენ. ზედა ფოტო – ბრიტანული Challenger. ქვედა ფოტოზე — გერმანული Leopard 2



განსხვავებით, რეზინას გაცილებით ნაკლები რესურსი აქვს და ბუნიკები რეგულარულად შეცვლას საჭიროებს. მაგალითად, Т-80У-ს ტიპის ტანკის რეზინის ბუნიკებს მხოლოდ ასფალტზე მოძრაობისას 1000 კმ-ის გავლის შემდეგ ცვლიან, უგზოობის შემთხვევაში კი მათი რესურსი 500 კმ-მდე მცირდება.

2004 წლის შემდეგ თბილისში ჩატარებულ აღლუმებზე მუხლუხა ჯავშანტექნიკას მონაწილეობა აღარ მიუღია, თანაც მას შემდეგ აღლუმები რუსთაველის პროსპექტზე ტარდება და როგორც ჩანს, ქალაქის მთავარ ქუჩას მთავრობა უფრთხილდება.

წელს აღლუმი ქუთაისში ჩატარდება, თანაც ალბათობა იმისა, რომ მასში ქართული წარმოების ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ლაზიკას“ გაიყვანენ, დიდია. რა თქმა უნდა, ტანკებთან შედარებით ის მსუბუქია. შესაბამისად, გრუნტზე ნაკლები დატვირთვა მოდის, მაგრამ მას ფოლადის მუხლუხები აქვს, რომელიც კვალს ასფლატზე ნებისმიერ შემთხვევაში დატოვებს.

თუ აღლუმზე „ლაზიკას“ გამოიყვანენ, იმედია, ქუთაისის ახალდაგებული ასფალტის შესანარჩუნებლად ის რეზინის ბუნიკებით იქნება აღჭურვილი.

***ალექსანდრე აფაქიძე***



# ქართველი ადმირალის საზღვაო ბიოგრაფიიდან

**18 თებერვალს ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალების პირველი სარდლის, კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადების მე-80 წელი აღინიშნა.**

**ქართველი ოფიცერი ჩრდილოეთისა და წყნარი ოკეანის საბჭოთა ფლოტებში სხვადასხვა თანამდებობაზე მსახურობდა.**

**1972 წლის იანვარ-მარტში ალექსანდრე ჯავახიშვილმა წყალქვეშა ატომური კრეისერი R-415 ჩრდილოეთის ფლოტის სამხედრო-საზღვაო ბაზა გაჯიევოდან ატლანტის ოკეანეში გადაიყვანა, საიდანაც დრეიკის სრუტით წყნარ ოკეანეში გადავიდა და დანიშნულების ადგილზე – კამჩატკაზე სამხედრო-საზღვაო ბაზა რიბაჩიში მიიყვანა.**

**1989 წელს ბატონი ალექსანდრე სამშობლოში დაბრუნდა. 1992-96 წლებში ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი იყო.**

## დაჯახება „სილუეტთან“

1975-79 წლებში I რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჯავახიშვილი წყნარი ოკეანის ფლოტის მშენებარე-რეკონსტრუქციაში მყოფი წყალქვეშა ნავების 72-ე ბრიგადის მეთაური იყო და პირადად მონაწილეობდა სხვადასხვა პროექტის 10 ატომური წყალქვეშა ნავის გამოცდაში.

ყოველი ახალი ხომალდის ან მისი შეიარაღებისა თუ აღჭურვილობის გამოცდა რაღაც ახალთან, უფრო სრულყოფილთან შეხებას ნიშნავს და რაც თავის მხრივ რისკსაც არ გამორიცხავს. ზღვის სიღრმეში მყოფი წყალქვეშა ხომალდებისთვის კი რისკი უფრო მატულობს და წყალქვეშა ფლოტის უახლეს ისტორიაში არაერთი მაგალითია, როცა გამოცდა ტრაგედიით დასრულდა.

*1963 წლის 10 აპრილს პირველი საცდელი ჩაყვინთვის დროს ჩაიძირა ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავი SSN-593 Thresher-ი 129 კაცით ბორტზე. მათ შორის იყვნენ იმ ვერფის სამოქალაქო სპეციალისტები, სადაც ხომალდი აიგო.*

*2000 წლის 12 აგვისტოს რუსეთის ჩრდილოეთის ფლოტის ატომური წყალქვეშა კრეისერი K-141 Курск-ი წყალქვეშა მდგომარეობაში ტორპედოების გამოცდის დროს აფეთქდა. ბორტზე 118 კაცი იყო.*

ერთი საგანგებო შემთხვევა 72-ე ბრიგადაში ალექსანდრე ჯავახიშვილის მეთაურობის დროსაც მოხდა და ამას ბრიგადის ყოფილი მეთაური ახლა ღიმილით ჰყვება:

„ვლადივოსტოკის მახლობლად ატომურ წყალქვეშა ნავ K-42-ზე (პროექტი 627A) გამოცდას გადიოდა ბუქსირებადი საცდელი ჰიდროაკუსტიკური სადგური, რომელიც ხომალდთან დაახლოებით 800 მ-იანი გვარლით იყო ჩაბმული და ერთდროულად აკუსტიკური ტალღების წარმოქმნის 32 წყაროს აფიქსირებდა.

1978 წლის 28 ივნისის ღამეს ბაზაში K-42-ისგან მოკლე შეტყობინება მივიღეთ, რომ წყალქვეშა ნავი სილუეტს



ალექსანდრე ჯავახიშვილი — ატომურ წყალქვეშა ნავზე სამსახური რთულია და მუდმივად დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფები

დაეჯახა. მეთაურს დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ვუბრძანე და შემთხვევის შესახებ ფლოტის სარდალს, ადმირალ ვლადიმირ მასლოვს მოვახსენე, ხოლო მან კი მოსკოვში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობას აცნობა.

გონებაში ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა და მათ შორის ამერიკულ ატომურ წყალქვეშა ნავთან შეჯახებასაც არ გამოვრიცხავდი. „ცივი ომის“ ხანა იდგა, ამერიკული და საბჭოთა სუბმარინები ერთმანეთს დასდევდნენ და ზოგჯერ წყალქვეშა ხომალდებს შორის შეჯახებაც ხდებოდა.

K-42-ის მოლოდინში დრო წარმოუდგენლად გაიწელა. გამთენიისას ხომალდი, როგორც იქნა, ბაზაში შემოვიდა. მას გემმისადგომთან დავხვდი.

მეთაურმა მომახსენა, რომ სასწავლო ამოცანის დამუშავების დროს წყალქვეშა ნავი წყალზემოთ ინერციით ტანკერ „სილუეტს“ გაეხახუნა. ტანკერის უცნაურმა სახელმა კი ეს გაუგებრობა გამოიწვია.

შვებით ამოვისუნთქე, წყალქვეშა ხომალდის კორპუსს მხოლოდ საღებავი ჰქონდა გადაცლილი.

წითელი ტელეფონით დაუყოვნებლივ დავუკავშირდი ფლოტის სარდალს. იმ დროს ფლოტის სწავლება მიმდინარეობდა და ადმირალმა მასლოვმა მე და K-42-ის მეთაური მიწისქვეშა სამეთაურო პუნქტში მიგვიღო.

სარდალმა მოსკოვში გასაგზავნი დაშიფრული დეპეშის მომზადება დაგვავალა და ტექსტის მომზადებისას K-42-ის მეთაურს სკამზე ჩაეძინა. ეს რომ მასლოვმა შენიშნა, გაეცინა და ორივე გამოგვიშვა.

## ჰაის გავეყარე, უის შევეყარე

1993 წლის 2 ოქტომბერს ფოთში ზვიად გამსახურდიას მომხრე შეიარაღებული რაზმები ლოთი ქობალიას მეთაურობით შემოვიდნენ.

ალექსანდრე ჯავახიშვილი: „1-ელ ოქტომბერს ოჩამჩირიდან გემ „ვექტორით“ გამოვედით და გვიან ღამით ფოთში მე-10 გემსადგომთან დავდექით.

მაშინვე საზღვაო ბრიგადის შტაბში წავედი და, ალბათ, დილის 4 სთ იქნებოდა, როცა ჩემი ყურადღება გაბმული სროლის ხმამ მიიქცია. მალევე გამოვარკვიე, რომ ფოთი ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა რაზმებმა დაიკავეს.

მათი მხრიდან საზღვაო ძალების მცურავ საშუალებათა ხელში ჩაგდება რომ არ დამეშვა, განგაში გამოვაცხადე და შეიარაღებული სეინერი „განთიადი“, სამეცნიერო-საკვლევი გემი „ვექტორი“ და საკრუისერო კატარღა „გალი“ სამხედრო პორტიდან გავიყვანე და რეიდზე დავდექით.

ქობალიას მებრძოლები სამხედრო პორტში შემოვიდნენ და როცა გაიგეს, რომ გემები ზღვაში იყო გასული, მაშინვე ჩვენს დასაკავებლად კატარღა გამოგზავნეს.

მე „განთიადზე“ ვიყავი და წინააღმდეგობის გასაწევადაც ვემზადებოდი. „განთიადი“ 23 მმ-იანი სწრაფმსროლელი ავტომატებით იყო შეიარაღებული და ჩვენი მეზღვაურები მას „კრეისერს“ ტყუილად არ ეძახდნენ.

ეტყობა, კატარღაზე მყოფებმა სეინერის საცეცხლე ძალა გაითვალისწინეს და უკან მიბრუნება ამჯობინეს. ამის შემდეგ ლოთი ქობალიამ ჩემი დაკავებისა და დახვრეტის ბრძანება გასცა.

მაშინ ბათუმში წასვლა გადავწყვიტე და რამდენიმესაათიანი ცურვის შემდეგ პორტს მივადექით. შეიარაღებული გემების გამოჩენამ ძალოვნები შეაშფოთა და ჩვენი განიარაღება სცადეს.

უშიშროების სამსახურმა პორტში შესული „განთიადისა“ და მისი ეკიპაჟის განიარაღება სცადეს, მაგრამ ჩვენმა მეზღვაურებმა ამის საშუალება არ მისცეს.

საჭირო იყო სიტუაციის განმუხტვა და ასლან აბაშიძესთან დაკავშირებას შევეცადე, რომელსაც ადრე რამდენჯერმე შევხვდი და მე კარგად მიცნობდა.

საღამო ჟამს წვიმა წამოვიდა. აჭარის უმაღლესი საბჭოს შენობის შესასვლელთან ასლან აბაშიძე შევნიშნე, მივედი და ვუთხარი, რომ ის, რასაც მისი ხალხი აკეთებდა, ქვეყანას არ წაადგებოდა. ავუხსენი, რომ ეს გემები ხვალ ისევ ფოთში დაგვჭირდებოდა.

ის ყურადღებით მისმენდა და მისი რეაქცია დაბნეული ადამიანის მდგომარეობას ჰგავდა. პასუხიც ასეთი იყო: „მერე, მერე, მერე“......და უმაღლესი საბჭოს შენობაში შევიდა.

ეს საუბარი სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა და ნაყოფიც არ გამოიღო, — ადგილობრივი უშიშროება „განთიადის“ განიარაღებას ისევ ცდილობდა და მუდმივად გვაკონტროლებდნენ“.

7 ოქტომბერს აჭარის ძალოვნებმა „განთიადის“ განიარაღება მაინც შეძლეს და შეიარაღება შესანახად არსენალს გადასცეს.

მას შემდეგ, რაც ფოთის მახლობლად შავი ზღვის ფლოტის სარდლის ადმირალ ედუარდ ბალტინის მეთაურობით რუსული სამხედრო ხომალდები და საზღვაო ქვეითები გამოჩნდნენ, ლოთი ქობალიას რაზმებმა 25 ოქტომბერს ფოთი დატოვეს.

რამდენიმე დღეში ბათუმში თბილისიდან ალექსანდრე ჯავახიშვილი ჩამოვიდა და „განთიადს“ შეიარაღება უკან დაუბრუნდა, ხოლო პირველ ნოემბერს სეინერი ბათუმიდან გამოვიდა და იმავე დღის ბოლოს ფოთის სამხედრო პორტში ჩამოდგა.

**თემურ ჩაჩანიძე**




აფხაზეთის ომის მონაწილე სეინერი „განთიადი“ მშვიდობიან საქმეს — თევზჭერას დაუბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეალური უპილოტო თუ მორიგი ბლეფი





**9 მაისს, სტეფანაკერტში ნაჩვენებ და გასული წლის 12 სექტემბერს ყარაბაღში ჩამოგდებულ უპილოტოებში, ბევრი მსგავსების დანახვა შეიძლება**

9 მაისს თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის დედაქალაქ სტეფანაკერტში დიდი აღლუმი გაიმართა. იმავე დღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წელი აღინიშნა და ტრადიციისამებრ აღლუმი მოსკოვში წითელ მოედანზეც ჩატარდა. თუმცა სტეფანაკერტის ცენტრალურ ქუჩაში უფრო მეტმა სამხედრო ტექნიკამ ჩაიარა, ვიდრე მოსკოვში.

გრანდიოზულობასა და ტრიბუნაზე სომხეთის პრეზიდენტის ყოფნას რომ თავი დავანებოთ, აღლუმში მონაწილე ტექნიკის უმეტესი ნაწილი სომხეთის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნის.

სომხეთის არმიის კუთვნილებაა სტეფანაკერტში ნაჩვენები WM-80-ის ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა, რომელიც მან ჩინეთისგან 1999 წელს შეიძინა.

გასული წლის 21 სექტემბერს სომხეთის დამოუკიდებლობის მე-20 წელთან დაკავშირებით ჩატარებულ აღლუმზე ერევანის ქუჩებში ოთხმა „სკადმა“ ჩაიარა. მიმდინარე წლის 9 მაისს კი იგივე „სკადები“ უკვე თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავარ პროსპექტზე გამოჩნდნენ.

ცალსახაა, რომ ყარაბაღს „სკადების“ შეძენისა და მით უფრო მოვლის საშუალება არა აქვს. თუმცა საბორტე ნომრები მაინც შეცვალეს და ერევანში ნაჩვენები „130“, „131“, „132“ და „133“ სტეფანაკერტში შესაბამისად „101“-ად, „102“-ად, „103“-ად და „104“-ად გადაკეთდა.

80 კმ-ზე მსროლელი რეაქტიული არტილერიისა და „სკადების“ გარდა, უპილოტო საფრენმა აპარატებმა დიდი გაკვირვება გამოიწვია. აღლუმზე ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული კონსტრუქციის სამი სხვადასხვა ტიპის ხუთი უპილოტო აჩვენეს.

სტეფანაკერტში უპილოტოები ერევანში ჩატარებული აღლუმის მსგავსად აჩვენეს, — აპარატები მაღალი გამავლობის „ურალების“ ძარაზე ტუმბებზე იყო დამაგრებული.

ყველაზე საინტერესო პირველი უპილოტო იყო. გასული წლის 12 სექტემბერს სომხური მხარე ამტკიცებდა, რომ მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანელთა უპილოტო ჩამოაგდეს და ამის დასადასტურებლად ჩამოგდებული აპარატის ფრაგმენტები წარმოადგინეს. ბაქომ ბრალდებები მაშინვე უარყო და ყველაფერს ერევნის მორიგი პროვოკაცია უწოდა.

გავრცელებულ ვიდეომასალაზე მართლაც უპილოტო საფრენი აპარატების ფრაგმენტები იყო ასახული, მაგრამ იყო თუ არა ის აზერბაიჯანის უპილოტო, სხვა საკითხია.

ამ ამბავთან დაკავშირებული ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დღესაც არის. იმავე სომხური საინფორმაციო



აღლუმზე დემონსტრირებული ახალი უპილოტო (ქვედა ფოტო), სხვა არაფერია, თუ არა შარშან, ერევანში ნაჩვენები „კრუნკის“ (ზედა ფოტო) მოდიფიკაცია



სააგენტოს მტკიცებით, უპილოტოს სახელმწიფო კუთვნილების სიმბოლო არ გააჩნდა. ის არც გავრცელებულ ვიდეო და ფოტომასალაში შეიმჩნევა.

სახელმწიფო სიმბოლოებს რომ თავი გავანებოთ, აპარატის ფრაგმენტები ბაქოს შეიარაღებაში არსებულ არც ერთ უპილოტოს არ შეესაბამებოდა.

დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის Hermes 180 იყო. ამავეს მოწმობს ფრაგმენტებში ნაპოვნი კომპანია NovAtel-ის ლოგო.

საინტერესო კი ის არის, რომ სტეფანაკერტში ნაჩვენები პირველი უპილოტო 2011 წლის 12 სექტემბერს ჩამოგდებულს ჰგავს. რეალურად კი ის უფრო უხეშად, პროპორციების დარღვევით შესრულებული მაკეტი უნდა იყოს. ფიუზელაჟის ქვედა მხარეს თვალით შესამჩნევ ნახვრეტში წესით ვიდეო და ფოტოაპარატურის „ბურთი“ უნდა ყოფილიყო.

გაბარიტებით ფიუზელაჟი ამ უპილოტოს ფრთას არ შეესაბამებოდა. დეტალური დათვალიერებისას რჩება შთაბეჭდილება, რომ ფრთა ფიუზელაჟზე უბრალოდ ზემოდან იდო.

სავარაუდოდ, ეს „უპილოტო“ 12 სექტემბერს გაურკვეველ ვითარებაში ჩამოგდებული აპარატის უხეში მაკეტი ან სულაც მისი აღდგენილი ვარიანტია.

რაც შეეხება მეორე ტიპის ორ უპილოტოს, ორივე უფრო ნამდვილს ჰგავდა და მათ შექმნაში ერევნის ხელი აშკარად ურევია.

21 სექტემბრის ერევნის აღლუმზე სომხებმა სამამულო წარმოების 4 უპილოტო Krunk-ი (ქართულად „წერო“) გამოიყვანეს.

**„კრუნკის“ მახასიათებლები: სიჩქარე — 150 კმ/სთ-ში, ფრენის ხანგრძლივობა — 4 სთ, წონა — 60 კგ, ფრენის სიმაღლე — 4500 მ.**

თუმცა სტეფანაკერტში წარმოდგენილი უპილოტო „კრუნკისგან“ მაინც განსხვავდებოდა. მას წაწვეტებული ცხვირი და მიმყოლი ხრახნი აქვს, როცა „კრუნკის“ ძრავა ფიუზელაჟის ცხვირშია განთავსებული. რაც შეეხება ფრთას, ორკილიანი კუდის ფრთასხმულობა, შასის ძირითადი დგარები და ფიუზელაჟქვეშა „ბურთი“ ორივე აპარატს იდენტური აქვს. გამოდის, სტეფანაკერტში სომხებმა „კრუნკის“ მოდიფიცირებული ვარიანტი წარმოადგინეს. „უაზის“ ტიპის ავტომობილებით წარმოდგენილი მესამე ტიპის 2 უპილოტო პირველი ორისგან კონსტრუქციით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. ძალურ დანადგარად მას ელექტროძრავა ექნება. აპარატს შასი არა აქვს და მას პნევმატური კატაპულტით ან ხელით უშვებენ, ხოლო დაშვებას კი პარაშუტი უზრუნველყოფს. ფორმით ეს უპილოტო ებრაული წარმოების „სკაილარკს“ ჰგავს. თუმცა სომხურ-ებრაული თანამშრომლობა უპილოტოებში ნაკლებად სავარაუდოა.

P.S. სტეფანაკერტის ქუჩებში „სკადების“ გამოჩენა ერთგვარი სიურპრიზი იყო, ხოლო 21 სექტემბერს ერევანში მულაჟებიანი Точка-У-ების დემონსტრირების შემდეგ ყარაბაღში ამ კომპლექსის ჩვენება არ შედგა. როგორც ჩანს, სომხები მიხვდნენ, რომ მათმა ბლეფმა არ გაამართლა და შეცდომის გამეორებას მოერიდნენ.

**ალექსანდრე აფაქიძე**

ფორმიდან გამომდინარე, საფრენად ეს უპილოტო ელექტროძრავას იყენებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამი ამბავი

ლევან სეფისკვერაძე

# ჩვენზე და „მათზე“




## სასადილო ცხინვალთან ახლოს

გორიდან ცხინვალისაკენ მიმავალ გზაზე ერთი პატარა სასადილო იყო. თუმცა, ძნელია სასადილო დავარქვათ ძველ, მეფის რუსეთის დროინდელ, ექვსფანჯრიან მატარებლის ვაგონს, რომელსაც ერთ-ერთ კედელზე ფერაცლილი რომანოვების გერბი ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი. ვაგონის წინ, დიდი ტირიფის ჩრდილში, სახელდახელოდ შეკრული სამი მაგიდა იდგა და მათ ზემოთ ნათურები იყო ჩამოკიდებული. ვაგონის ერთი პატარა სარკმლიდან ხანში შესული და ლოყაწითელა მებუფეტე მურმან ბაზოევის დაღლილი და დასიცხული სახე მოჩანდა. პაპანაქება სიცხეში რკინის ვაგონში ჯდომა და მგზავრებისთვის საჭმელების მომზადება სულაც არ არის ადვილი საქმე.

ასეთი ტიპის სასადილოები საქართველოში უამრავია, მაგრამ მე, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება მურმანა ძიას სასადილო. არ დამავიწყდება თუნდაც იმიტომ, რომ ახლა იმ სასადილოს ადგილზე რუსი ოკუპანტების გამშვები პუნქტია. ძირისძირობამდე გაძარცულ ვაგონში კი არყით უგონოდ გამომთვრალი რუსი ჯარისკაცები იძინებენ. სახელდახელოდ შეკრული სკამებიდან კი ხის ნაფლეთებიღაა შემორჩენილი.

ნეტავ სად არის ახლა ლოყებღაჟღაჟა და მუდამ მხიარული მურმან ბაზოევი? დანაღმულ ლიახვის ხეობაში ხომ მისი ასავალ-დასავლის პოვნა დღეს ძალიან ძნელი საქმეა. სეტყვასავით წამოსულ რუსების ჭურვებს ეგებ ვერც კი გაასწრო და სადმე მეღვრეკისთან ან ფხვენისთან ამოხდა სული. შეიძლება გაქცევა მოასწრო კიდეც და ახლა რომელიმე სახელდახელოდ აშენებულ ჩასახლებაში ცხოვრობს.

შეიძლება, კიდევ უფრო გაუმართლა და ომის დაწყებისთანავე კიევში, თავის ვაჟიშვილთან წავიდა. აბა, ახლა ვიღას ახსოვს ეს კაცი, როდესაც ნახევარი ქვეყანა ლტოლვილია, მეორე ნახევარი კი მოდარდეებად ვართ ქცეული.

მურმან ბაზოევი მანამდე გავიცანი. სამაჩაბლოსკენ მიმავალ მე და ჩემს მეგობარს გზაში ძალიან მოგვშივდა და რაკი ახლომახლო ძველი ვაგონის მეტი, რომელსაც ქართულად „სასადილო“, რუსულად კი „ზაკუსოჩანაია“ ეწერა, არაფერი იყო, მივედით, ტირიფის ძირში ერთ-ერთ მაგიდასთან ჩამოსხედით და ვაგონის კარს მივაჩერდით იმედიანი მზერით.

სულ მალე ვაგონიდან ჭრელხალათიანი ოსის ქალი გადმოვიდა, რომელიც მურმანის ცოლი აღმოჩნდა. მოვიდა და გვკითხა: ჩაქაფულსა და ხაბიზგინსა შეჭამთო? რას არ შევჭამდით, როცა მგლებივით გვშიოდა და თან სხვა საჭმელიც არ ჰქონდათ ამ უცნაურ სასადილოში. ვჭამდით და როგორც ჭეშმარიტ ჟურნალისტებს შეეფერება, ვმსჯელობდით იმაზე, თუ როგორ უნდა გვემყოფინა ფული ისე, რომ სამაჩაბლოც მოგვევლო, საჭმელიც გვეჭამა და თბილისში დასაბრუნებელი ფულიც დაგვრჩენოდა.

როგორც აღმოჩნდა, ჩვენს საუბარს მურმანა ძიაც უსმენდა, რომელმაც დარწმუნებით ვერ გეტყვით ჟურნალისტებად ჩაგვთვალა, აგენტებად თუ მოცლილ მოგზაურებად, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ ვაგონიდან თეთრი ხალათის კალთით შუბლზე ოფლის მშრალებით რომ გამოვიდა, ჩვენთან მოვიდა და მაგიდაზე მაღალი, დიდყურა დოქი დადგა. ჯერ აზრზე ვერ მოვედით, რა უნდოდა ამ კაცს, მაგრამ მერე მივხვდით, რომ ოსი მურმან ბაზოევი ჩვენ, უფულო ქართველ ჟურნალისტებს ღვინოს გვჩუქნიდა.

რა თქმა უნდა, თავიდან ვიუარეთ და ფულის შეძლევაც ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ყველაზე მთავარი კი მერე მოხდა. მურმან ბაზოევმა ღვინო ძველ, კარგად ნახმარ და კუთხეებმოცვეთილ ჭიქებში დაგვისხა. თვითონაც დაისხა და საქართველოს სადღეგრძელო დალია. მერე თავისი ამბავიც მოგვიყვა. გვიამბო, რომ ადრე ცხინვალში ცხოვრობდა და მისი სახლი ომის დროს დაიწვა. მოგვიყვა თავის შვილზე, რომელიც კიევში ცხოვრობდა და ათი წელი არ ენახა.

გვიამბო „ჯიპზე“ ამხედრებულ ვიღაც მთვრალ ბიჭებზე, რომლებმაც რამდენიმე დღის წინ უმარილო სალათის მაგიდაზე მიტანის გამო მაგრად სცემეს და ჩვენ მივხვდით, რომ ეს კაცი ცოცხალი მატიანე იყო. იმ კუთხისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იმ ქვეყნის ცოცხალი მატიანე, სადაც ოსებს რატომღაც მტრებს, რუსებს კი „ერთმორწმუნე ძმებს“ ეძახდნენ. იმ ქვეყნისა, სადაც დღესაც კი არიან ადამიანები, რომლებიც უკვე სრულიად აბსურდულ ტერმინს: ქართულ-ოსურ კონფლიქტს ახსენებენ და იმ ქვეყნისა, სადაც მტერ-მოყვრის გარჩევა დღემდე ვერ ისწავლეს?

ახლა ნეტავ სად არის ძია მურმანი?

## კოტე

ყველაფერი ღვინოში დამბალი პურით დაიწყო. საწყალი კოტე მართლა ძალიან მოშივებული იყო და ის დამბალი პური ნამეტანი ეგემრიელა. ამას რამდენიმე კონა ოხრახუში, მცირეოდენი მხალეულობა და ათიოდე მოხარშული თევზი მოჰყვა. კოტე უბედური ის-ის იყო სულის მოთქმას აპირებდა, როცა 6 ლიტრი ღვინოთ ამოუვსეს მუცელი.

დიახ, ჩვენ სულაც არა ვართ საკუთარი სვე-ბედის მწერლები. ჩვენ ვინ რას გვკითხავს? ადამიანები კარგა ხანია მივეჩვიეთ, რომ ჩვენს საქმეს სხვა გააკეთებს. სამართალს სხვა დაგვიდგენს, ის „სხვა“ ფიქრებსაც გაგვიკონტროლებს და თუ საჭირო გახდება, დაგვტუქსავს კიდეც. აი, იმ მტანჯველი ფიქრების მცირეოდენი ნაწილი, რომელიც ტვინსა და უკვე უსაშველოდ ამოვსებულ გულ-მუცელს უღრღნიდა კოტეს, იმავე კონსტანტინე კაკულიას. მაგრამ კოტეზე უარეს დღეში სხვები იყვნენ. მდიდარი და თავის გამოჩენის მანიით შეპყრობილი ნათესავ-მეგობრების პატრონები. სხვები უფრო მეტად განიცდიდნენ გულისა და სტომაქის ტკივილს, მაგრამ კოტე ადრეც კარგი კაცი იყო და არც ახლა ამშვიდებდა ის, რომ სხვები უარესად იტანჯებოდნენ.

საშინელება მას შემდეგ დაიწყო, რაც 7 ჯამი ლობიო, 8 ჯამი „ოსტრი“, 12 ხონჩა ხაშლამა და ერთი დიდი ქვაბი ყაურმა მიუვიდა. აბა, კარგი ბიჭი ხარ და ნუ დაიგემოვნებ. დიახ, ჩვენი სვებედი კარგა ხანია დაწერილია და რაც „მოგდის“, კიდეც უნდა შეიშნო. ეს ყველაფერი ხომ შენთვის კეთდება, ამდენი ადამიანი ხომ შენთვის დაფუსფუსებს სამზარეულოში, დარბაზსა თუ ბაზარმარკეტებში. შენ ადამიანი ხარ, ქართველი, და სხვაზე მეტი მოგეთხოვება. ვაი მას, ვისაც არა ჰყავს ბევრი ნათესავი და ახლობელი. ეს უბედურები თითო-ოროლა მთვრალი თუშის მიერ გადაგდებული ლუკმებისა და ცოტაოდენი ღვინის იმედად არიან დარჩენილი. შენ კი, ბატონო კოტე, ხარ ასე, შენთვის, ლაზათიანად წამოწოლილი მხარ-თეძოზე და მოგდის და მოგდის... მოგდის და მოგდის...

დაახლოებით 200-250 ლიტრ ღვინოს ვარაუდობდნენ და კოტეს 320 ლიტრი ღვინო მიუვიდა. აბა, რას არ მიუვიდოდა, როდესაც მთელ ევროპაში, რუსეთსა და ამერიკაში გაფანტულმა ნათესავებმა, ახლობლებმა თუ უბრალო ნაცნობებმაც კი არ დაივიწყეს და სულ ბურგუნდიული, ელზასური თუ ტეხასური ღვინითა და ბეკონ-ბარბექიუებით დაასაჩუქრეს კოტე ბატონი. აბა, ასეთ დროს კაცის დავიწყება როგორ შეიძლება? მით უმეტეს, თუ ეს დაუვიწყებლობა სულაც არ არის მძიმე და მოსაწყენი ვალდებულება. სიკეთე არასოდეს იკარგება. ერთმორწმუნე ერებში ხომ არ იკარგება და არა.

აბა, ვისზე რა ნაკლები ხალხი იყვნენ ეს გალილეოები, კოპერნიკები და ბრუნოები, მაგრამ ხეირი დააგდათ? არც არაფერი? ამიტომ, აქედანვე უნდა იზრუნო კაცმა მომავალზე. მომავალზე, რომელიც არასოდეს დამთავრდება. რომელიც არასოდეს გამრავალფეროვნდება, მაგრამ მომავალი ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველია. სწორედ ამიტომაც არის ფეხებით დასაკიდი ყველა შორსმჭვრეტელი და მკითხავ-მჩხიბავი.

კოტეს ლურჯი „მერსედესი“ ჰყავდა. პრინციპში ახლაც ჰყავს. ეს მანქანა კოტეს ცხოვრების ერთ-ერთი ცხადად ასრულებული ოცნების ნაყოფი იყო. ეს ოცნება კი პირველად, რა თქმა უნდა, მოსკოვში დაიბადა, როდესაც უმცროს ძმისშვილთან ერთად 1989 წელს სამუშაოდ და ბედის საძიებლად მოსკოვში ჩასულმა კოტემ „სადოვაიაზე“ შავი „მერსედესი“ იხილა. მანქანის ფანჯრების მიღმა, საჭესთან, თმაშევერცხლილი, წითელპომადაწასმული ქალი იჯდა, ქალის გვერდით კი შლაპიანი ახალგაზრდა კაცი. შლაპა კოტესაც ჰქონდა. იმ დროს საკმაოდ ახალგაზრდაც იყო და მოსკოვში თმაგაჭაღარავებული რუსი ქალის მონახვა უფრო ადვილია, ვიდრე იმერეთში ეკალა ფხალის ძირების.

ამ ყველაფერს მხოლოდ „მერსედესიღა“ აკლდა. როდესაც კოტემ „მერსედესი“ იყიდა, უკვე 45 წლისა გახლდათ. შლაპა კარგა ხანია მოდიდან იყო გადასული და მოსკოველი თმაშევერცხლილი ქალები სარატოვისა და მურმანსკის სამხედრო ბაზებში მზარეულებად გაემწესებინათ. ერთი დიდი ოცნებიდან „მერსედესიღა“ დარჩა.

დასასრულ იყო შილაფლავი. სქელი, უკვე კარგად შეცივებული. შილაფლავი, რომელიც კოტეს ცოტ-ცოტაობით მიუვიდა. იმ დროს მისთვის უკვე სულერთი იყო, შილაფლავს შეჭამდა



ის სასადილო რუსმა ოკუპანტებმა საკონტროლო გამშვებ პუნქტად გადააკეთეს



სამუშაოდ და ბედის საძიებლად მოსკოვში ჩასულმა კოტემ „სადოვაიაზე“ შავი „მერსედესი“ იხილა

თუ შემწვარი გოჭის პირში გაჩრილ ბოლოკს, რადგან კოტე ხუთი დღის მკვდარი გახლდათ და მთელი ეს დიდი კულინარიული ოცობოდია მისი ქელეხის შემადგენელი ნაწილი იყო და მეტი არაფერი. ათი სანტიმეტრით გრძელ კუბოში იწვა მოსკოვის ცენტრში, რუსი „გალავარეზების“ მიერ მოკლული კონსტანტინე კაკულია, იყო ნათელში და „მიგებებული“ საჭმელ-სასმელი თავპირზე გადასდიოდა.

## ბნელი წარსულის აჩრდილები

ბოლო დროს რატომღაც ხშირად ლაპარაკობენ სამოქალაქო ომის რუხ აჩრდილებსა და მსგავს უბედურებებზე. ასეთი საშინელებები, მით უმეტეს ამ ბრწყინველე დღესასწაულის დროს, ღმერთმა გვარიდოს, მაგრამ როდესაც სამოქალაქო ომის ტრაგედიებს იხსენებენ, ყოველთვის სტუდენტობის დროს გაგებული ერთი უსაშინელესი ამბავი მახსენდება.

გალაკტიონი „გურიის მთებში“ სურებსა და ნასაკირალს რომ ხედავდა, ხომ გახსოვთ? ჰოდა, ეგ თუ გახსოვთ, დაფნარიც გემახსოვრებათ. იმერეთი-გურია-სამეგრელოს წარმოსახვით საზღვარზე მდებარე ეს პატარა სოფელი წინა საუკუნის 90-იანი წლების სამოქალაქო ომის დროს, ფრონტის ხაზად იყო ქცეული. ცოტა უცნაური პარალელია, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქ სმოლენსკის მსგავსად დაფნარიც ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთ დღეს თუ „მხედრიონელები“ შეჯლიგინდებოდნენ თვეების განმავლობაში ნალოთებ-ნაკაიფარი სიფათებით, მეორე დღეს მათ ადგილს ზვიადისტებად წოდებული მებრძოლები იკავებდნენ.

ომი იყოო.. პატრიოტიზმი იყოო... სამშობლოს სიყვარული და ეგეთი რაღაცები იყოო... გუშინდელი ძმაკაცები, მეზობლები, ნათლია-ნათლულები რიონს აქეთ და იქით გამწკრივებულიყვნენ და ერთმანეთს ჟუჟავდნენ. გახურებული სროლის შემდეგ, საღამოობით, რიონის ჭალაში ავტომატგადაკიდებული ჯეილები სამ-ოთხად ჩასხდებოდნენ და სადღაც აწაპნილ და თუ წართმეულ შინაურ ფრინველებს ფრინველთა საიქიოში ისტუმრებდნენ. საერთო სუფრის გაშლას მუდამ ერიდებოდნენ, რადგან ასეთ დროს ჩხუბის ალბათობაც ძალიან დიდი იყო. თუმცა ნაღდი ქართული „ჯიგრული მეობის“ გამო ერთმანეთთან ღვინის ან სიგარეტის გამოსართმევად მისვლა ერთგვარ ტრადიციად ითვლებოდა.

ხშირად მხედრიონელებს და ზვიადისტებს რიონიც კი გადაუცურავთ, 20 შეკეთება თუთუნი სამ ლიტრ ღვინოზე რომ გადაეცვალათ. გაგიკვირდებათ და, სტუმრად რაიმეს სათხოვნელად მისულ მოწინააღმდეგეს მეორე მხარე სუფრაზეც კი იწვევდა, სადაც აუცილებლად გაისმოდა ყველა გენერლის, ყველა პოლიტიკოსისა და ამ ომის დამწყების გინება.

დაფნარში თუკი ჩახვალთ, ამ ომზე იმდენ უცნაურ ამბავს გაიგებთ, რომ მათი სინამდვილე აუცილებლად დაგაეჭ-



ვებთ. ხოლო ეს ამბავი კი მართლა ნამდვილია, თან იმდენად ნამდვილი, რომ მასზე ლაპარაკიც უხერხულიც კია.

გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, უფრო სწორად, მიდიოდა კი არა, მიიპარებოდა, რადგან ირგვლივ ტყვიის ისეთი ზუზუნი იყო, რომ შუა გზაზე არც ერთი ჭკუათამყოფელი არ გარისკავდა გალაჯებულად სიარულს. კაცს ხელში ძველი ტომრის ნაჭრისგან შეკერილი ჩანთა ეჭირა და რადგან სიარულის დროს აქეთ-იქით მსუბუქად იქნევდა, შიგნით მძიმე არაფერი უნდა ჰქონოდა. გზად სოფელში წინა დღისით შესული მხედრიონელების მიერ ჩადგმული შლაგბაუმი დახვდა, რომელსაც სამი 25-ოდე წლის ბიჭი იცავდა. მხედრიონელი, რომელიც აშკარად უფროსი იყო, ჩანთიან კაცს მიუახლოვდა და მთლად ნორმალურ დღეში არმყოფი კაცის ხმით ჰკითხა:

— ბიძა, ვინა ხარ, სად მიდიხარ?

— შემეშვი, თუ კაცი ხარ. გამატარე რა, ჩემი ჭირიც მეყოფა.

— რას წუწუნებ, ბიჭო, ვინა ხარ-მეთქი და მაგ ჩანთაში რა გიდევს? — ხმას აუწია ჯეელმა, რომლის ტონი ერთგვარი ნიშანი იყო, რის შედეგაც დანარჩენი ორი, პოსტზე მდგარი, მათთან მივიდა, ზურგზე ავტომატის შესწორებით.

— ამ დილით რვა თვის შვილი მომიკვდა. ჩანთაში ახლა ბავშვის გვამი მაქვს და სასაფლაოზე მივდივარ, რომ დავმარხო. ცოლი არ წამომყვა, ეშინია, ტყვია არ მოხვდეს.

ჩანთიანი კაცის ახსნა-განმარტება დამაჯერებლად რომ არ მიიჩნია, სამეულმა, განა გასაკვირია რამე ამაში? ეს ყველაფერი მხედრიონელებს ჩვეული „თავის შეცოდება" ეგონათ.

— შენ შ... ხომ არა გაქვს, ბიჭო?! — თითქმის ერთხმად დაიღრიალა სამივემ.

კაცს ჩანთა გამოსტაცეს. მასში ჩატენილი ჩვრების ქექვა დაეზარათ, ეგრევე გადმოაპირქვავეს და ნანახმა ყველანი იმდენად დაზაფრა, რომ ორი იქვე ბალახზე ჩამოჯდა, ერთი კი, რომელიც ყველაზე მეტს ლაპარაკობდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან გახტა შეშინებული.

ჩანთიდან გადმოცვენილი ჭუჭყიანი ჩვრებისა და საწოვარიანი ბოთლის შემდეგ რვა თვის ბიჭის მოყვითალო ცხედარი გადმოვარდა. უმწეობისაგან გაცოფებული მამა კი სიმწრის ცრემლებს სახელოთი იწმენდდა.

ჰგავს ხომ ეს ყველაფერი მოგონილს?! დოსტოევსკის თქმისა არ იყოს: „ნეტავ, ყველა საშინელება მხოლოდ ნაწერად რჩებოდეს".



# პარაშუტები მეორე მსოფლიო ომში

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. არსენალი N8-9**

## ბრიტანულ-ამერიკული „მარკეტ გარდენი"

მეორე მსოფლიო ომში ამერიკულმა საპარაშუტო ნაწილებმა მონაწილეობა მიიღეს აფრიკისა და იტალიის კამპანიებში, მაგრამ ყველაზე მსხვილი ოპერაცია 1944 წლის შემოდგომაზე ნორმანდიაში მეორე ფრონტის გახსნის დროს ჩაატარეს.

ნორმანდიაში მოკავშირეთა გადასხმის შემდეგ გერმანელებმა უკან დახევა დაიწყეს და გერმანიის საზღვრის გასწვრივ გამაგრდნენ.

მოკავშირეები საფრანგეთსა და ბელგიაში წინ სწრაფი ტემპით მიიწევდნენ. კომუნიკაციები გაიწელა და 1944 წლის 4 სექტემბრისთვის საწვავისა და საბრძოლო მასალების სათანადო მარაგის უქონლობის გამო ჯარები პრაქტიკულად შეჩერდნენ.

მოკავშირეთა განკარგულებაში მხოლოდ ერთი პორტი რჩებოდა. როცა დაბომბვის გამო რკინიგზის ტრანსპორტი მწყობრიდან იყო გამოსული, ჯარებისთვის აუცილებელ ტვირთს ნორმანდიიდან სატვირთო ავტომობილები ეზიდებოდნენ.

ამასთან, დიდ როლს გეოგრაფიული გარემოებებიც თამაშობდა. მრავალრიცხოვანი არხებითა და მდინარეებით დასერილი ჰოლანდიის ლანდშაფტი ჯარებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა და წინსვლა ბევრად ხიდების დაკავებაზე იყო დამოკიდებული.

ხიდების დასაკავებლად მსხვილმასშტაბიანი საჰაერო-სადესანტო ოპერაციის ორგანიზება გადაწყდა და მთავარი მიზანი მდინარე რაინის რამდენიმე ხიდის აღება-დაკავება იყო.

ოპერაცია „მარკეტ გარდენი" ორი ფაზისგან შედგებოდა: „მარკეტი" სადესანტო, „გარდენი" კი — სახმელეთო მოქმედებებს მოიცავდა.

ოპერაციის დაწყება 1944 წლის 17 სექტემბერს დაიგეგმა და მონაწილეთა რაოდენობის მხრივ დღემდე მას ანალოგი არ მოეძებნება. „მარკეტში" 34600 პარაშუტისტი მონაწილეობდა, საიდანაც 14589 მედესანტე პლანერებმა გადაიყვანეს და 20011 კი სამოქმედო რაიონში პარაშუტებით დაეშვა. პირადი შემადგენლობის გარდა, პლანერებმა 1736 ავტომობილი და 263 საარტილერიო დანადგარი გადაიტანეს.

ასეთი მასშტაბის სადესანტო ოპერაციამ დიდი ოდენობით სატრანსპორტო თვითმფრინავი მოითხოვა. მედესანტეთა განკარგულებაში 1438 C-47-ის ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავი (1.274 აშშ-სა და 134 ბრიტანეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მასშტაბურობისა მიუხედავად, ოპერაცია „მარკეტ გარდენი“, მოკავშირეებისთვის მაინც მარცხით დასრულდა

ეკუთვნოდა) და 321 გადაკეთებული ბრიტანული ბომბდამშენი იყო, ხოლო დაჯდომითი დესანტირებისთვის 3140 პლანერი გამოიყო.

ოპერაციის მასშტაბურობის მიუხედავად, დასახული მიზნის მიღწევა — გერმანიაში ჩრდილო-დასავლეთიდან შეჭრა და არნემის სტრატეგიული ხიდის დაკავება არ მოხერხდა.

## „მწვანე ეშმაკები“



საპარაშუტო ნაწილების ჩამოყალიბება ნაცისტურმა გერმანიამ შედარებით გვიან დაიწყო. თუმცა ამ საქმეში დიდ ბრიტანეთსა და თავის აღმოსავლელ მოკავშირეს — იაპონიას გაუსწრო.

სადესანტო ნაწილების შექმნისკენ პირველი ნაბიჯი 1933 წლის 23 თებერვალს გადაიდგა. კომუნისტურ დაჯგუფებებთან საბრძოლველად სპეციალური საპოლიციო დანაყოფი „ვეკე“ ჩამოყალიბდა. დანიშნულებიდან გამომდინარე, დანაყოფი ხმელეთზე მოქმედებდა, მაგრამ მოსამზადებელ კურსში საპარაშუტო საქმეც ისწავლებოდა.

1935 წლისთვის დანაყოფი უკვე „გერმან გერინგის“ სახელს ატარებდა და ელიტურ ნაწილად იქცა. მისი სამი ბატალიონიდან ერთ-ერთი მხოლოდ სადესანტო-საიერიშო ოპერაციებზე იყო გათვლილი. მთლიანად ნაწილი კი შინაგანი ჯარის დაქვემდებარებაში რჩებოდა.

სხვათა შორის, ნაცისტურ გერმანიაში სადესანტო ჯარების ჩამოყალიბებაში დიდი როლი სსრკ-მა ითამაშა. იმ პერიოდში ორ ქვეყანას შორის ჯერ კიდევ „მეგობრული“ ურთიერთობა იყო და გერმანელები წითელი არმიის სწავლებებს ხშირად ესწრებოდნენ.

1935 წლის ბოლოს ჩატარებული






**ამერიკელი მედესანტეები G0-4-ის ტიპის პლანერში. ეს საფრენი აპარატი 10 სრულად ეკიპირებულ ჯარისკაცს იტევდა და მეტ შემთხვევაში ერთჯერადი გამოყენების გამო მარტივი და იაფი მასალებისგან მზადდებოდა**

ერთ-ერთი ასეთი სწავლებისას წითელმა არმიამ ათასკაციანი საპარაშუტო დესანტი გადასხა, დამატებით 4 ათასამდე ჯარისკაცი კი შეკრების რაიონში დაჯდომითი დესანტირების გზით გადაიყვანეს.

გერინგი ერთ-ერთი იყო, ვინც სწავლებების მსვლელობას გულმოდგინედ აკვირდებოდა და საჰაერო დესანტის შესაძლებლობები სათანადოდ შეაფასა.

სულ მალე სამხედრო ქვედანაყოფი „გერმან გერინგი“ პოლკად გადაკეთდა და სახმელეთო ჯარების შემადგენლობაში შევიდა. ავიაციის სარდლად გერმან გერინგის დანიშვნის შემდეგ კი საპარაშუტო ნაწილები „ლუფტვაფეს“ დაემორჩილა და 1936 წლის იანვარი გერმანიის საჰაერო-სადესანტო ჯარების დაარსების თარიღად ითვლება.

1930-იანი წლების ბოლოს გერმანელი მედესანტეები RZ1-ის ტიპის პარაშუტებს ხმარობდნენ. მარტივი კონსტრუქციის მიუხედავად, ისინი დაბალი საიმედოობით გამოირჩეოდნენ და პარაშუტის გაუხსნელობის შემთხვევებიც ხშირი იყო, ამიტომაც 1940 წლიდან გაუმჯობესებული RZ16-ები შემოვიდა.

RZ ტიპის ყველა გერმანულ პარაშუტს ერთი ნაკლი ჰქონდა, — ამერიკული ნიმუშებისგან განსხვავებით, სტროპების დაქაჩვით, ჰაერში გუმბათით მართვა შეუძლებელი იყო და გადმოხტომის შემდეგ გერმანელი პარაშუტისტები ჰაერში ბედის ანაბარა რჩებოდნენ. მათ არ ჰქონდათ დაშვების სიჩქარის რეგულირებისა და მით უმეტეს, დაშვების ადგილის განსაზღვრის საშუალება, ამიტომაც ქარისა და მისი მიმართულების წინააღმდეგ უძლურნი იყვნენ.

**მიწაზე დაშვებამდე პარაშუტისტი დაუცველია. შესაბამისად, ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობის შემცირებით მცირდება მიწიდან გახსნილი ცეცხლით მისი მოკვლის ალბათობა. ჩვეულებისამებრ, გერმანელი მედესანტეები 110-120 მ-დან ხტებოდნენ. თუმცა კრეტაზე იყო შემთხვევები, როდესაც ძლიერი საზენიტო ცეცხლის გამო დესანტირება 75 მ-დან შესრულდა. იმ პერიოდის RZ20 ტიპის პარაშუტების სრული გახსნისთვის მხოლოდ 40 მ იყო საკმარისი.**

დაშვების შემდეგ მედესანტე პირველ რიგში პარაშუტისა და მისაბმელი ქამრებისგან უნდა გათავისუფლებულიყო (ამისთვის გერმანელ მედესანტეს ოთხი ბალთა უნდა გაეხსნა, როცა ინგლისელს მხოლოდ ერთი ჰქონდა გასახსნელი). წინააღმდეგ შემთხვევაში, ქარი გუმბათს გაბერავდა და პარაშუტისტს მიწაზე გაათრევდა. მსგავსი შემთხვევები კი გერმანულ საჰაერო დესანტში იშვიათი არ იყო.

გერმანელი პარაშუტისტების პრობლემები ამით არ მთავრდებოდა. მოკავშირეების პარაშუტისტს სპეციალურ ჩანთაში ჩალაგებული იარაღი, ტყვიაწამალი, ხელყუმბარები, სამედიცინო პაკეტი, საკვები და სხვა საჭირო ნივთები დამაგრებული ჰქონდა. „მწვანე ეშმაკებს“ (ასე შეარქვეს გერმანელ პარაშუტისტებს მოკავშირეებმა) კი სრულ აღჭურვილობასთან ერთად გადმოხტომის საშუალება არ ჰქონდათ.

მედესანტეები მხოლოდ პირადი იარაღის — „პარაბელუმის“ პისტოლეტებითა და დანების ამარა ხტებოდნენ. სხვა აღჭურვილობა — იარაღი, ტყვია-წამალი და ხელყუმბარები, რა-



მოულოდნელობის ეფექტის წყალობით, 84-მა მედესანტემ, 1100-კაციანი ებენ-ემაელის ფორტის დაკავება ერთ ღამეში შეძლო. ფოტოზე გერმანელი მედესანტეები DFS-230-ის ტიპის პლანერის დაჯდომის შემდეგ, მოქმედებას იწყებენ

ციები თეთრად შეღებილ სპეციალურ კონტეინერებში იყო და უკეთ მოსაძებნად კონტეინერებს ბორტზე წითელი ზოლები ჰქონდა.

თვითმფრინავიდან კონტეინერებს ყრიდნენ და პარაშუტისტებს დაშვების შემდეგ უნდა მოენახათ.

**მეორე მსოფლიო ომში გერმანელებმა პირველად გამოიყენეს პლანერები დაჯდომითი დესანტირებისთვის. ყველაზე გავრცელებული და სრულყოფილი მოდელი DFS–230 იყო.**

**11,3 მ სიგრძის პლანერის ფრთის გაქანი 20,9 მ-ს შეადგენდა და 8 ჯარისკაცს იტევდა.**

**თვითმფრინავებთან შედარებით, უხმაურო პლანერები მოულოდნელობის დიდი ეფექტით გამოირჩეოდნენ. მასში მსხდომნი კი სრულად აღჭურვილი იყვნენ და ბრძოლაში ჩართვა დასხდომისთანავე შეეძლოთ.**

**ამავე დროს მოწინააღმდეგისთვის პლანერი დაუცველი სამიზნე იყო. დაშვებისას პლანერები ცუდად იმართებოდა და ავარიებიც ხშირი იყო. DFS–230-ებს გერმანელები 1942 წლიდან, ომის დასრულებამდე იყენებდნენ.**

მეორე მსოფლიო ომში საჰაერო დესანტის გამოყენების პირველობა გერმანელებს ეკუთვნის. „მწვანე ეშმაკების“ საბრძოლო მოქმედებებში 1939 წლის სექტემბრის კამპანიის დროს ჩაერთვნენ. თუმცა მათი ტრიუმფი 1940 წლის მაისში ბელგიაში ჩატარებული ოპერაცია იყო.

პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებიდან გამომდინარე, ბელგიელებმა საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი სისტემა შექმნეს. თავდაცვის მთავარი ზღუდე ქალაქი ლიეჟი იყო, რომელსაც მთავარი ბასტიონი, ფორტი ებენ-ემაელი იცავდა. 2-მეტრიანი ბეტონის კედლების მქონე ფორტი გერმანელების წინსვლას დიდ საფრთხეს უქმნიდა.

მის დასაპყრობად სადესანტო ოპერაციის ჩატარება გადაწყდა. გასაიდუმლოებულ ვითარებაში მედესანტეები ფორტის ერთ-ერთზე აგებულ მაკეტზე თვეობით ვარჯიშობდნენ.

ოპერაციის ჩატარება 1940 წლის 10 მაისს დაიგეგმა. მასში მხოლოდ 84 კაცი მონაწილეობდა, ხოლო სხვა საპარაშუტო ჯგუფებს მიმდებარე სამი ხიდის დაკავება ჰქონდათ დავალებული. დანიშნულების ადგილზე მედესანტეთა მიყვანას 11 პლანერი უზრუნველყოფდა.

ბელგიელებისთვის ყველაფერი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მათ ცეცხლი მხოლოდ პლანერების მიწაზე დაშვების შემდეგ გახსნეს. მოულოდნელობის ეფექტმა გერმანელების წარმატებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. დემორალიზებული ბელგიელები (ებენ-ემაელის გარნიზონი ათასზე მეტ კაცს ითვლიდა) ფორტის კაზემატებში ჩაიკეტნენ და მეორე დღეს, 11 მაისის დილას, კაპიტულაცია გამოაცხადეს.

**ალექსანდრე აფაქიძე**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

# „ბერეტას“ ავტომატი „მომავლის ჯარისკაცისთვის“



## ARX-160 — იტალიური ავტომატური საიერიშო შაშხანა ორიოდ წამში ცაციისთვისაც მოსახერხებელი ხდება

იტალიის შეიარაღებულმა ძალებმა ცნობილი საიარაღო კომპანია Beretta-სთან ერთად შვიდი წლის წინ ახალი ავტომატური ცეცხლსასროლი კომპლექსის შემუშავება დაიწყეს. მას მოძველებული AR-70/90 უნდა ჩაენაცვლებინა არმიის საიარაღო ოთახებში.

2008 წელს „ბერეტამ“ ახალი ავტომატური კომპლექსის პირველი მოქმედი პროტოტიპი წარმოადგინა, რომელსაც ARX-160 ეწოდა და იგი განკუთვნილია Soldato Futuro-ს (მომავლის ჯარისკაცის) აღჭურვილობაში მისაღებად.

ARX-160-ის ფართომასშტაბიანი გამოცდისას ნახევარ მილიონზე მეტი გასროლა განხორციელდა და გამოვლენილი დეფექტების გამოსწორების შემდეგ ეს იარაღი 2009 წელს იტალიის არმიის შეიარაღებაში მიიღეს.

ახალი ავტომატური საიერიშო შაშხანის, იმავე ავტომატის შექმნა 4 მლნ ევრომდე დაჯდა, რომლის ნაწილი იტალიის თავდაცვის სამინისტრომ დაფარა.

იტალიის შეიარაღებული ძალების Soldato Futuro-ს აღჭურვილობაში გარდა ARX-160-ისა, უნდა შევიდეს სპეციალური უნივერსალური ოპტიკურ-ელექტრონული სამიზნე, რომელშიც გაერთიანებულია ოპტიკური, სატელევიზიო და ინფრაწითელი სამიზნეები, ასევე ლაზერული მიზანმომნიშვნელი. მათ მიერ მოპოვებული ინფორმაცია „მომავლის ჯარისკაცის“ ავტომატიდან გადაეცემა ზემდგომი მეთაურობის მართვის პუნქტის კომპიუტერის ეკრანზე.

გარდა ძვირად ღირებული ოპტიკურ-ელექტრონული მოწყობილობისა, ARX-160-ის ლულის ქვეშ აყენებენ ერთმუხტიან 40 მმ-იან ყუმბარსატყორცნ GLX-160-ს.

ახალი იტალიური ავტომატი გამო-

**ავტომატური შაშხანა ARX-160-ი უნივერსალური ოპტიკურ-ელექტრონული სამიზნითა და ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნით GLX-160-ით**



ი 127/17



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს ინტენსიურ ცეცხლს და უფრო გვიან ცხელდება.

„ბერეტას“ კონსტრუქტორებმა ARX-160-ი კიდევ ერთი საინტერესო თვისებით „დააჯილდოეს“, — მისი სროლა მოსახერხებელია ცაციებისთვისაც. თანამედროვე წარმოების ბევრ ავტომატურ იარაღში, იქნება ეს პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები თუ ავტომატები, უკვე გათვალისწინებულია მასრების გამომგდები ფანჯრების ადგილის შეცვლა და მისი გადატანა იარაღის მარჯვენა მხრიდან მარცხნივ, რათა ცაცია მსროლელს გაცხელებული მასრები თავში არ მოხვდეს.



**ARX-160**
**305 მმ სიგრძის ლულით**



**ARX-160**
**406 მმ სიგრძის ლულით**

ირჩევა ერთი საინტერესო ნიუანსით — მისი ლულის შეცვლა რამდენიმე წამში შეიძლება, მათ შორის უშუალოდ ბრძოლის დროს. ამისთვის სულაც არ არის საჭირო იარაღის მთლიანად დაშლა. მებრძოლი საკეტს უკანა მდგომარეობაში აფიქსირებს და თითს აჭერს მჭიდის მოსარგებლის წინ მარჯვენა მხარეს განთავსებულ ფიქსატორს, რის შემდეგაც ლულას წინ გასწევს და ამოიღებს.

ამ მარტივი ოპერაციით მსროლელს შეუძლია სტანდარტული 406 მმ სიგრძის ლულა უფრო მოკლე 305 მმ სიგრძის ლულით ჩაანაცვლოს, რაც უფრო მოსახერხებელია ქალაქში და განსაკუთრებით შენობებში ბრძოლის დროს. თუკი ინტენსიური საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს და ჯარისკაცს გრძელი ჯერებით დიდხანს სროლა უწევს, მაშინ ის სტანდარტული 406 მმ სიგრძის ლულას იმავე სიგრძის, ოღონდ უფრო მძიმე და სქელკედლიანი ლულით ანაცვლებს, რომელიც უძ-

**ჩვენი დოსიე:** ახალი იტალიური ავტომატი Beretta ARX-160 მჭიდისა და სამიზნე მოწყობილობების გარეშე 3 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე გაშლილი კონდახით 1000 მმ-მდეა, ტელესკოპურად დაკეცილი და მარჯვნივ მოკეცილი კონდახით იარაღის სიგრძე 750 მმ-მდე მცირდება. იარაღზე ყენდება 406 ან 305 მმ სიგრძის ლულები. მჭიდში 5,56X45 მმ NATO-ს სტანდარტის 30 ვაზნა ჩადის. სროლის მაქსიმალური ეფექტური მანძილი დაახლოებით 400 მ-ია



Soldato Futuro-ს
შეიარაღება და აღკაზმულობა

თუმცა მათგან განსხვავებით, ARX-160-ის ცაცია მსროლელს ამისთვის საიარაღო სახელოსნოსთვის მიმართვა არ დასჭირდება, მან ეს თავად ერთ-ორ წამში შეიძლება გააკეთოს. ავტომატის ორივე მხარეს არის ქარხნული წესით დამზადებული მასრის გამომგდები ფანჯრები, მსროლელი მხოლოდ მაგარი საგნით (მაგალითად, ვაზნის ტყვიით) აწვება ლულის კოლოფის ბოლოში განთავსებულ სპეციალურ ბერკეტს და იქით მიმართავს მასრების გამოყრის მიმართულებას, რომელიც მისთვისაა მოსახერხებელი.

ARX-160-ს პლასტიკურ-დასაკეცი კონდახი აქვს, რომელიც მართალია არ არის ექსკლუზიური, მაგრამ ძალიან მოსახერხებელია, მით უმეტეს, რომ ტელესკოპურადაც იკეცება.

406 მმ სიგრძის ლულის შემთხვევაში, ტელესკოპურად ბოლომდე გახსნილი კონდახით ARX-160-ის სიგრძე ერთ მეტრამდეა, ტელესკოპურად დაკეცილი კონდახის შემთხვევაში იარაღის სიგრძე 950 მმ-მდე მცირდება, ხოლო თუკი მებრძოლის კონდახს მარჯვნივ მოკეცავს, მაშინ ავტომატის მთლიანი სიგრძე 750 მმ-მდე დაიკლებს. 305 მმ-იანი სიგრძის ლულის დაყენების შემთხვევაში, მარჯვნივ დაკეცილი კონდახით ARX-160-ის სიგრძე მხოლოდ 650 მმ-მდე თუ იქნება, რაც მას კომპაქტურ ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღად აქცევს.

ARX-160-ის ლულის კოლოფსა და სალულეზე ტრადიციულად დატანებულია Picatinny rail-ის ტიპის მიმმართველები, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომატზე დამატებითი აქსესუარების — ოპტიკური, ელექტრონული სამიზნეზე მოწყობილობების, ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნის, წინა ხელის მოსაკიდის დაყენებას.



მძაფრსიუჟეტიან ფილმში „Special Forces"-ში მსახიობ ჯიმონ ჰონსუს გმირი ავღანელ თალიბებს სწორედ იტალური ARX-160-ით ებრძვის

იტალიურ ავტომატში ფართოდაა გამოყენებული თანამედროვე კომპოზიციური მასალები (მაგალითად, კონდახი გამძლე პლასტმასისგანაა დამზადებული, ისევე როგორც სალულე), რაც იარაღის საერთო მასას მნიშვნელოვნად ამცირებს, მჭიდისა და სამიზნე მოწყობილობების გარეშე ავტომატის მასა მხოლოდ სამი კგ-ია.

ავღანეთში მყოფი იტალიის სამხედრო კონტინგენტის სპეცრაზმელები ახალ ARX-160-ებს აქტიურად იყენებენ, რითაც Soldato Futuro-ს საშტატო იარაღის რეალურ საბრძოლო გამოცდას ატარებენ.

***ირაკლი ალადაშვილი***



მსროლელი ARX-160-ის ლულისქვეშ დაყენებულ GLX-160 ტიპის ყუმბარსატყორცნში 40 მმ-იან ყუმბარას ათავსებს




ISSN 1987 - 5061
9 771987 506007

F 1557
2012